საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
25 სექტემბერი – 1 ოქტომბერი, 2019
№34 (505)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## ჩვენ რით და როგორ დავიცავთ თავს? 11



## ზნეობრივი დეგრადაციის მწარე მაგალითი: ფულის გულისთვის მშობლები შვილებს პორნოფილმებში აღებინებდნენ 4,8



შსს-მ 11 პირი დააკავა, მათ შორის სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჩამოყვანილი ამერიკელი «მასწავლებელი»

«სად არიან დღეს ის ადამიანები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ექსპრეზიდენტის ავადმყოფურ გონებაში მოხარშულ ამ პროექტს სახელწოდებით «ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად»? არის თუ არა გამოძიება ამ ხალხით დაინტერესებული?»

## საქართველოს მოსახლეობა კატასტროფის პირასაა, საშველი კი არ ჩანს 5



## როცა სხვა გკარნახობს საგარეო თუ საშინაო კურსს, დამოუკიდებელი ქვეყანა კი არა, კოლონია ხარ 6



გულბაათ რცხილაძე:

## აფხაზეთი კი არა, აგერ, აჭარაში რა ხდება, ის ვერ გაგვიგია 3



რატომ არ იყენებს მთავრობა ალექსანდრე ჭაჭიას პოტენციალს?

## ლიბერასტული მასმედიის ვირეშმაკობანი 2



## რა თამაშს ეწევა მეთიუ ბრაიზა



საქართველოში – ბრაიზა და კრამერი, უკრაინაში – ვოლკერი 10



7

## ესტონეთის პრეზიდენტის ორპირობა: თვითონ რუსეთთან პირდაპირი დიალოგი ეამაყება, ჩვენ კი მოგვიწოდებს, ზურგი შევაქციოთ

## ეკოლოგიური სიგიჟე შორს მიმავალი მიზნებით 15





## მემატიანეობა უნებურად 20



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სწორედ ავადსახსენებელი კოაბიტაცის გამოა, რაც დღეს გვჭირს — აშშ-ისა და, საზოგადოდ, დასავლეთის მიერ „კულტივირებული“ კოაბიტაცია არა თუ მხსნელად მოევლინათ, არამედ პოლიტიკურ საფლავში მწოლიარე ნაცები, რომლებსაც „მიწის მიყრალა აკლდათ“, ნელ-ნელა მოღონიერდნენ და აქეთ გვემუქრებიან კონტრრევოლუციით.**

**წინამდებარე წერილი მნიშვნელოვანწილად თქვენი მონა-მორჩილის მიერ გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული სტატიის („ამ დღეს ველოდი, მოვესწარ, ვიცინი, აღარ ვტირი მე“) მთავარი თემის გაგრძელებად შეიძლება მიიჩნიოთ. იმ წერილის მთავარი თემა კი გემახსოვრებათ, რომ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიერ 15 სექტემბერს აშშ-ის საელჩოსთან გამართული საპროტესტო აქცია იყო; ამ წერილის შექმნის მიზეზი კი ქართული ლიბერასტული მედიის მიერ ზემოთ ხსენებული აქციის ვირეშმაკულად „გაშუქებაა“.**

# ლიბერასტული მასმედიის ვირეშმაკობანი

აშშ-ის საელჩო საქართველოში გარკვეულწილად საბჭოთა „ობკომის“ მსგავსი რომ არის და აშშ-ის ელჩები საქართველოში „ოკუპანტი“ საბჭოეთის ცე-კას მეორე მდივნებს (რომლებიც ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში კრემლიდან იყო გამოგზავნილი — ეროვნებით აუცილებლად რუსი) რომ უფრო ჰგვანან (რომლებიც დღიდან საელჩოს დაარსებისა მეტ-ნაკლებად განაგებდნენ „თავისუფალი“ საქართველოს შინაურ საქმეებსა თუ საგარეო პოლიტიკას), ვიდრე „დამოუკიდებელ“ საქართველოში გამოგზავნილ „მეგობარი“ ქვეყნის დესპანებს, ეს ამბავი, რომ იტყვიან, არახალია. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომ პირველ წლებში, ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი რუსეთის ფაქტორის გამო, დღევანდელთან შედარებით უფრო ნაკლებად, ხოლო გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან (დაჩოქილი და ლამის დაშლილი რუსეთის პირობებში) დღემდე აშშ ერთპიროვნულად განაგებს მის მიერვე კოლონიზებულ საქართველოს, იქამდეც კი, რომ, ხატოვნად თუ ვიტყვით, რამდენი კოვზი შაქარი უნდა ჩაეყარათ ჩაიში, ამასაც აშშ-ის ელჩს ეკითხებოდნენ და ეკითხებიან საქართველოს ხელისუფალნი — **ედუარ შევარდნაძით** დაწყებული, **ბიძინა ივანიშვილით** დასრულებული.

ერთადერთი გამონაკლისი იყო „დინების საწინააღმდეგოდ მცურავი“ **ზვიად გამსახურდია,** რომელიც აშშ-ის მდუმარე თანხმობით მოაშთეს კიდეც საქართველოს ე.წ. შემოქმედებითმა ინტელიგენციამ და **ჯაბა იოსელიანის** შეიარაღებულმა კრიმინალურმა ბანდამ. მადა ჭამაში მოდისო და, მდუმარე თანხმობა კი არა, აშშ-ის იმჟამინდელი ელჩის, რიჩარდ მაილსის, უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით მოუწყვეს ე.წ. ვარდების რევოლუცია ედუარდ შევარდნაძეს და თბილისში **ჯორჯ ბუშის** მიერ ბაღდადურის ცეკვისა და აშშ-ის ელჩების მასობრივი დაბრმავება-დაყრუების ფონზე საქართველოში სულით ავადმყოფი, სადისტი მიხეილ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი დამყარდა. სააკაშვილის რეჟიმმა მოგვიტანა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი; სოხუმ-ცხინვალის უკვე დე იურედაც დაკარგვა; 2011 წლის 26 მაისი; აღარაფერს ვამბობ, პრაქტიკულად, ციხედ ქცეულ საქართველოზე და ამ ციხეში ათასობით ნაწამებ-გაუპატიურებულ-მოკლულ პატიმარზე; ქუჩებში ჩაცხრილულ ახალგაზრდებზე... და ეს კოშმარი, ვინ იცის, იქნებ 9 წელიწადზე მეტ ხანსაც გაგრძელებულიყო, რომ არა იმხანად „წინააღმდეგობის მოძრაობის“ (დღეს „პატრიოტთა ალიანსი“) მიერ მოპოვებული და გამომზეურებული ე.წ. ციხის სკანდალური კადრები. სწორედ ამ კადრებმა განაპირობა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ნაცმოძრაობის“ მარცხი, მიუხედავად მიშ-ნაცების ყოვლისშემძლე მფარველის — აშშ-ის საელჩოს ძალისხმევისა. ე.წ. ციხის კადრებმა ქართველი ერის ისეთი ძალისა და მასშტაბის აღშფოთება გამოიწვია, რომ აშშ მიხვდა, — ერთ მუშტად შეკრული ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლა დიდ სისხლისღვრას ნიშნავდა და ამიტომ აშშ-ის საელჩომ აღიარა „ნაციონალური მოძრაობის“ მარცხი, მაგრამ ის მაინც მოახერხა, რომ ნაცები ე.წ. კოაბიტაციის „შემოგდებით“ სრულ პოლიტიკურ (იქნებ, ფიზიკურსაც) განადგურებას გადაარჩინა... **სწორედ ავადსახსენებელი კოაბიტაცის გამოა, რაც დღეს გვჭირს — აშშ-ისა და, საზოგადოდ, დასავლეთის მიერ „კულტივირებული“ კოაბიტაცია არა თუ მხსნელად მოევლინათ, არამედ პოლიტიკურ საფლავში მწოლიარე ნაცები, რომლებსაც „მიწის მიყრალა აკლდათ“, ნელ-ნელა მოღონიერდნენ და აქეთ გვემუქრებიან კონტრრევოლუციით.**

სწორედ ამიტომ (და არა მხოლოდ ამიტომ) თქვენმა მონა-მორჩილმა ჯერ კიდევ 2015 წლის 22 სექტემბერს თბილისში, რიყეზე აშშ-ის ერთ-ერთი წარმატებული პრეზიდენტის, **რონალდ რეიგანის,** ცნობილ ძეგლთან მოვაწყვე საპროტესტო აქცია-პერფორმანსი — აშშ-ის პრეზიდენტის (რომელსაც პიროვნულად არაფერს ვერჩოდი და ახლაც არაფერს ვერჩი) ძეგლი პროტესტის ნიშნად თეთრად შევღებე. ამ სიმბოლური აქტით სწორედ ზემოხსენებული ჩაისა და შაქრის ამბავი გავაპროტესტე. მსგავსი ქმედება ან 90-დღიან ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებს, ან ფულად ჯარიმას და მეგონა, თვით ფაქტი მედია-ხმაურს გამოიწვევდა. სწორედ აი აქ შევეჩეხე მედიის ვირეშმაკობას. რიყის პარკის დაცვის წევრს, რომელსაც ჩემი „მალიარობა“ არ დაუნახავს, თვითონ ვაუწყე მომხდარის შესახებ. უნდა გენახათ მისი დაბნეული გამომეტყველება. სახეზე „ეწერა“ — „გაკრასკე? ჰოდა, წადი რაღა! ახლა რა ვქნა, ხომ დავკარგავ სამსახურს?!“ ვუთხარი, რაც უნდა გაეკეთებინა — პატრული გამოვაძახებინე; ერთბაშად სამი ეკიპაჟი მოვარდა. ახლა მათი სახეები უნდა გენახათ — სასამართლოში დარეკეს და იქიდან ელოდნენ პასუხს, რომელ საათზე გამასამართლებდნენ(?!). ამ ლოდინში 3-4 საათი გავიდა. ბოლოს ვილაცამ (ჩემი აზრით, სუსიდან) დარეკა და იქვე, მოპირდაპირე მხარეს ამიყვანეს გამომძიებელთან (პატარა გოგონა იყო) დაკითხვაზე და ახლა იქ დაიწყო აბსურდის მეორე განყოფილება



**როგორც ჩანს, დასავლეთში და, კერძოდ, ამერიკაში ნეოლიბერასტებსა და ნეოკონსერვატორებს შორის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაშია. ვინ — ვის: რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების მომხრენი, რომელთა რიგებს დონალდ ტრამპიც მიეკუთვნება, თუ ე.წ. ქორები, რომლებიც პენტაგონსა თუ სენატ-კონგრესში უმრავლესობაში არიან?!**



— ვცდილობდი, როგორმე სასამართლოს წინაშე წარვმდგარიყავი, ის პატარა გოგონა კი პირიქით — ჩემი უდანაშაულობის დამტკიცებას ცდილობდა და ბოლოს გაიტანა კიდეც თავისი — არც დამაპატიმრეს და არც დამაჯარიმეს. რატომ? ამას მოგვიანებით მივხვდი — **სასამართლოს ნებისმიერი განაჩენი ხელისუფლებისთვის მიუღებელი იქნებოდა, რადგანაც დამაჯარიმებდნენ თუ დამაპატიმრებდნენ, ორივე შემთხვევაში უნდა გამართულიყო სასამართლო პროცესი, რომელსაც ჩემი კოლეგა ჟურნალისტები დაესწრებოდნენ. ეს ერთი. მეორე და მთავარი — როგორც განსასჯელი, ბოლო სიტყვის უფლებას იმისთვის გამოვიყენებდი, რომ ხმამაღლა განმეცხადებინა კოაბიტაციისა და ჩაიში შაქრის ჩაყრის შესახებ.** აი რატომაც არ შედგა სასამართლო, მაგრამ მასმედია? ვინმე დაიჯერებს, რომ „რუსთავი 2“-მა, განებავთ, **ინგა გრიგოლიამ** ვერ გაიგო ჩემ მიერ მისტერ რეიგანის „შეურაცხყოფის“ შესახებ?

არც ერთმა ტელევიზიამ, „ობიექტივის“ გარდა, გაზეთებიდან კი „საქართველო და მსოფლიოსა“ და „ასავალ-დასავალის“ გარდა, არავინ გააშუქა ჩემი „თავხედობა“... აი, ახლა კი მივადექი წინამდებარე წერილის მთავარ სათქმელს:

**პოსტსაბჭოთა სივრცეში არსად გამართულა ისეთი მასშტაბური საპროტესტო აქცია აშშ-ის საელჩოსთან, როგორიც 15 სექტემბერს თბილისში გაიმართა „პატრიოტთა ალიანსის“ ორგანიზებით.** აქედან გამომდინარე, „პატრიოტთა ალიანსის“ საპროტესტო აქციას თამამად შეიძლება ვუწოდოთ უპრეცედენტო და, თუ მონაწილეთა რაოდენობასაც გავითვალისწინებთ — 15 ათასს, გრანდიოზულიც. გავკადნიერდები და **თავს უფლებას მივცემ, პარალელი გავავლო ჩემ მიერ გამართულ 4 წლისწინანდელ პერფორმანსსა და „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ ორგანიზებულ აქციას შორის — ორივე აქცია მასშტაბით განსხვავდება, თორემ სულისკვეთება, განებავთ, შინაარსი, ორივეს ერთნაირი აქვს — არ გვინდა კოაბიტაცია, არ გვინდა ამერიკის დირექტორობა და ა.შ.**

ჩემი არ იყოს, „პატრიოტთა ალიანსიც“ მედიის ვირეშმაკობის მსხვერპლი აღმოჩნდა. მართალია, აქციის სრული იგნორირება ვერ გაბედეს (როგორი „ნიჭიერი“ ოპერატორებიც უნდა ჰყავდეთ ლიბერასტულ ტელევიზიებს, 15 ათასი კაცის დამალვა შეუძლებელია), სამაგიეროდ, „მთავარმა არხმა“, „ტვ პირველმა“, **ინგა გრიგოლიამ თუ ვახო სანაიამ, გიორგი გაბუნიამ** თუ **ეკა კვესიტაძემ** ვირეშმაკობას მიმართეს და „პატრიოტთა ალიანსის“ აქციაზე სრულფორმატიანი თოკ-შოუ არ გააკეთეს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მსგავს „რეაქციაში“ ორივე მხარე უნდა მიიწვიო და მხოლოდ **ირმა ინაშვილი** დადებდა ბეჭებზე ზემოთ ჩამოთვლილ ლიბერასტებს ნებისმიერ სტუდიაში. ამიტომაც ამ მიშას ჯიბის ჟურნალისტებმა „ვანოს შოუში“ სუკისნომრიანი აგენტის, **ლევან ბერძენიშვილის,** უნიჭო ლადაობა არჩიეს ირმა ინაშვილსა და დავით თარხანმოურავს...

**მინდა, მკითხველს შევახსენო ჩემი წინა სტატიიდან ეპიზოდი ირმა ინაშვილისთვის მოულოდნელი მხარდაჭერის შესახებ, რომელიც 10 სექტემბერს საერთაშორისო კონფერენციაზე ტურებით სავსე დარბაზში აღმოუჩინა პრეზიდენტ ტრამპის მიერ თბილისში წარმოგზავნილმა უცნობმა ქართველმა — როგორც ჩანს, დასავლეთში და, კერძოდ, ამერიკაში ნეოლიბერასტებსა და ნეოკონსერვატორებს შორის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაშია. ვინ — ვის: რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების მომხრენი, რომელთა რიგებს დონალდ ტრამპიც მიეკუთვნება, თუ ე.წ. ქორები, რომლებიც პენტაგონსა თუ სენატ-კონგრესში უმრავლესობაში არიან?!** ანალიტიკოსები პრეზიდენტ ტრამპის მკვლელობის ალბათობაზე დღეს უკვე სერიოზულად ლაპარაკობენ. რა, ერთი და ორი პრეზიდენტი „გაუგორებიათ“ იანკებს?!

პენტაგონის ზოგიერთი გენერალი კი სერიოზულად განიხილავს რუსეთზე ბირთვული დარტყმის შესაძლო ვარიანტებს. აქედან გამომდინარე, ის, რაც პატარა საქართველოში დღეს ხდება, ზემოხსენებული დაპირისპირების ოდნავ სახეცვლილი მინი-მოდელია. ჩვენთანაც ასეა: **ვინ — ვის: რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების მომხრე „პატრიოტთა ალიანსი“ თუ სააკაშვილ-ბოკერიები, არასამთავრობო სექტორი და ვირეშმაკა მედია, რომელთა მიზანი საქართველოს ნატოში ნებისმიერ ფასად, თუნდაც ახალი ტერიტორიების დაკარგვის ფასად ინტეგრაციაა? ამ ჭიდილში „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ დეკლარირებული ე.წ. სამხედრო მიუმხრობლობა ხვალ შეიძლება საკმარისი აღარ იქნეს და პირიქით — სამხედრო-პოლიტიკური მხარდამჭერის ძიება შეიძლება იყოს საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა.**

გაქაჩავს „პატრიოტთა ალიანსი“ ამდენს? ამას დრო გვიჩვენებს...

**დავით მხეიძე**

„რეალურია ის, რომ რუსეთის ნდობა მოვიპოვოთ, აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობები, დამყარდეს სამოკავშირეო ურთიერთობები, რათა მეზობელი ქვეყანა დარწმუნდეს, როგორი ძვირფასია მისთვის საქართველო, როგორც გეოპოლიტიკური მოკავშირე, და მხოლოდ ასეთი კომპლექსური ღონისძიებების გატარების შემდეგ (შესაძლოა, ამას წლები დასჭირდეს) გაჩნდება საფუძველი, რომ ქართველებმა, ოსებმა და აფხაზებმა რუსებთან ერთად დავილაპარაკოთ და მივაღწიოთ გარკვეულ შეთანხმებებს. თუ ეს ასე მოხდება, ძალიან კარგი იქნება, სხვა ყველაფერი კი ბლეფია“.

თაჩიდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გულბაათ რცხილაძე:

# აფხაზეთი კი არა, აგერ, აჭარაში რა ხდება, ის ვერ გაგვიგია

**27 სექტემბერს სოხუმის დაცემის დღიდან 27 წელიწადი შესრულდება... სოხუმისთვის გადამწყვეტ ბრძოლას წინ უძღვოდა 1993 წლის 27 ივლისს სოჭში დადებული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და კონფლიქტის ზონიდან სამხედრო ტექნიკის გაყვანის თაობაზე, მაგრამ ეს შეთანხმება 16 სექტემბერს აფხაზებმა დაარღვიეს. ამ დღეს სეპარატისტებმა ფართომასშტაბიანი იერიში მიიტანეს სოხუმზე ზღვიდან, ჰაერიდან და ხმელეთიდან.**

საქართველოს კი, შეთანხმების თანახმად, მძიმე შეიარაღების დიდი ნაწილი უკვე გაყვანილი ჰყავდა კონფლიქტის ზონიდან. ქართულმა ნაწილებმა ვერ გაუძლეს შემოტევას და ქალაქი დაეცა. დაუზუსტებელი მონაცემებით, ამ კონფლიქტში 10 ათასზე მეტი ქართველი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, 300 ათასი კი უსახლკაროდ დარჩა და დევნილად იქცა. სოხუმის დაცემის დღეს აფხაზმა სეპარატისტებმა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა 30-მდე ქართველთან ერთად დახვრიტეს. 27 სექტემბერს დაეცა სოხუმი, 29 სექტემბერს – ოჩამჩირე, ხოლო 30 სექტემბერს – გალი, შედეგად აფხაზეთი სეპარატისტების ხელში გადავიდა.

რა შანსი აქვს საქართველოს, რომ აფხაზეთი კვლავ ჩვენი ქვეყნის იურისდიქციაში მოექცეს? რა შეცდომები დაუშვა საქართველოს ხელისუფლებამ და რა უნდა გავაკეთოთ, უწინარესად, იმისთვის, რომ ქვეყანა გამთლიანდეს?

**გვესაუბრება „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე:**

**— ბატონო გულბაათ, სოხუმის დაცემის დღიდან 27 წელიწადი გადის. სამწუხაროდ, ამ დღეს მხოლოდ დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემი ღონისძიებებით შემოვიფარგლებით ხოლმე, დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად კი ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს ქვეყანას. მეტიც — სოციოლოგიურ კვლევებში თითქმის გაქრა პუნქტი ტერიტორიების დაბრუნების მოთხოვნის შესახებ, ამ საკითხზე არ საუბრობენ საპრეზიდენტო კანდიდატები და პოლიტიკური პარტიები...**

— დავიწყოთ იმით, რომ შეკითხვაში უკვე შეცდომა დაუშვით. საქართველოს ავნებს გავრცელებული ტერმინი „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“, რომელიც ოსებისა და აფხაზებისთვის ომთან, ჩაგვრასა და განადგურებასთან ასოცირდება. თუ ვილაპარაკებთ საქართველოს გამთლიანებაზე, ნებაყოფლობით გაერთიანებაზე, რომ ოსები და აფხაზები ისევ დაგვიბრუნდნენ, რათა ჩვენთან ერთად იცხოვრონ ერთ სახელმწიფოებრივ სივრცეში, ეს სულ სხვა საკითხია.

სამწუხაროდ, **ბევრი საუბრობს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, მაგრამ ეს მავნებლობასთან ერთად ისე არარეალურია, რომ ხალხში უკანა პლანზე გადაინაცვლა. მეძავი პოლიტიკური პარტიებისგან განსხვავებით, ხალხი ხვდება, რომ ასე საუბარი არ შეიძლება. პოლიტიკოსები, პრონატოელები თუ პრორუსები ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ლაპარაკობენ, რაც უკვე შეცდომაა.**

რეალურია ის, რომ რუსეთის ნდობა მოვიპოვოთ, აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობები, დამყარდეს სამოკავშირეო ურთიერთობები, რათა მეზობელი ქვეყანა დარწმუნდეს, როგორი მნიშვნელოვანია მისთვის საქართველო, როგორც გეოპოლიტიკური მოკავშირე, და მხოლოდ ასეთი კომპლექსური ღონისძიებების გატარების შემდეგ (შესაძლოა, ამას წლები დასჭირდეს) გაჩნდება საფუძველი, რომ ქართველებმა, ოსებმა და აფხაზებმა რუსებთან ერთად დავილაპარაკოთ და მივაღწიოთ გარკვეულ შეთანხმებებს. თუ ეს ასე მოხდება, ძალიან კარგი იქნება, სხვა ყველაფერი კი ბლეფია. მხოლოდ ასეთ გადაწყვეტილებას ექნება ხალხის მხარდაჭერა, დანარჩენს ქართველი საზოგადოება მხარს არ დაუჭერს. სხვა დანარჩენი, რასაც ახლა ხელისუფლება გვთავაზობს, არარეალურია.

**— 2000 წელს და უფრო ადრეც პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ ერთ-ერთ გაზეთს მისცა ინტერვიუ, ის ამბობდა: „ჩვენი ქვეყნის დღევანდელმა მმართველებმა კარგად უწყიან, რომ ხალხი თანდათან ყველაფერს ეგუება და რა დანაშაულებრივი ქმედებაც უნდა ჩაიდინოს ხელისუფლებამ, საზოგადოებას პროტესტის თავიც არ აქვს. ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი შეეგუა იმ აზრსაც, რომ აფხაზეთი დაკარგულია“. მართლა შეეგუა ხალხიც და მთავრობაც სოხუმისა და ცხინვალის დაკარგვას?**

— კი, ასეა. მთავრობა და საზოგადოების გარკვეული ნაწილი შეგუებულია. ახლაც და შორეულ პერსპექტივაშიც სასიკეთო არაფერი მოხდება. ეს თვითონაც იციან, თუმცა, შესაძლოა, საოცრების მოლოდინში არიან. იმ ინტერვიუში **ალექსანდრე ჭაჭია** ამბობს: იმხანად ყველას სჯეროდა, რომ „**შევარდნაძე** რამეს იზამს“... მართლაც ასე იყო, ხალხი შევარდნაძისგან საოცრებას ელოდა — გამოცდილ პოლიტიკოსს მსოფლიო პატივს სცემდა... მერე იყო **სააკაშვილი,** რომელიც პროვოკაციულად და უსინდისოდ აღვივებდა იმედს ხალხში. გახსოვთ, ალბათ, მისი ბრიყვი მინისტრი **ოქრუაშვილი** რომ ამბობდა: ახალ წელს ცხინვალში შევხვდებითო. ამ ტყუილებს იმედგაცრუების დიდი ტალღა მოჰყვა.

მართალს ამბობდა ალექსანდრე ჭაჭია, 2000 წელს უკვე იყო არეულობის ნიშნები, შევარდნაძის გარემოცვა დასუსტებული გახლდათ, არეულ-დარეული იყო ყველაფერი, სააკაშვილი და მისი გუნდი საბოტაჟს ამზადებდა, შესაბამისად, სოხუმი და ცხინვალი აღარავის ახსოვდა.

**— 2013 წელს, როდესაც ახალი ხელისუფლება — „ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადებოდა, ალექსანდრე ჭაჭიამ ასეთი რამ თქვა: „ხელისუფლებას ვთავაზობდი, პრეზიდენტი კანონით დაევალდებულებინა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით დაკავებულიყო აფხაზებთან, ოსებთან და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების დარეგულირებით, მაგრამ ხელისუფლებამ ბუტაფორიული პრეზიდენტი არჩია“...**

— ძალიან კარგი იქნებოდა, პრეზიდენტისთვის ეს ფუნქციები შეეთავსებინათ კანონით, მაგრამ უფრო კარგი იქნებოდა, თვითონ ალექსანდრე ჭაჭია ყოფილიყო პრეზიდენტი. ისეთ პრეზიდენტს, დღეს საქართველოს რომ ჰყავს, რა უფლება-მოვალეობა ექნება, რა მნიშვნელობა აქვს?!

20 სექტემბერს ნაცების აქციაზე ერთადერთი რამ მომეწონა — ახალგაზრდა ბიჭს ხელში ბანერი ეჭირა წარწერით: „სალომე, სანამ გაეროში სიტყვით გამოხვალ, ტექსტი წაგვაკითხე!“

**— შეძლებდა ალექსანდრე ჭაჭია რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის დარეგულირებას, აფხაზებსა და ოსებთან მოლაპარაკებას, ურთიერთობის დათბობას?**

— მე თითქმის ყველა ინტერვიუში ვამბობ, ბლოგში თუ საინფორმაციო პორტალში ვწერ, — რატომ არ იყენებს მთავრობა ჭაჭიას პოტენციალს-მეთქი. არსად არ დანიშნონ, უბრალოდ, შესაბამისი სტატუსი მიანიჭონ და საქმე გააკეთებინონ. ბატონმა ალექსანდრემ თავისი შესაძლებლობების გამოყენება ბევრჯერ შესთავაზა ხელისუფლებას, ისე, რომ თანამდებობა არ მოუთხოვია, არ მოუთხოვია ძალაუფლება და არც ის უთქვამს, რომ ქვეყანას ევრაზიულ კავშირში შეიყვანდა, ის, უბრალოდ, დახმარების ხელს უწვდის საქართველოს მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობის დასარეგულირებლად. ჭაჭია უნდა გამოჩნდეს რუსეთის პრეზიდენტთან ერთად და მერე ნახავთ, აქ რა ამბები დატრიალდება, როგორ შეიცვლება დამოკიდებულება მის მიმართ.

რუსებს მოუგვარებელი აქვთ თავიანთი პოლიტიკა საქართველოს მიმართ, ყველაფერი გადავადებული აქვთ. ჩვენი ხელისუფლება კი თვლემს და დუმს. არადა, საჭიროა ისეთ ადამიანთან თანამშრომლობა, როგორიცაა ალექსანდრე ჭაჭია. ის არის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ბრწყინვალე ანალიტიკოსი და აუცილებელია ასეთი ადამიანის ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოყენება.

ბუნებრივ რესურსებზე, წიაღისეულზე, ფულსა და ბუნებრივ სიკეთეებზე მეტად საქართველოს კვალიფიციური კადრების დეფიციტი აქვს, ამიტომ, როდესაც ასეთი შესაძლებლობა აქვს ქვეყანას, როდესაც ჰყავს ალექსანდრე ჭაჭიასნაირი ადამიანი, უნდა გამოიყენოს. ბატონი ალექსანდრე ქვეყანას გამოადგება რუსეთში, მას აქვს ავტორიტეტი მეზობელ ქვეყანაში, შეუძლია ბევრი რამის მოგვარება, ამიტომ უნდა ჰქონდეს სტატუსი, ის, როგორც კერძო პირი, ვერ იმუშავებს სახელმწიფოს საქმეებზე — ეს ყველგან უნდა ითქვას მკაფიოდ.

**— როდესაც ხელისუფლება წინასაარჩევნო გეგმას ადგენს და ამ გეგმაში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხიც შედის, ეს პოპულიზმიდან გამომდინარეობს თუ...**

— თუ პარლამენტის თავმჯდომარე **არჩილ თალაკვაძის** ათპუნქტიან გეგმაზე მელაპარაკებით, კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგან არც წამიკითხავს, არც მომისმენია და არც ვაპირებ გაცნობას. ვინ არის ეს კაცი, რა „მოხელე ნაჩალნიკია“?! **ჰენრი კისინჯერია** თუ... ამაზე დროის დახარჯვა არ ღირს.

**— 27 წელიწადი გავიდა აფხაზეთის დაკარგვიდან, რა შანსი არსებობს მისი შემოერთების?**

— შევთანხმდეთ, რომ „ტერიტორიების შემოერთებას“ აღარ ვიტყვით.

**რა ტერიტორიების დაბრუნება? სად ვართ?! ვის მოუნდება ამ ქვეყანაში დაბრუნება ან ტერიტორიებს ვინ დაგვითმობს?** ამ ხალხს ჯერ ისიც ვერ გაუგია, აფხაზეთში ვინ გვებრძოდა, რადგან ამბობენ, რუსეთს ვეომებოდითო. **ჩვენი საზოგადოების რაღაც ნაწილში ჯოხარ დუდაევის კულტი რომ არის გამეფებული, მათ მოჰკითხონ, ვის ვებრძოდით და რატომ დაიკარგა აფხაზეთი. ჯერ გავარკვიოთ, ჩეჩენი და ჩრდილოკავკასიელი ბანდიტები რას სჩადიოდნენ ამ ომში. სანამ ყველაფერი არ გაირკვევა, სანამ ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა, ამ თემაზე საუბარს აზრი არ ექნება.**

უიმედოა საქართველოს მდგომარეობა ამ წუთშიც და უახლოეს მომავალშიც... აფხაზეთი კი არა, აგერ, აჭარაში რა ხდება, ის ვერ გაგვიგია; ჯერ ვერ გაგვირკვევია, მეჩეთები გვინდა, ტურიზმის განვითარება თუ თურქეთი... ასე რომ, იმას მივხედოთ, რაც ჯერ არ დაგვიკარგავს, დაკარგულზე კი მერე ვილაპარაკოთ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«რატომ არ იყენებს მთავრობა ალექსანდრე ჭაჭიას პოტენციალს? არსად არ დანიშნონ, უბრალოდ, შესაბამისი სტატუსი მიანიჭონ და საქმე გააკეთებინონ. ბატონმა ალექსანდრემ თავისი შესაძლებლობების გამოყენება ბევრჯერ შესთავაზა ხელისუფლებას, ისე, რომ თანამდებობა არ მოუთხოვია»**

**«რა ტერიტორიების დაბრუნება? სად ვართ?! ვის მოუნდება ამ ქვეყანაში დაბრუნება ან ტერიტორიებს ვინ დაგვითმობს? ამ ხალხს ჯერ ისიც ვერ გაუგია, აფხაზეთში ვინ გვებრძოდა, რადგან ამბობენ, რუსეთს ვეომებოდითო. ჩვენი საზოგადოების რაღაც ნაწილში ჯოხარ დუდაევის კულტი რომ არის გამეფებული, მათ მოჰკითხონ, ვის ვებრძოდით და რატომ დაიკარგა აფხაზეთი. ჯერ გავარკვიოთ, ჩეჩენი და ჩრდილოკავკასიელი ბანდიტები რას სჩადიოდნენ ამ ომში. სანამ ყველაფერი არ გაირკვევა, სანამ ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა, ამ თემაზე საუბარს აზრი არ ექნება»**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თუ ერთ-ერთი დამნაშავე, რომელიც ბავშვებს რყვნიდა და არასრულწლოვნებით ვაჭრობდა, წინა ხელისუფლებამ პედაგოგის სტატუსით შემოიყვანა ქვეყანაში, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: უნდა დაინტერესდეს თუ არა გამოძიება იმ ადამიანებით, რომლებმაც უზრუნველყვეს ამ ხალხის არჩევა-ჩამოყვანა?!“



ვაჟა ოთარაშვილი:

# შევიდნენ ღამით რომელიმე არაბულ «ბარში» აღმაშენებელზე ან პარლამენტთან ახლოს და იხილავენ ქართველ არასრულწლოვანთა პორნოგრაფიას

**უცხოელ სამართალდამცველებთან ერთად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ რამდენიმეთვიანი ოპერატიული სამძებრო-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის დამზადებისა და ტრეფიკინგის ბრალდებით 11 პირი დააკავეს. მათგან ერთ-ერთი აღმოჩნდა თავის დროზე პროგრამის — „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“ ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული, 1961 წელს დაბადებული ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე აღმოჩნდა. ბრალდებულს, რომელსაც წლების წინათ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ინიცირებულმა ვითომ საგანმანათლებლო პროექტმა საქართველოში გზა გაუხსნა და პედაგოგის სტატუსით მოზარდებთან ყოველდღიური ურთიერთობის საშუალება მისცა, მართლმსაჯულება უმძიმეს დანაშაულს ედავება. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, აშშ-ის მოქალაქეს და მასთან ერთად დაკავებულ სხვა პირებსაც ან 17-დან 20 წლამდე, ან უვადო პატიმრობა ემუქრებათ, თუმცა, როგორც უწყებაში განმარტავენ, გამორიცხული არ არის, გამოძიების დასრულების შემდეგ კიდევ სხვა დამნაშავეებიც გამოვლინდნენ.**

**ცნობისთვის:** ზემოაღნიშნული პირი 2011 წლის ოქტომბრიდან გორის რაიონის სოფელ ზეღდულეთის საშუალო სკოლაში ინგლისურს ასწავლიდა და დღის განმავლობაში დროის მნიშვნელოვან ნაწილს მოზარდებთან ატარებდა. მან სოფელში 9 თვე დაჰყო და სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ქვეყნიდან გაემგზავრა. ადგილობრივების ცნობით, შემდეგი სასწავლო წლიდან ისევ დაბრუნდა და გორის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა...

შეგახსენებთ, რომ პროგრამა „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“ თავის დროზე მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით მომზადებული ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური პროექტი იყო, რომელიც განათლების სისტემაში მიმდინარე „ძირეული რეფორმების“ კვალდაკვალ ელვისებურად განხორციელდა. იგი 2010 წლის მარტიდან დაიწყო და მის ფარგლებში ქვეყანაში დაახლოებით 1000-მდე უცხოელი „პედაგოგი“ ჩამოვიდა. ეს ის პერიოდია, როცა ბრაიზა და კრამერი არიან საქართველოს „დირექტორები“. ხმაური და მითქმა-მოთქმა ამ პროექტს თავიდანვე არ აკლდა: ჯერ იყო ზუგდიდის მეოთხე საჯარო სკოლაში „მოღვაწე“ **თომას ფლეთჩერის** გარშემო ატეხილი სკანდალი, რომელიც მამათმავლობაში ამხილეს, შემდეგ — ამავე სკოლის დირექციის წინააღმდეგ დაწყებული მწვავე კამპანია, რომელსაც სკოლის ავტორიტეტთან ერთად მისი დირექტორის კარიერაც შეეწირა. ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი ფაქტია, რომ ზუგდიდის რაიონის ერთ-ერთ სოფელში უცხოელმა „პედაგოგმა“ ქალმა არასრულწლოვან მოსწავლეზე იქორწინა... მიუხედავად ამ ყველაფრისა, წინა ხელისუფლება ამ პროექტს „რეფორმების“ ყველაზე წარმატებულ ნაწილად თვლიდა. პროექტი ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც შენარჩუნდა და დღემდე გრძელდება...

**ვინ განსაზღვრავს დღეს საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს და რა შედეგები შეიძლება მოიტანოს ახლო მომავალში ამ სისტემაში მიმდინარე „რეფორმებმა“, რომელთაგან ზოგიერთი ფარულად, საზოგადოების ზურგს უკან მიმდინარეობს? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოეტი ვაჟა ოთარაშვილი.**

**— ბატონო ვაჟა, ამას წინათ სამართალდამცველების მიერ უმძიმესი ბრალდებით დაკავებული 11 პირიდან ერთ-ერთია ე.წ. უცხოელი პედაგოგი, რომელიც თავის დროზე სააკაშვილის ხელისუფლებამ ინგლისურის მასწავლებლად ჩამოიყვანა. მას ბრალი ედება არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის დამზადებასა და ტრეფიკინგის ორგანიზებაში. რაზე მიგვანიშნებს ეს ფაქტი, სად შეიძლება ვეძებოთ ამ დანაშაულის სათავეები?**

— ცოტა შორიდან დავიწყებ. **მიხეილ სააკაშვილისა** და მთლიანად ე.წ. რეფორმატორების გუნდის მავნებლური საქმიანობა თავიდანვე მიმართული იყო იმისკენ, რომ საქართველოს რაც შეიძლება მალე წაშლოდა ეროვნული იდენტობა. ამისთვის მიზანში ამოიღეს რამდენიმე ინსტიტუტი. ეს იყო **ეკლესია**- სამღვდელოება (მათი გამოკლებით, ვინც მათ შეეკრა); საღად მოაზროვნე **ინტელიგენცია** და **განათლება.** პირველი, რაც გააკეთეს, იყო ის, რომ უნივერსიტეტიდან გამოყარეს ძველი, ღვაწლმოსილი და დამსახურებული პროფესურა, პრაქტიკულად შეუწყვიტეს დაფინანსება და მოშალეს მეცნიერებათა აკადემია. მერე მიადგნენ სკოლებს და მოიგონეს სულელური სასერტიფიკაციო გამოცდები, რომლებიც ვითომ მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე იყო გათვლილი, მაგრამ სინამდვილეში რა კვალიფიკაციაც აუმაღლეს, ყველამ ვიცით. შედეგად სამსახურიდან გაათავისუფლეს ასობით პედაგოგი და პროფესორ-მასწავლებელი. აი, ამის შემდეგ სააკაშვილის ავადმყოფურ გონებაში მოიხარშა ის იდეა, რომ უცხოეთიდან ჩამოეყვანათ ინგლისურის „მასწავლებლები“. აქ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ **იმ დაახლოებით ათასამდე „მასწავლებლიდან“ არც ერთი არ იყო პედაგოგიური განათლებით.**

საერთოდ, **სააკაშვილსა და მის მიერ ხელდასხმულ მთავარ „რეფორმატორს“ — ალექსანდრე ლომაიას, რომელმაც „რეფორმების“ პირველი ტალღით, ფაქტობრივად, გამოშიგნა ქართული განათლების სისტემა, აკადემიური პედაგოგიური ცოდნის მიღება საჭიროდ არ მიაჩნდათ. ამის დადასტურება იყო ის, რომ მათ ერთმანეთის მიყოლებით გააუქმეს პედაგოგიური ინსტიტუტები და ვითომ უნივერსიტეტებად გადააკეთეს.** რა მივიღეთ საბოლოოდ? მივიღეთ ის, რომ საქართველო, რომელიც განათლების დონით ყოველთვის მოწინავე რესპუბლიკა იყო საბჭოთა კავშირში, უცებ აღმოჩნდა ე.წ. მსოფლიოს მესამე ქვეყნების რიგში. სხვათა შორის, მინდა გაგახსენოთ, რომ წლების წინათ მათი სათაყვანებელი ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი **თომას ჰამერბერგი** ამბობდა, ქართველი ბავშვები აკადემიური მოსწრების დონით ყველა ევროპულ ქვეყანას ჩამორჩებიანო.

**რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტს: თუ ერთ-ერთი დამნაშავე, რომელიც ბავშვებს რყვნიდა და არასრულწლოვნებით ვაჭრობდა, წინა ხელისუფლებამ პედაგოგის სტატუსით შემოიყვანა ქვეყანაში, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: უნდა დაინტერესდეს თუ არა გამოძიება იმ ადამიანებით, რომლებმაც უზრუნველყვეს ამ ხალხის შერჩევა-ჩამოყვანა?!** მაგრამ ვინ დაინტერესდება, როცა დღეს სახელისუფლებო გუნდი ისევ ძველი კადრებითაა გავსებული, მათ შორის განათლების სისტემაც.

**«ჩვენმა სულგაყიდულმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ხელი მოაწერა 200 ათასი სირიელი ე.წ. ლტოლვილის შემოყვანაზე. ახლა ვიღაცას ეს შეიძლება ფანტაზიად მოეჩვენოს, მაგრამ ეს იქნება უზარმაზარი ტალღა, რომელიც ევროპამ ჩვენსკენ გადმოამისამართა. ჩვენ ამ არაბულ ნაკადს მალე მივიღებთ და რა იქნება შედეგი, იმასაც ვნახავთ — მაქსიმუმ, ათ წელიწადში ქართველი ახალგაზრდობა აითქვიფება ამ ე.წ. ლტოლვილებში და კიდევ უფრო შორეულ პერსპექტივაში ცნება «ქართველი» საერთოდ რაღაც ნომინალური გახდება»**

**— შეგიძლიათ დაასახელოთ თუნდაც ერთი კადრი განათლების სისტემაში, რომელიც წინა ხელისუფლების დროსაც მუშაობდა?**

— მაგალითად, **სოფო გორგოძე** — ეროვნული საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი, რომელმაც **მაია მიმინოშვილის** მაფია შეცვალა. **სოფო გორგოძე, ფაქტობრივად, იყო ლომაიას ყავის მომდუღებელი რიგითი დამქაში. სხვებზე არაფერს ვამბობ... აი, ასეთი ხალხი უნდა გამოყარო იქიდან და არა მხოლოდ ისინი — ყველა, მინისტრით დაწყებული, დამთავრებული მისი მოადგილეებით.**

რაც შეეხება რეფორმებს, უვარგისად გამოაცხადეს და გააუქმეს **სტალინის** მიერ დანერგილი ძველი განათლების სისტემა, რომელიც განათლების უძლიერესი გერმანული მოდელი იყო და შემოიღეს ახალი „საგანი“ — უნარები. რა მეცნიერულ ცოდნას იძლევა ან ამოწმებს ეს „საგანი“, გაუგებარია. შედეგად მივიღეთ ის, რომ ბავშვი არის გაუგებრობაში, ჯერ ხომ სკოლაში არაფერს ასწავლიან და მერე უმაღლესში ისეთი საგნის ჩაბარებას სთხოვენ, რომელიც, საერთოდ, არ გაუვლია. **ბავშვის უფლებებზე საუბრობენ და ევროპული კონვენცია აკერიათ პირზე, ამაზე მეტი უფლების დარღვევა რა გინდა?!** ეს ერთი. მეორე — საატესტატო გამოცდები ხომ გააუქმეს, უმაღლესებშიც საბუნებისმეტყველო საგნები, პრაქტიკულად, ამოღებულია. ახლა წარმოიდგინეთ, ბავშვი ხდება ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი და მათემატიკა არ აქვს ჩაბარებული, მიდის სამედიცინო უნივერსიტეტში და ქიმია, ბიოლოგია არ აქვს ჩაბარებული.

**— ეს ყველაფერი მიზანმიმართული პოლიტიკაა თუ შეცდომების შედეგი?**

— არ შეიძლება, ამას შეცდომა ეწოდოს. **ეს არის მიზანმიმართული ნგრევის პოლიტიკა, რათა საქართველოში არ იარსებოს უმაღლესმა განათლებამ.** უმაღლესი განათლების მიღება ვისაც სურს, საზღვარგარეთ უნდა წავიდეს. აი, ესაა ამათი მავნებლური მიდგომა, რისთვისაც თითოეული მათგანი, დაწყებული ლომაიათი და დამთავრებული დღევანდელი ხელისუფლების ქორებით, რომლებმაც არანაკლები წარმატებით განაგრძეს ის ბოროტება, ციხის კედლებს უნდა ხეხავდნენ.

ახლა დავუბრუნდეთ იმ საზარელ დანაშაულს, რომელზეც 11 პირი და მათ შორის ერთ-ერთი, თავის დროზე სააკაშვილის მიერ დიდი პატივით ჩამოყვანილი ინგლისურის „მასწავლებელი“ აღმოჩნდა. ეს დღეებია, ერთ ამბავში არიან: თურმე რა უბედურება ტრიალებდაო. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ: **შევიდნენ ღამით რომელიმე არაბულ „ბარში“ აღმაშენებელზე ან პარლამენტთან ახლოს და იხილავენ ქართველ არასრულწლოვანთა პორნოგრაფიას. აქ ლაპარაკია 15-16 წლის გოგონებზე, რომლებიც არაბებთან, თურქებთან, ირანელებთან და კიდევ კაცმა არ იცის ვისთან ერთად შედიან ამ გარყვნილების ბუდეებში.** კიდევ ვიმეორებ: **ერი იღუპება, იხრწნება და ქრება სულიერად. ეს — რაც ჩანს აშკარად, თორემ, რაც არ ჩანს და ფარულად მიმდინარეობს, კიდევ სხვა საკითხია...**

აქვე მოკლედ შევეხები ერთ მნიშვნელოვან საკითხს. **ამ დღეებში განათლების მინისტრმა ამაყად გვაუწყა, რომ, თუ არ ვცდები, ქუთაისში დაიწყო ახალი ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობა, რომელმაც უნდა მიიღოს 60 ათასი სტუდენტი. ჩნდება კითხვა — დღევანდელ საქართველოში, სადაც კატასტროფული დემოგრაფიული მდგომარეობაა, არის 60 ათასი აბიტურიენტი?**

— მაშ, ვისთვის შენდება ამხელა უნივერსიტეტი?

**— მინდა, იცოდეს ქართველმა ერმა, რომ ჩვენმა სულგაყიდულმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ხელი მოაწერა 200 ათასი სირიელი ე.წ. ლტოლვილის შემოყვანაზე. ახლა ვიღაცას ეს შეიძლება ფანტაზიად მოეჩვენოს, მაგრამ ეს იქნება უზარმაზარი ტალღა, რომელიც ევროპამ ჩვენკენ გადმოამისამართა. ჩვენ ამ არაბულ ნაკადს მალე მივიღებთ და რა იქნება შედეგი, ვნახავთ — დიდი-დიდი, ათ წელიწადში ქართველი ახალგაზრდობა აითქვიფება ამ ე.წ. ლტოლვილებში და კიდევ უფრო შორეულ პერსპექტივაში ცნება „ქართველი“ რაღაც ნომინალური გახდება.**

— რა არის საჭირო იმისთვის, რომ ქვეყანა ამ პროცესს გადაურჩეს?

— რა თქმა უნდა, **საჭიროა ტოტალური წმენდა. სანამ რომელიმე განყოფილებასა თუ დეპარტამენტში, რომელიმე თუნდაც ნაკლებად მნიშვნელოვან თანამდებობაზე ისევ ის კადრები სხედან, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს, მხოლოდ საუბარი იმაზე, რა შეიძლება გავაკეთოთ, წყლის ნაყვაა. ვერაფერს გავაკეთებთ, იმიტომ, რომ, რაც უნდა ქნა, რაც უნდა მოინდომო, გორგოძისნაირი ავსულები, ბატიაშვილები და მათნაირები ყველაფერს წყალში გადაყრიან.** ასე რომ, თეორიულად ეს ყველაფერი ძალიან მარტივია: ჯერ უნდა მოიშორო ჭირი და მერე დაიწყო დაკარგულის აღდგენა.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

დემოგრაფია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2019 წლის პირველ ნახევარში საქართველოს ხელისუფლებას თავშესაფრის მიღების თხოვნით 585-მა უცხოელმა მიმართა, მათგან ირანის მოქალაქეა 249, ინდოეთის — 60, ეგვიპტის — 44, რუსეთის — 39 და თურქეთის — 33. საქართველოში იანვარ-ივნისის პერიოდში ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა ეგვიპტის 10, ავღანეთის 8, რუსეთის 2 და ტაჯიკეთის 1 მოქალაქეს. საქართველოს ხელისუფლებამ ჰუმანიტარული სტატუსი მიანიჭა იემენის 4, სირიის 1, უკრაინის 1 მოქალაქეს, ასევე — დაუდგენელი მოქალაქეობის მქონე ორ პირს.**

**როცა ბორის ბერეზოვსკი რუსეთიდან გაიქცა და თავი ნისლიან ალბიონს შეაფარა, ყველას ეგონა, რომ ცნობილ ოლიგარქს ბრიტანელები რუსეთის ფედერაციაში დააბრუნებდნენ, მაგრამ, ამის მიუხედავად, მას ქვეყნის მოქალაქეობა მიანიჭეს. მიზეზი მარტივია — ბერეზოვსკიმ ქვეყანაში რამდენიმე მილიარდიანი ინვესტიცია განახორციელა და ეს საკმარისი აღმოჩნდა, გაერთიანებული სამეფოს მფარველობა მიეღო. ამას გარდა, არცთუ იშვიათად, ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეობას ანიჭებენ სხვადასხვა სფეროს ცნობილ სპეციალისტებს, გამომგონებლებს, ექსპერტებს ან პირებს პოლიტიკური მოსაზრების გამო. სხვათა შორის, აქამდე ასე იყო — ამერიკაში დაბადებული ადამიანი ავტომატურად ხდებოდა ამ ქვეყნის მოქალაქე. ამ კანონის შეცვლას დონალდ ტრამპი აპირებს და ამბობს, რომ მხოლოდ შტატების ტერიტორიაზე დაბადება მოქალაქეობის მისაღებად საკმარისი აღარ იქნება.**

# საქართველოს მოსახლეობა კატასტროფის პირასაა, საშველი კი არ ჩანს

## ცქიტიშვილის ინიციატივის კანონად ქცევა პირდაპირ დაარტყამს შობადობას, რადგან ასჯერ გაყოფილი ლუკმის კიდევ დაქუცმაცება ისედაც მშიერ კუჭს ვერ გააძღებს, ამიტომ შვილების ყოლის სურვილიც უფრო შემცირდება



**დონალდ ტრამპმა** გაამკაცრა მოქალაქეობს მიღების კანონი ზუსტად ისე, როგორც ევროპის წამყვანი ქვეყნების უმრავლესობამ და ამას სახელმწიფოებრტივი აზროვნებითა და ქვეყნის უსაფრთხოებით ხსნიან.

ახლა **საქართველოზე** ვთქვათ — შსს-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემებით, 2019 წლის პირველ ნახევარში საქართველოს ხელისუფლებას თავშესაფრის მიღების თხოვნით 585-მა უცხოელმა მიმართა, მათგან **ირანის** მოქალაქეა 249, **ინდოეთის** — 60, **ეგვიპტის** — 44, **რუსეთის** — 39 და **თურქეთის** — 33. საქართველოში იანვარ-ივნისის პერიოდში ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა ეგვიპტის 10, ავღანეთის 8, რუსეთის 2 და ტაჯიკეთის 1 მოქალაქეს. საქართველოს ხელისუფლებამ ჰუმანიტარული სტატუსი მიანიჭა იემენის 4, სირიის 1, უკრაინის ერთ მოქალაქეს, ასევე დაუდგენელი მოქალაქეობის მქონე ორ პირს. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ყველაზე ხშირად თავშესაფარს ირანის, ინდოეთისა და ეგვიპტის მოქალაქეები ითხოვენ.

დარწმუნებული ვართ, რომ არც ერთი მათგანი არც გამომგონებელია, არც რომელიმე სფეროს ექსპერტი და არც მილიარდიანი ინვესტიციის განხორციელებას აპირებს ჩვენს ქვეყანაში. ირანული, ეგვიპტური თუ თურქული ინვესტიცია საქართველოში საშაურმის, მცირე ზომის რესტორნისა და ღამის კლუბის გახსნით შემოიფარგლება, იმ კლუბის, რომელშიც შემდეგ ქართველ კაცებს არ უშვებენ (ქალებისთვის კარი ღიაა) და ეს ადამიანები შემდეგ ქუჩაში სთავაზობენ სექსს ქართველ სრულწლოვან თუ არასრულწლოვან ქალებს. ახლა არ თქვათ, არ გაგვიგია ასეთი რამ ან არ ყოფილა შემთხვევა, ზემოთქმულის ნიადაგზე კონფლიქტი მომხდარიყოსო.

ახლა მეორე სამწუხარო სტატისტიკაზე გადავიდეთ.

2019 წლის იანვარ-ივნისის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობამ 22 945 ბავშვი შეადგინა, რაც 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 1 367-ით ნაკლებია (5,5%-ით) — შარშან 6 თვეში 24 312 ბავშვი დაიბადა. 2019 წლის იანვარ-ივნისში ყველაზე მეტი ბავშვი (7,580) დედაქალაქში დაიბადა, ხოლო ყველაზე ცოტა — რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (122). რაც შეეხება გარდაცვლილთა რაოდენობას, 2019 წლის იანვარ-ივნისში 24 563 ადამიანი გარდაიცვალა, 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში კი — 23 603.

ეს ზუსტად ის პრობლემაა, რომელზეც **არაერთხელ ვწერდით, რომ გარდაცვლილთა რაოდენობა, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გაუსწრებდა შობადობას (რიგ რეგიონებში კატასტროფულად უსწრებს) და ერის გადაშენების პროცესი დაიწყებოდა — არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნის მიხედვით, ქართველი ერი ერთ-ერთია იმ ერებს შორის, რომელსაც უახლოეს 50 წელიწადში გადაშენება ემუქრება. ისიც არაერთხელ დაგვიწერია, რომ ხელისუფლება ვალდებულია, ამ მიმართულებით რამე შეცვალოს და მოიფიქროს, მაგრამ ჯერჯერობით არც ნაფიქრი ჩანს და არც შეცვლის პერსპექტივა.**

**სამაგიეროდ, ხელისუფლება არა მხოლოდ ათასი ჯურის ადამიანებს ურიგებს უშურველად მოქალაქეობას და აძლევს თავშესაფარს, არამედ ჰუმანიტარული სტატუსი მიანიჭა დაუდგენელი მოქალაქეობის მქონე ორ პირს.**

ხელისუფლება შეუსწავლელად, განუკითხავად ყველას ურიგებს მოქალაქეობას თუ ცხოვრების უფლებას.

წინა ნომერში ვწერდით, საქართველოს 118 სკოლაში პირველი ზარი მხოლოდ იმ მიზეზით არ დაირეკა, რომ ამ სკოლებს პირველკლასელი არ ჰყავდა. რა თქმა უნდა, ესეც შობადობასთან არის დაკავშირებული და 118 სკოლა ხომ 118 სოფელია? ანუ, დაახლოებით ექვსი წლის წინათ იქ არც ერთი ბავშვი არ დაბადებულა და, თუ დაიბადა, ოჯახი აიყარა და გადასახლდა. არაერთი სკოლა, მეორე და მესამე წელია, პირველკლასელს ვერ იღებს და ისეთი სკოლაც ვიცით, სადაც... 6 ბავშვი სწავლობს და, როცა ისინი სწავლას დაასრულებენ, სკოლაც დაიხურება.

**ხანდახან გვგონია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს კითხვა ეზარებათ და ამ მონაცემებს, უბრალოდ, არ კითხულობენ. სხვაგვარად, როგორ შეიძლება არ გაშფოთებდეს ის, რაც ხდება, და არ ფიქრობდე ქვეყნის გადარჩენაზე?! ჰო, გადარჩენაზე, რადგან პირდაპირ წერია, რომ სიკვდილიანობა შობადობას აჭარბებს და ეს მიგვიყვანს გადაშენებამდე.** მოსახლეობის რაოდენობას რომ არაფერი დაეტყოს, მოქალაქეობას ვანიჭებთ გაურკვეველი პროფესიის, მენტალიტეტის, რელიგიის მქონე ადამიანებს. ჰო, რელიგიის და არავის შეურაცხყოფა, მაგრამ, მაგალითად, იმავე ინდოეთში 250-მდე მიმდინარეობაა და ლამის ყველა სოფელს თავისი კერპი ჰყავს. ძირითადი კონფესიები სავსებით საკმარისია, მაგრამ დღეს საქართველოში, იმ ძირითადების გარდა, 50-მდე გაურკვეველი მიმდინარეობაა, არიან ისეთებიც, რომელთა რაოდენობა მსოფლიოს მასშტაბით 100 კაცს არ აჭარბებს და ამას რელიგიას ეძახიან. არ გამორიცხოთ, ქართული მართლმსაჯულების ტოლერანტობის პირობებში, ადამიანთა ჯგუფს, რომელიც ნებისმიერ სახელს დაირქმევს, რელიგიური სტატუსი მისცენ, შენობაც გამოუყონ და მერე, შესაძლოა, სახელმწიფომაც დააფინანსოს.

**შარშანდელთან შედარებით შობადობა 5,5%-ით შემცირდა. პერსპექტივას თუ შევხედავთ და რეალობას თვალს გავუსწორებთ, უკეთესის შანსი არც გაისად ჩანს. ანუ, ამ პირობებში, სასწაული უნდა მოხდეს, რომ შობადობა გაიზარდოს, მაგრამ ასეთი სასწაულები არ ხდება. ისევ იქამდე მივდივართ, რომ მატერიალურად შეჭირვებული მოსახლეობა ერთ შვილზე მეტის გაჩენას ვერ რისკავს, რადგან იცის, რომ ორ შვილს ორმაგი სჭირდება და ის ორმაგი, უბრალოდ, არ არის.** ამ პროცესების პარალელურად, ზურგში დანის ჩარტყმას ჰგავს პარლამენტარ **დიმიტრი ცქიტიშვილის** ინიციატივა, რომელიც ორ ადგილზე მუშაობას კრძალავს. მისი მიზანი გასაგებია, **თუ ეს აკრძალვა ამოქმედდება, გამოთავისუფლებულ ადგილებზე სხვები დასაქმდებიან და დასაქმებულთა რაოდენობა ქაღალდზე მოიმატებს, მაგრამ ოფიციალურად, ადამიანების გარკვეულ კატეგორიას შემოსავალი მოაკლდება და ისინი იძლებულნი იქნებიან, ისედაც შემოჭერილი ქამრები წელის გაწყვეტამდე გადაიჭირონ.** რატომ ჰგონია ბატონ დიმიტრის, რომ ადამიანებს ორ და სამ სამსახურში მუშაობა სიამოვნებთ? რატომ ფიქრობს, რომ ამას სიხარულით აკეთებენ? და, **სავარაუდოდ, ცქიტიშვილს იმის სჯერა, რომ თითო სამსახურში რიგითი მოქალაქეები წლიურად 62 790 ლარს იღებენ, ანუ ზუსტად იმდენს, რამდენიც თვითონ ცქიტიშვილის შემოსავალი იყო შარშან. ბატონი პარლამენტარი ვერ ხვდება, რა საჭიროა ორ სამსახურში მუშაობა, როცა ამხელა შემოსავალი გაქვს და, რაც მთავარია, ის ამას სახელმწიფოს სახელით აკეთებს.** უფრო ზუსტად, ცქიტიშვილი ამბობს: სახელმწიფო ვალდებულია, მოქალაქეები დაიცვას ზედმეტი შრომისგანო. იმას კი არ ამბობს, ღირსეული სამსახურები შევთავაზოთ, ორ და სამ სამუშაოზე რომ არ იკლავდნენ თავსო, არა — რაც აქვთ, ისიც წავართვათ, მერე ადვილად რომ დავიმონოთო. დიახ, სწორედ ეს არის მთავარი მიზანი და კიდევ ის, რომ გამოთავისუფლებულ ადგილებზე, მათხოვრულ ხელფასზე სხვა დასაქმდება და მერე ხმამაღლა იტყვიან: უმუშევრობის რიცხვი რეკორდულად შევამცირეთ, მთელი საქართველო მუშაობს, გუგუნებს ქვეყანაო...

ნამდვილად ვერ გეტყვით, რას აპირებს ხელისუფლება, რადგან შობადობის წასახალისებლად განცხადებები არ კეთდება და გულში რა უდევთ, მხოლოდ თვითონ იციან. ვერც იმას გეტყვით, რომ ეს პრობლემა აღელვებს ხელისუფლებას, მაგრამ ფაქტია: **საქართველოს მოსახლეობა კატასტროფისკენ მიდის და ამ გადმოსახედიდან საშველი არ ჩანს.** ცქიტიშვილის ინიციატივის კანონად ქცევა პირდაპირ დაარტყამს შობადობას, რადგან ასჯერ გაყოფილი ლუკმის კიდევ დაქუცმაცება ისედაც მშიერ კუჭს ვერ გააძღებს და ამიტომ შვილების ყოლის სურვილიც უფრო შემცირდება. ჩვენი ინტელიგენცია კიდევ ხმამაღლა გაიძახის: თუ რჩენის თავი არ გაქვთ, ბევრ შვილზე ნუ იფიქრებთო... ხელისუფლებას კი არ უკიჟინებს, რამე მოიფიქრეთ, მრავალშვილიანებს დაეხმარეთ, ხალხს ღირსეული სამსახურები მიეცითო. არა! შვილები არ გააჩინოთო, და თან იმას გვაყვედრიან, — ინტელიგენცია ვართ და თაყვანს რატომ არ გვცემთო...

**არაერთხელ ვწერდით, რომ გარდაცვლილთა რაოდენობა, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გაუსწრებდა შობადობას (რიგ რეგიონებში კატასტროფულად უსწრებს) და ერის გადაშენების პროცესი დაიწყებოდა — არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნის მიხედვით, ქართველი ერი ერთ-ერთია იმ ერებს შორის, რომელსაც უახლოეს 50 წელიწადში გადაშენება ემუქრება. ისიც არაერთხელ დაგვიწერია, რომ ხელისუფლება ვალდებულია, ამ მიმართულებით რამე შეცვალოს და მოიფიქროს, მაგრამ ჯერჯერობით არც ნაფიქრი ჩანს და არც შეცვლის პერსპექტივა**

**ბესო ბარბაქაძე**

ჩაკუჩი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კარგად თუ გავაანალიზებთ ქალბატონ კალიულაიდის განცხადებას, მივხვდებით, რომ ის ევროპას რუსეთთან აგრესიისკენ კი არ მოუწოდებს, არამედ ჩვენ გვიბიძგებს — აქაოდა, თქვენ დაუპირისპირდით რუსეთს და ევროპა მხარს დაგიჭერთ, ადრინდელივით არ მიგაგდებთო. ოღონდ, ესტონეთის პრეზიდენტი რაიმე გარანტიას კი არ იძლევა, არამედ „ევროპულად“ გვპირდება, რაც შემდეგ, წესისამებრ, აღშფოთებაში ან შეშფოთებაში გადაიზრდება და ამით დასრულდება. მერე ახალი „კალიულაიდი“ გამოჩნდება, რომელიც იმავეს გვეტყვის და იმავე წრეზე გაგვიშვებს.**

# როცა სხვა გკარნახობს საგარეო თუ საშინაო კურსს, დამოუკიდებელი ქვეყანა კი არა, კოლონია ხარ

**სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ფაქტი: 30-წლიანი მოლოდინი, რომ საქართველო რამეს შექმნიდა, საკუთარი პროდუქციით ვირჩენდით თავს და მსოფლიოს გავაოცებდით, მოლოდინად რჩება. ოპოზიციაში მყოფი პარტიები გაიძახიან, რომ აქვთ განვითარების გეგმა, რომ ქვეყნის გადარჩენის სტრატეგია ზუსტად იციან, მაგრამ, როცა ხელისუფლების სათავეში ხვდებიან, გამოდის, რომ არც სტრატეგია აქვთ, არც გეგმა და, საზოგადოდ, მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებაზე ფიქრობენ. არის მეორე ვარიანტიც — დავუშვათ, ასეთი გეგმა მართლაც არსებობს, რისთვის სჭირდება ძლიერი საქართველო, მაგალითად, ევროპას ან ამერიკას?**

**იმ პროპაგანდის მიუხედავად, რომელსაც ევროპა და ამერიკა ეწევიან საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ, ექსპორტის მიმართულებით მაინც რუსეთი ლიდერობს, ხოლო უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა შორის მეორე ადგილზეა თითქმის მილიარდდოლარიანი ბრუნვით**




**თუ ვინმე ფიქრობს, რომ NDI-ის კვლევები სიმართლესთან ახლოსაა, ნებისმიერი კვლევა აიღეთ, შეადარეთ შემდეგ დამდგარ რეალობას და მიხვდებით, რომ ცდომილება ძალიან დიდია. სწორედ ამიტომ არის გამოსავალი რეფერენდუმი, სადაც მოსახლეობა მივა და თავის პოზიციას გამოხატავს ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო კურსზე. ხომ ამბობს ხელისუფლება, ხალხის მსახურები და მათ მიერ დაქირავებულები ვართო? ჰოდა, კეთილი ინებეთ, ჩაატარეთ რეფერენდუმი და შემდეგ პატივი ეცით იმ ხალხის ნებას, რომლის გადასახადებიდანაც ილებთ ხშირ შემთხვევაში უზარმაზარ ხელფასს**

რისთვის სჭირდებათ ქვეყანა, რომლის მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება და ექნება დრო, დაფიქრდეს, გაანალიზოს, საით მიდის და ქვეყნის კურსზე საკუთარი აზრი გამოხატოს? დამშეული ადამიანების მართვა ხომ უფრო მარტივია, რომელთაც ძვალს გადაუგდებ და იმის შიშით, ეს ძვალიც არ დაკარგონ, სხვა ვერაფერზე ფიქრობენ და სხვა არაფერი ადარდებთ?..

საქართველოს „უპირველესი მტერი“, რუსეთი, ვერაფრით ვერ მოგვაშორეს ევროპამ და ამერიკამ — რამდენჯერაც ეცადნენ, რომ ჩრდილოელი მეზობელი ჩვენთვის თამაშგარე მდგომარეობაში დაეტოვებინათ, იმდენჯერ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. აგერ, იანვარ-აგვისტოს მონაცემებს შემოგთავაზებთ და შემდეგ ვიმსჯელოთ.

2019 წლის იანვარ-აგვისტოში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66,5 პროცენტი შეადგინა. საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: **თურქეთი** (1 137.9 მლნ აშშ დოლარი), **რუსეთი** (903.9 მლნ აშშ დოლარი) და **აზერბაიჯანი** (682.5 მლნ აშშ დოლარი). ამასთანავე, 2019 წლის იანვარ-აგვისტოში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 72,7 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული ასეთია: **რუსეთი** (338.7 მლნ აშშ დოლარი), **აზერბაიჯანი** (315.0 მლნ აშშ დოლარი) და **სომხეთი** (217.4 მლნ აშშ დოლარი). ეს არის ოფიციალური მონაცემი და შეხსენება, ალბათ, არ გჭირდებათ, რომ ციფრები არასოდეს ტყუიან.

რა გამოდის? იმ პროპაგანდის მიუხედავად, რომელსაც ევროპა და ამერიკა ეწევიან საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ, ექსპორტის მიმართულებით მაინც რუსეთი ლიდერობს, ხოლო უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა შორის მეორე ადგილზეა თითქმის მილიარდდოლარიანი ბრუნვით. ამ კომპონენტში თურქეთი რუსეთს მარტივი მიზეზის გამო უსწრებს — კარტოფილი და ხახვი ორი ძირითადი პროდუქტია, რომლებიც თურქეთიდან შემოგვაქვს და ვალიაროთ, რომ არაფრად ვარგა. ის, რომ თურქული კარტოფილი არ ვარგა, იქიდანაც ჩანს, რომ თვითონ თურქებს საქართველოდან გააქვთ კარტოფილი, ანუ ყიდიან ცუდს და მიაქვთ კარგი. რატომ არ შემოგვაქვს იგივე პროდუქტები რუსეთიდან? იმიტომ, რომ მოვახერხეთ და საჰაერო მიმოსვლა გავაუქმეთ, ხმელეთით ტრანსპორტირება კი ძვირი ჯდება. საქართველოს ღარიბი მოსახლეობა იაფ პროდუქტს ეძალება და ჯანმრთელობაზე ვერ ფიქრობს, სანამ ამ პროდუქტით მიღებული შედეგი კარზე არ მიუკაკუნებს.

**„რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, სულ რაღაც, სამ თვეში ევროპა რუსეთთან ჩვეულ ურთიერთობას დაუბრუნდა და ეს ძალიან დიდი შეცდომა იყო. მან გამოიწვია ტალღა, რომლის შედეგიც ყირიმის ანექსია იყო. ეს იყო საფუძველი, რუსეთს ჩაეთვალა: ოკ, ახლა ისინი ჩვენ წინააღმდეგ ლაპარაკობენ, მაგრამ სამი თვის შემდეგ ეს შეწყდება. და ნამდვილად შეწყდა. საქართველოსთან ომიდან სამი თვის შემდეგ რუსეთი ევროკავშირთან მოლაპარაკებას აწარმოებდა უვიზო რეჟიმზე. ჩვენ ევროპაში მივხვდით ჩვენს შეცდომას და ეს ჩვენთვის გაკვეთილი იყო. ამჟამად ველარ ვიტყვით: „ოკ, 2014 წელს რაღაც ცუდი მოხდა, მაგრამ მოდი წინ წავიდეთ“. თუ ჩვენ გადავყლაპეთ საქართველო, თუ გადავყლაპავთ ყირიმს, იქნება მორიგი წითელი ხაზი, რომელსაც რუსეთი გადაკვეთს“,** — ეს განცხადება ესტონეთის პრეზიდენტ **კერსტი კალიულაიდს** ეკუთვნის.

კარგად თუ გავაანალიზებთ ქალბატონ კალიულაიდის განცხადებას, მივხვდებით, რომ ის ევროპას რუსეთთან აგრესიისკენ კი არ მოუწოდებს, არამედ ჩვენ გვიბიძგებს — აქაოდა, თქვენ დაუპირისპირდით რუსეთს და ევროპა მხარს დაგიჭერთ, ადრინდელივით არ მიგაგდებთო. ოღონდ, ესტონეთის პრეზიდენტი რაიმე გარანტიას კი არ იძლევა, არამედ ევროპულად გვპირდება, რაც შემდეგ, წესისამებრ, აღშფოთებაში ან შეშფოთებაში გადაიზრდება და ამით დასრულდება. მერე ახალი „კალიულაიდი“ გამოჩნდება, რომელიც იმავეს გვეტყვის და იმავე წრეზე გაგვიშვებს.

ფაქტია, რომ, **დაძაბული ურთიერთობის მიუხედავად, მიუხედავად იმისა, რაც დღეს საქართველოში ხდება, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობები, ექსპორტ-იმპორტი არ წყდება და საკმარისია, ეს ურთიერთობა ცივილიზებულად გაღრმავდეს, რომ გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, ვიდრე დღეს ვართ. დავიწყოთ იმით, რომ რუსული პროდუქცია ხარისხითა და ფასით აღემატება თურქულსაც, სომხურსაც და აზერბაიჯანულსაც. ამ სამ ქვეყანაზე (ერთად აღებული) დიდი ბაზარია რუსეთი და მის დაკარგვას არც ამერიკა და არც ევროპა არაფრის ფასად არ აპირებენ. უფრო ზუსტად, მათ ეს ბაზარიც უნდათ და რუსეთის დასუსტებაც, რათა თვითონ გააკონტროლონ და დაახლოებით ისეთ კოლონიად ჰყავდეთ, როგორც ჩვენ.** ახლა თუ ვინმე იტყვის, რომ საქართველო ევროპა-ამერიკის კოლონია არ არისო, მწარედ შეცდება. ვინმეს სჯერა, რომ საქართველოს ხელისუფლება ან ოპოზიცია მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ამერიკელ თუ ევროპელ მაღალჩინოსნებთან კონსულტაციის გარეშე იღებს? — რა თქმა უნდა, არა. როცა სხვას უთანხმებ საგარეო თუ საშინაო კურსს, პოლიტიკურ გადაწყვეტილებასა და სამოქმედო გეგმას, კოლონია ხარ და... როგორც ბოლო ხანს ამბობენ, წერტილი!

ყოველი მოწოდებისა და **რუსეთის ყოველი ლანძღვის შემდეგ,მოდის კვარტლის ბოლო, როცა ხელისუფლება იძულებულია, გამოაქვეყნოს სტატისტიკური მონაცემები და, ამ მონაცემების მიხედვით, ირკვევა, რომ რუსეთზე სრულად ვართ დამოკიდებულ-ჩამოკიდებულნი. რა თქმა უნდა, ეს სტატისტიკური მონაცემები დასავლელ პარტნიორებსაც აქვთ, კარგად ხვდებიან, რომ საქართველოს ეკონომიკის დიდი წილი სწორედ რუსეთზეა დამოკიდებული, მაგრამ, ამის მიუხედავად, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ჩვენ ამ ქვეყანასთან ურთიერთობა არ გვქონდეს,** ანუ, ისედაც შეჭირვებულ მოსახლეობას უფრო რომ გაუჭირდეს, უფრო რომ გაღარიბდეს და, ძვალს კი არა, ევროპის მიერ გამოწვდილ ცარიელ ხელსაც მადლიერებით შეხედოს. ეს არის ის რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ და, სამწუხაროდ, არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია. არ შეგვიძლია იმიტომ, რომ სხვა რამეზე ვართ გადართულნი და ის სხვა რამ გადარჩენისთვის ბრძოლაა. სამწუხაროდ, **ზევით კარგად იციან, რომ, თუ ადამიანს საჭმლის პრობლემა აქვს, პურის ფულის პრობლემა აქვს, სხვაზე ვერაფერზე ფიქრობს და ვერაფერს აკეთებს, მისი მთავარი საზრუნავი ოჯახის გამოკვებაა და ამიტომ პოლიტიკური ნიჰილიზმით შეპყრობილი მოსახლეობა მხოლოდ საკვებზე ფიქრობს და საგარეო თუ საშიანო კურსი, უბრალოდ, არ ადარდებს ან ადარდებს და დრო არ აქვს, გააპროტესტოს, ქუჩაში გამოვიდეს, რადგან ყოველდღიური ცხოვრების რიტმიდან ამოვარდნა იმ დღეს ულუკმაპუროდ დარჩენას ნიშნავს. შინ მისული კი პატარა ბავშვებს ვერ აუხსნის, რატომ არ მიიტანა იმ დღის სარჩო.**

დიახ, ასეთ მწარე რეალობაში ვცხოვრობთ და გამოსავალი რეფერენდუმია. **თუ ვინმე ფიქრობს, რომ NDI-ის კვლევები სიმართლესთან ახლოსაა, ნებისმიერი კვლევა აიღეთ, შეადარეთ შემდეგ დამდგარ რეალობას და მიხვდებით, რომ ცდომილება ძალიან დიდია. სწორედ ამიტომ არის გამოსავალი რეფერენდუმი, სადაც მოსახლეობა მივა და თავის პოზიციას გამოხატავს ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო კურსზე. ხომ ამბობს ხელისუფლება, ხალხის მსახურები და მათ მიერ დაქირავებულები ვართო? ჰოდა, კეთილი ინებეთ, ჩაატარეთ რეფერენდუმი და შემდეგ პატივი ეცით იმ ხალხის ნებას, რომლის გადასახადებიდანაც ილებთ ხშირ შემთხვევაში უზარმაზარ ხელფასს.**

სანამ ეს არ მოხდება, გვექნება ფურცელზე დაწერილი ილუზია, თავსმოხვეული სურვილები, რომლებიც ევროპასა და ამერიკაში იწერება და ჩვენ სწორედ დასავლელი პარტნიორების დასანახავად „გიჟობანას“ ვითამაშებთ. მერე ისევ მოვა კვარტლის თუ წლის ბოლო და ისევ გამოქვეყნდება ციფრები, რომ ევროპული ქვეყნებიდან მნიშვნელოვანი არც არაფერი შემოდის და არც გადის; რომ ისევ რუსეთზე ვართ დამოკიდებულნი და ეკონომიკაც სწორედ იქიდან იკვებება. მერე ისევ დავივიწყებთ ამ ციფრებს, ისევ შევუტევთ ჩრდილოელ მეზობელს, ისევ გამოჩნდება ახალი „კალიულაიდი“, რომელიც ევროპის სახელით ისევ შეგვაგულიანებს და მშვიდად წავა თავის დაწყობილ ქვეყანაში, ჩვენ კი ისევ გამოწვდილი ხელის იმედად ვიქნებით და მერე რა, რომ ეს ხელი ხშირად ცარიელია...

**ბესო ბარბაქაძე**

საგარეო ვექტორი
www.geworld.ge
თბილისი, დ. გაჩრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელი დიპლომატები ხშირად გვევლინებიან არაკეთილმოსურნე წამქეზებლების როლში. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ამერიკელი დიპლომატის, დევიდ კრამერის, სიტყვები, რომლებიც მან თქვა რადიოსადგურ „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში. მან აღნიშნა, რომ „პუტინს მხოლოდ ძალის ენა ესმის“ და მოუწოდა ქართველებს, წინააღმდეგობა გააძლიერონ რუსეთის მიმართ, ამასთანავე, უსაფუძვლოდ და ლაჩრობად მიიჩნია ყოველგვარი დიალოგი და ფრთხილი პოლიტიკა რუსეთთან.**

# რუსეთთან დიალოგი საქართველოსთვის ზრდის ფაქტორია!



**ზრდის ფაქტორი — ეს არის ისეთი პრობლემური და კონფლიქტური სიტუაციები და გარემოებები, რომლებიც იწვევს ჩვენი პროფესიონალური, კომუნიკაციური და პერსონალური განვითარების ზრდას, მაგრამ არის ერთი ნიუანსი: ზრდა-განვითარების პროცესი მხოლოდ იმ შემთხვევაშია აშკარა, თუ ამ პრობლემებსა და კონფლიქტებს მივიღებთ, როგორც გამოწვევას, როგორც ამოცანას, რომლებიც საჭიროებს და ექვემდებარება გადაწყვეტას.**

ზრდის ფაქტორი, ძირითადად, გამოიყენება პრაქტიკულ ფსიქოლოგიაში ინდივიდების პერსონალური განვითარების კუთხით, მაგრამ სახელმწიფოებრივი განვითარებისა და პოლიტიკის ეფექტურობის კუთხითაც შეგვიძლია გამოვიყენოთ იგივე მიდგომა, ხედვები, მეთოდები და ტექნიკა.

ზრდის ფაქტორის დეტალებზე შემდეგ წერილებში მოგახსენებთ, ახლა კი — რიტორიკული კითხვა: **ამერიკასა და ევროპასთან ურთიერთობა არის თუ არა ზრდის ფაქტორი საქართველოსთვის?** უფრო გასაგები რომ იყოს, კითხვას ასე დავსვამ: **უწყობს თუ არა ხელს საქართველოს პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ განვითარებას პოლიტიკური ურთიერთობები აშშ-სა და ევროპის ქვეყნებთან?**

პირადად ჩემი პოზიცია, ამ მხრივ, უარყოფითია და მოგახსენებთ რატომ:

ევროპა და, მით უმეტეს, ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მიმართ ეწევიან დომინირებულ პოლიტიკას. ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევანის უფლებას არ უტოვებენ საქართველოს ხელისუფლებას და სთავაზობენ მზა დირექტივებს, რომლებიც არ ექვემდებარება განხილვასა და კორექტირებას.

შესადარებლად ასეთ შეკითხვას დავსვამ: ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში, პრობლემას თქვენ მაგივრად რომ წყვეტდეს თქვენი მეგობარი, ეს გამოიწვევს თქვენს ზრდა-განვითარებას? — რა თქმა უნდა, არა! ასეთი დამოკიდებულება დეგრადირების წინაპირობაა პიროვნებისა და სახელმწიფოსთვის.

როგორც ადამიანს, ისე სახელმწიფოს, როცა არ აქვს არჩევანი, მიიღოს ინდივიდუალური, ალტერნატიული გადაწყვეტილება და გააკეთოს სასურველი არჩევანი; როცა ექვემდებარები სხვის დირექტივებსა და ხედვებს, იწყება ატროფია, დეგრადაცია და კვდომა. ამ ყველა დესტრუქციული გარემოების საწინააღმდეგოა ურთიერთობა სახელმწიფოსთან, რომელთანაც მწვავე კონფლიქტი გაქვს, მაგრამ შენი მეზობელია და მასთან მტრული დამოკიდებულება წამგებიან პოზიციაში გაყენებს.

**უბედურება გაუცნობიერებლობაშია! კიდევ უფრო მეტი უბედურებაა, როცა აცნობიერებ რუსეთთან მტრული დამოკიდებულების წამგებიანობას და მაინც იზიარებ საქართველოს „დირექტორად“ მოვლენილი სახელმწიფოს დირექტივებს.** ამერიკელი დიპლომატები ხშირად გვევლინებიან არაკეთილმოსურნე წამქეზებლების როლში. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ამერიკელი დიპლომატის — **დევიდ კრამერის** სიტყვები, რომლებიც მან თქვა რადიოსადგურ „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში. მან აღნიშნა, რომ „პუტინს მხოლოდ ძალის ენა ესმის“ და მოუწოდა ქართველებს, წინააღმდეგობა გააძლიერონ რუსეთის მიმართ, ამასთანავე, უსაფუძვლოდ და ლაჩრობად მიიჩნია ყოველგვარი დიალოგი და ფრთხილი პოლიტიკა რუსეთთან.

ჩვენზე გაცილებით დიდი და ძლიერი სახელმწიფოები (მაგალითად, საფრანგეთი) ქვეყნის უსაფრთხოებაზე მსჯელობისას პრიორიტეტად მიიჩნევენ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას; თვით ამერიკის პრეზიდენტსაც მიაჩნია, რომ საერთაშორისო გლობალური საკითხების გადაწყვეტა რუსეთის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. ქართველმაც რომ ასე იფიქროს და შემდეგ განაცხადოს, კრემლის აგენტად და მოღალატედ შერაცხავენ. შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის საკითხების მოგვარება, სანამ ქართველები რუსეთთან დიალოგის მიუღებლობასა და შეუძლებლობაზე ფიქრს თავს არ დაანებებენ.

ცნობილი ისრაელელი სამხედრო მოღვაწე და პოლიტიკოსი **მოშე დაიანი** აღნიშნავდა: „თუ მშვიდობა გინდა, მეგობრებს კი არა, მტრებს უნდა ესაუბრო!“ თითქოს მარტივი ჭეშმარიტებაა ეს და ყველამ ვიცით, მაგრამ რატომ ვერ ახერხებს საქართველოს ხელისუფლება ამ მიმართულებით ეფექტიანად მოქმედებას?

ყველაფერი დამოკიდებულებაზეა დამოკიდებული!

რადგან ჩვენი დამოკიდებულება რუსეთისადმი უარყოფითია, რადგან ჩვენი რწმუნებულება რუსეთის მიმართ შემზღუდველია, უარყოფითი და შემზღუდველი იქნება ნებისმიერი, თუნდაც პოზიტიური ნაბიჯი რუსეთთან კონფლიქტის მოგვარების საქმეში, რადგან დასაწყისშივე ვამჟღავნებთ უარყოფით ემოციურ დამოკიდებულებას რუსეთის მიმართ და, რადგან ემოცია ნეგატიურია, პოზიტიური შედეგი ვერ გვექნება.

მაშასადამე, ნებისმიერი გადაწყვეტილება და, მათ შორის, გადაწყვეტილება რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე ეფექტიანი და შედეგიანი რომ იყოს, უნდა გავაცნობიეროთ და შევცვალოთ დამოკიდებულება. უნდა შევცვალოთ საერთო ეროვნული ისტერიკა და რუსეთთან დავიწყოთ მოლაპარაკებები; უარყოფითი და შემზღუდველი რწმუნებულებები შევცვალოთ დადებითით და ნებისმიერ მოვლენაზე ჩვენი რეაქცია სასურველ შედეგზე იყოს ორიენტირებული.

ეს ყველაფერი სერიოზულ მუშაობას საჭიროებს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავზე. შემზღუდველი რწმუნებულებები, რომლებიც ეროვნულ დონეზე ვიბრირებს, თითოეული ჩვენთაგანის და განსაკუთრებით პოლიტიკოსების მხრიდან საჭიროებს ტრანსფორმირებას პიროვნული ზრდა-განვითარების გზით.

დიახ, **ამ ყველაფერს სერიოზული მუშაობა სჭირდება, რაც გვეზარება ქართველებს და ვამჯობინებთ, სხვამ გადაწყვიტოს ჩვენი პრობლემები. დავიმახსოვროთ: ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაითავისებს და ვერ გადაწყვეტს ჩვენს პრობლემას ისე, როგორც ჩვენ გვინდა და როგორც შეგვიძლია.**

მაშ, დავიწყოთ საკუთარი თავით! ზრდის ფაქტორად და წარმატების მომტან გამოწვევად ვაქციოთ თითოეული პრობლემა და კონფლიქტი. გავავრცელოთ ეს სულისკვეთება ქვეყნის მასშტაბით და პოლიტიკოსებსაც აღარ გაუჭირდებათ, მართებული რეაქცია ჰქონდეთ მოვლენებზე და იყვნენ მუდამ შედეგზე ორიენტირებულები.

რითაც დავიწყე, იმით დავასრულებ:

რუსეთთან ურთიერთობა ჩვენთვის ზრდის ფაქტორია!

**ბესიკ კაიშაური,**
**საჯარო მმართველობის მეცნიერებათა დოქტორი**

**ნებისმიერი გადაწყვეტილება და, მათ შორის, გადაწყვეტილება რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე ეფექტიანი და შედეგიანი რომ იყოს, უნდა გავაცნობიეროთ და შევცვალოთ დამოკიდებულება. უნდა შევცვალოთ საერთო ეროვნული ისტერიკა და რუსეთთან დავიწყოთ მოლაპარაკებები. უარყოფითი და შემზღუდველი რწმუნებულებები შევცვალოთ დადებითით და ნებისმიერ მოვლენაზე ჩვენი რეაქცია სასურველ შედეგზე იყოს ორიენტირებული**



# ესტონეთის პრეზიდენტის ორპირობა: თვითონ რუსეთთან პირდაპირი დიალოგი ეამაყება, ჩვენ კი მოგვიწოდებს, ზურგი შევაქციოთ

**დასავლელ ე.წ. მეგობრებს, როცა სათავისოდ სჭირდებათ, რუსეთთან დიალოგს სიამოვნებით მართავენ, საქართველოს კი რუსეთთან მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომას უშლიან, ჩვენს ქვეყანას მხოლოდ იმისთვის იყენებენ, რომ ამ უზარმაზარ სახელმწიფოს დაუპირისპირდეს.**

ესტონეთის პრეზიდენტმა **კერსტი კალიულაიდმა** განაცხადა, რომ რუსეთის სახელმწიფოს მეთაურ **ვლადიმერ პუტინთან** შეხვედრამ გააძლიერა ესტონეთის პოზიციები საერთაშორისო არენაზე.

კალიულაიდის განცხადების თანახმად, ახლა, როდესაც თვითონ „შეიტანა წვლილი იმაში, რომ გაეგო, რა ხდებოდა რუსეთში და რას ფიქრობენ ისინი ჩვენზე“, გაუჩნდა შესაძლებლობა, გამოთქვას თავისი თვალსაზრისი „ფრანგების წინაშე ან ვინც უნდა იყოს“ მნიშვნელოვნად „გაძლიერებული პოზიციიდან“.

**კალიულაიდის აზრით, ესტონეთი უნდა დარჩეს ნატოსა და ევროკავშირის იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც თავიანთ პრობლემებზე რუსეთს პირდაპირ ესაუბრებიან.**

„კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ჩემი აზრით, ის გარემოება, რომ ჩვენ უნდა დავრჩეთ რიცხვში იმ ქვეყნებისა, რომლებიც თვითონ ელაპარაკებიან რუსეთს და რომლებთანაც სხვა მოკავშირეები და პარტნიორები მსჯელობენ რუსეთთან ურთიერთქმედების საკითხებზე, როგორ წავიდეთ წინ“. — განაცხადა ესტონეთის პრეზიდენტმა.

აქ უნდა აღინიშნოს კერსტი კალიულაიდის კიდევ ერთი განცხადება, რომელიც მან გამოცემა „ევროპეისკაია პრავდასთან“ გააკეთა („ინტერპრესნიუსის“ ინფორმაცია): „რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, სულ რაღაც, სამ თვეში ევროპა რუსეთთან ჩვეულ ურთიერთობას დაუბრუნდა. ამან გამოიწვია ტალღა, რომლის შედეგიც ყირიმის ანექსია იყო. მაშინ რუსეთმა მიიღო საფუძველი, ჩაეთვალა: ოკ, ახლა ისინი ჩვენ წინააღმდეგ ლაპარაკობენ, მაგრამ 3 თვის შემდეგ ეს შეწყდება და მართლაც შეწყდა. საქართველოსთან ომიდან სამი თვის შემდეგ რუსეთი ევროკავშირთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა უვიზო რეჟიმზე. ჩვენ მივხვდით ჩვენს შეცდომებს და ეს ჩვენთვის გაკვეთილი იყო. ამჟამად ჩვენ ველარ ვიტყვით: ოკ. 2014 წელს რაღაც ცუდი მოხდა, მაგრამ, მოდი, წინ წავიდეთ. თუ ჩვენ გადავყლაპავთ საქართველოს, თუ გადავყლაპავთ ყირიმს, იქნება მორიგი წითელი ხაზი, რომელსაც რუსეთი გადაკვეთს“.

როგორც ხედავთ, როცა საქმე ჩვენი დასავლელი „მეგობრების“ პრობლემებს ეხება, რუსეთთან დიალოგი აუცილებელია, ხოლო, როცა საქართველოზეა ლაპარაკი, ორმაგი სტანდარტით, ფარისევლურად უდგებიან ჩვენი ქვეყნის პრობლემებს და ურჩევენ თუ უთითებენ, რომ მხოლოდ დაუპირისპირდეს უზარმაზარ მეზობელს და ამით დასავლეთის საქმე აკეთოს, თავისი კი — გაიფუჭოს.

**მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**კალიულაიდის აზრით, ესტონეთი უნდა დარჩეს ნატოსა და ევროკავშირის იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც თავიანთ პრობლემებზე რუსეთს პირდაპირ ესაუბრებიან. „კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ჩემი აზრით, ის გარემოება, რომ ჩვენ უნდა დავრჩეთ იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც თვითონ ელაპარაკებიან რუსეთს და რომლებთანაც სხვა მოკავშირეები და პარტნიორები მსჯელობენ რუსეთთან ურთიერთქმედების საკითხებზე, როგორ წავიდეთ წინ“, — განაცხადა ესტონეთის პრეზიდენტმა**

ხმა ბერისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ენ-დი-აის“ კვლევა ხშირად ერთგვარი კბილის მოსინჯვაა რაიმე პროცესისთვის. რას ვგულისხმობ: უახლოეს წარსულს თუ გადავხედავთ, ამ ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული კვლევა ხშირად იყო ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი უკვე დაგეგმილი პოლიტიკური სცენარისთვის, რომელიც მერე ყოველთვის რეალობად იქცეოდა და, ყველანაირი წინააღმდეგობის მიუხედავად, საზოგადოება ამ რეალობას ვერ ცვლიდა“.



მამა გიორგი (რაზმაძე):

# სად არიან ის ადამიანები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ექსპრეზიდენტის ავადმყოფურ გონებაში მოხარშულ პროექტს სახელწოდებით «ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად»?

**ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ 17 სექტემბერს გამოქვეყნებულ კვლევას თუ დავუჯერებთ, წელს, შარშანდელთან შედარებით, 4%-ით მოიმატა რაოდენობამ იმ ადამიანებისა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ დღეს ქვეყანაში სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვა და გაძლიერება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. კვლევის თანახმად, ამ აზრს გამოკითხულთა 27% იზიარებს, შარშან კი იგივე პოზიცია მხოლოდ 23%-ს ჰქონდა და, შესაბამისად, აღნიშნული ჯგუფებისადმი უარყოფითად განწყობილი მოქალაქეების პროცენტული მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო.**

**კვლევაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „განსხვავებულისადმი ტოლერანტული“ განწყობების მატება მხოლოდ ბოლო წლის ტენდენცია არ არის და ის უკვე რამდენიმე წელიწადია, შეინიშნება. ინსტიტუტის „მკვლევართა“ განმარტებით, მიზეზი ამ ყველაფრის, დიდი ალბათობით, არის ის, რომ, მიუხედავად გამოწვევებისა, ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტები წარმატებით ფუნქციონირებენ, აქტიურად მუშაობს „ლიბერალური მედია“ და ობიექტური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მაღალია. თუმცა, იმავე კვლევის თანახმად, ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც თურმე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კუთხით კეთდება, მაინც მესამე სექტორზე მოდის. ის, რომ თურმე საზოგადოებაში ლგბტ-ებისა და ლგბტ პროპაგანდის მიმართ სოლიდარობა წლიდან წლამდე „იზრდება“, დიდწილად „ადამიანის უფლებებზე“ მომუშავე უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევის შედეგია.**

**რაც შეეხება მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც, „ლიბერალური საინფორმაციო საშუალებების“ მრავალწლიანი პროპაგანდისტული ზეწოლის მიუხედავად, ადამიანის არაბუნებრივ მდგომარეობას (მამათმავლობას) ნორმად არ იღებს, ამ კატეგორიის ადამიანების რაოდენობა, კვლევის თანახმად, არ მატულობს და ის, უკვე წლებია, 44%-ს შეადგენს...**

**რა განწყობებია დღეს ქართველ საზოგადოებაში და მოიმატა თუ არა სინამდვილეში სექსუალური გადახრების პროპაგანდისადმი მოსახლეობის სოლიდარობამ ? — „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, „ენ-დი-აის“ ბოლო კვლევა გვეუბნება, რომ დღეს საქართველოში ლგბტ-ების უფლებების გაძლიერების მომხრე ადამიანების რაოდენობა მატულობს და მოსახლეობის 27% იმ აზრს იზიარებს, რომ სექსუალური უმცირესობების დაცვა უმნიშვნელოვანესია... თქვენ, როგორც სასულიერო პირი, როგორ ფიქრობთ, რა განწყობებია ჩვენს საზოგადოებაში, მოქმედებს მასზე ლიბერალური პროპაგანდა?**

— დავიწყოთ იმით, რა არის თვითონ „ენ-დი-აი“. ჩვენი ბოლო რამდენიმეწლიანი პოლიტიკური პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ეს არის ორგანიზაცია, რომელსაც არათუ კავშირი არ აქვს იმ იდეალებსა და ღირებულებებთან, რომლებიც თუნდაც მის დასახელებაშია ჩადებული — „ეროვნული“ და „დემოკრატიული“, არამედ ის არის ჩვეულებრივი იდეოლოგიურ-პოლიტიკური ინსტრუმენტი. ამ ინსტრუმენტის მეშვეობით შეიძლება მოხდეს რაღაცის გამართლებაც და პირიქით — რაღაცის ან ვიღაცის გაშავება. ის ამა თუ იმ ძალისთვის შეიძლება იყოს გარკვეული სიგნალის მიმცემიც და გარკვეული ვერდიქტიც. **ამ ორგანიზაციის კვლევა ხშირად ერთგვარი კბილის მოსინჯვაა რაიმე პროცესისთვის. უახლოეს წარსულს თუ გადავხედავთ, ამ ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული კვლევა ხშირად იყო ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი უკვე დაგეგმილი პოლიტიკური სცენარისთვის, რომელიც მერე რეალობად იქცეოდა და, წინააღმდეგობის მიუხედავად, საზოგადოება ამ რეალობას ვერ ცვლიდა...**

**— მაგალითად?**

— მაგალითად, წლების განმავლობაში, როცა სააკაშვილის ხელისუფლებას პრაქტიკულად არანაირი რეიტინგი არ ჰქონდა და მოსახლეობაში უპრეცენდენტოდ დიდი იყო უკმაყოფილების მუხტი, ეს იმსტიტუტი აცხადებდა ციფრებს, რომელთა მიხედვითაც სარეიტინგო სიაში სწორედ „ნაციონალური მოძრაობა“ ლიდერობდა. შემდეგ მას მოსდევდა საგულდაგულოდ შექმნილი ე.წ. ჯიბის ოპოზიცია და ხელისუფლების მიერ გაკონტროლებული ცალკეული სუბიექტები. რეალურად ხდებოდა მარტივი რამ: **უკიდურესი პოლიტიკური ნიჰილიზმით შეპყრობილ საზოგადოებას წინდაწინვე აჩვევდნენ გარკვეულ რეალობას; ყველამ იცოდა, რომ ეს მონაცემები იყო ზუსტად ის მომავალი პოლიტიკური კონფიგურაცია, რომელიც რეჟიმმა ხალხის მონაწილეობის გარეშე შექმნა.**

რაც შეეხება ბოლო კვლევას, ისიც ადასტურებს, რომ რეალურად მათ საზოგადოების განწყობები კი არ აინტერესებთ, მათი მიზანი ისევ არის კარნახი. ოღონდ აქ ერთი მომენტია: ამ კარნახმა იმ პირობებში, როცა ლიბერალური დიქტატი მსოფლიოში გაშიშვლდა და ის დღეს, ფაქტობრივად, მკვდარ იდეოლოგიად იქცა, ეს გაყალბებული კვლევები და ციფრების რახარუხი ძალიან კომიკური შეიქნა.

**— საუბრის დასაწყისში თქვით, მსგავსი კვლევები ხშირად ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპია გარკვეული პროცესებისთვისო. ამჯერად რა სამზადისთან შეიძლება გვქონდეს საქმე?**

— ამჯერად ეს, ალბათ, უფრო იმ მიზანს ემსახურება, რომ საზოგადოების კონსერვატიულ ნაწილში, რომელიც უმრავლესობაა, შექმნან უპერსპექტივობის განცდა. ლიბერალების ერთ-ერთი თეზა ხომ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ეროვნულობა და ტრადიციულობა სიბნელეა, რომელიც დროს ვერ გაუძლებს, რადგან ის პროგრესს ეწინააღმდეგება.

კონკრეტულ ციფრებს რაც შეეხება, მათ დაწერეს, მოსახლეობის 27%-ს ლგბტ-ების უფლებების წამოწევა მნიშვნელოვნად მიაჩნიაო. ჩნდება შეკითხვა — საქართველოს მოსახლეობის 27% ხომ არის სულ ცოტა 300-400 ათასი ადამიანი, და რატომ ვერ გამოჰყავთ მამათმავლების დასაცავად 300 და 400 კაცზე მეტი?

**— ამას ლიბერალური პროპაგანდა მარტივად ხსნის: საზოგადოებას განათლება აკლიაო...**

— საბედნიეროდ, უკვე დიდი ხანია, საზოგადოება მიხვდა, რომ ის, რასაც ნეოლიბერალური პროპაგანდა განათლებას ეძახის, ჩვეულებრივი იდეოლოგიური ტირანიაა, რომელიც არა მხოლოდ თეორიული მსჯელობითა და აბსურდული თვალსაზრისის დამკვიდრებით ცდილობს ადამიანის ცნობიერების საფუძვლიანად შეცვლას, არამედ ზუსტ მეცნიერულ ცოდნასაც ამახინჯებს. ამის ნათელი დადასტურებაა, მაგალითად, ის, რომ თურმე ბუნებაში ორი სქესი და გენდერი კი არ არა, არამედ არსებობს ორმოცდაათი და მეტიც; ან, მაგალითად, ის, რომ კაცი, რომელიც თავს ქალად მიიჩნევს და ქალის ტანსაცმლით დადის, მამაკაცად კი არ უნდა მოვიხსენიოთ, არამედ ტრანსგენდერ ქალად. აი, **ამ გლობალური „ნეოლიბერალური“ ბოროტების ნაწილი გავხდით ჩვენ თავის დროზე, როცა სააკაშვილის სისხლიანმა რეჟიმმა დაიწყო ვითომ ძირეული რეფორმა ალექსანდრე ლომაიას ხელმძღვანელობით და თავდაყირა დააყენა განათლების სისტემა. სხვათა შორის, სააკაშვილი თავის გამოსვლებში ყველაზე ხშირად ამბობდა ხოლმე ფრაზას: „მენტალური რევოლუცია, რამხელა ცვლილება მოხდა მენტალიტეტში...“** რას გულისხმობდა? — ზუსტად იმას, რომ ქართველი ერი, ქართველი საზოგადოება უნდა მოწყვეტოდა თავისი ისტორიული განვითარების გზას, თავის ეთნო-კულტურული იდენტობის საფუძველს და გადასულიყო სხვა იდეოლოგიურ რელსებზე, რომელიც იდეაშივე უარყოფდა მორალურ-ზნეობრივ პრინციპებს; თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, მაშინ, როცა ეს „რეფორმები“ იწყებოდა, საზოგადოების დიდმა ნაწილმა ის ვერ აღიქვა — ვერ აღიქვა ვერც უფროსმა თაობამ და იმ ბოროტებას, ფაქტობრივად, ლანგრით მიერთვა ახალგაზრდობის ცნობიერება.

ახლა დავუბრუნდეთ ისევ „ენ-დი-აის“ კვლევას. **თუ ვინმეს ჰგონია, ასეთი ავტორიტეტშელახული, მარგინალური ორგანიზაცია რაღაც ციფრებს იტყვის და ამით შექმნის ილუზიას, რომ თურმე ქვეყანაში წლიდან წლამდე იზრდება მამათმავლობის პროპაგანდის მომხრე ადამიანების რაოდენობა, მაშინ გამოიყვანოს ეს ხალხი ქუჩაში, დააყენოს მწკრივზე და დათვალოს.**

ისე, თქვენ როგორ ფიქრობთ, ესენი რომ მართლა 27 %-ს შეადგენდნენ, რას იზამდნენ?

**— რას იზამდნენ?**

— შეხედეთ ადამიანებს, რომლებიც, სამი თვის განმავლობაში რუსთაველზე იდგნენ; შეხედეთ კლუბ „ბასიანის“ აქტივს; „თბილისი პრაიდის“ სახეებს... ამათზე უფრო გაბოროტებული და სიძულვილით სავსე ხალხი გინახავთ?! მათი ერთადერთი შემაკავებელი გარემოება არის ის, რომ არაფრის თავი არ აქვთ, თორემ, ძალა რომ ჰქონდეთ, რამე შეეძლოთ და რიცხობრივად ბევრნი იყვნენ, ერთი ხმის ამოღება და თქმა, რომ შენთვის ეს ხალხი მიუღებელია, საკმარისი იქნება, სული ამოგხადონ ციხეში.

აქვე მოკლედ შევეხები ერთ ფაქტს, რომელიც ამ დღეებში მოხდა. რამდენიმე დღის წინათ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააკავა დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც მოზარდებს პორნოგრაფიულ ვიდეოებს უღებდა და, სავარაუდოდ, ამ მოზარდებით ვაჭრობდნენ კიდეც. დაკავებული თერთმეტი პირიდან ერთ-ერთია ამერიკის მოქალაქე, რომელიც თავის დროზე სააკაშვილის ხელისუფლებამ ინგლისურის მასწავლებლად ჩამოიყვანა და დიდი პატივით გაამწესა გორის რაიონის ერთ-ერთ სოფელში. ძალიან მაინტერესებს, **სად არიან დღეს ის ადამიანები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ექსპრეზიდენტის ავადმყოფურ გონებაში მოხარშულ ამ პროექტს სახელწოდებით „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“? არის თუ არა გამოძიება ამ ხალხით დაინტერესებული?** აღმაშფოთებელია, რომ შეუსწავლელად და განუკითხავად ყველას ურიგებენ მოქალაქეობას თუ ცხოვრების უფლებას.

**— თუმცა აქ, ალბათ, არანაკლებ შემაშფოთებელია ის, რომ არასრულწლოვანები თვითონ მშობლებმა ჩააბეს ამ ყველაფერში.**

— ეს სამარცხვინო ამბავია. არ მინდა დავიჯერო, რომ ჩვენს საზოგადოებაში ასეთი ადამიანები არსებობენ, მაგრამ, როგორც ჩანს, იმ მრავალწლიანმა იდეოლოგიურმა ექსპანსიამ, გაპირუტყვებამ ადამიანებისა და, ამასთანავე, ეკონომიკის მიზანმიმართულმა ნგრევამ, რომელმაც გაღატაკებამდე მიიყვანა ქვეყანა, საზოგადოების რაღაც ნაწილის ცნობიერებას დაღი დაასვა. ეს არის ჩვენი რეალობა და რამდენიც უნდა ვისაუბროთ იმაზე, რომ ვთქვათ, „ენ-დი-აის“ კვლევები ღიმილის მომგვრელია, ამ რეალობას ვერ გავექცევით. **ჩვენ, სამწუხაროდ, „ლიბერალურმა“ ტირანიამ წაგვართვა ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი და ეს პროცესი დღესაც გრძელდება. მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, იმედის მომცემია ის, რომ კოსერვატიული განწყობების გაძლიერება სწორედ ახალგაზრდების თაოსნობითა და ხელმძღვანელობით საქართველოშიც შეინიშნება.** ალბათ, დასავლეთში მიმდინარე პროცესების კვალდაკვალ აქაც დადგება ის ეტაპი, როცა „ნეოლიბერალურ“ ტირანიას აღარ ექნება იდეოლოგიური მონოპოლია; მეტიც, **დარწმუნებული ვარ, მალე დადგება დრო, როცა თანამედროვე „ნეოლიბერალური“ შხამით მოწამლული ახალგაზრდების ნაწილსაც შერცხვება „ლიბერალობის“. ყოველ შემთხვევაში „ენ-დი-აისა“ და მსგავსი სამარცხვინო ორგანიზაციების კვლევები ამ პროცესს ვერ შეაჩერებს, პირიქით — მათი ისტერიკული აქტიურობა უფრო გაამძაფრებს პროტესტს, რომელიც მრავალწლიანი იდეოლოგიური დიქტატურის შედეგად დაგროვდა და, ადრე თუ გვიან, აუცილებლად ამოხეთქავს...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

> «დაწერეს, რომ მოსახლეობის 27%-ს ლგბტ-ების უფლებების წამოწევა მნიშვნელოვნად მიაჩნია. ჩნდება მარტივი შეკითხვა: საქართველოს მოსახლეობის 27% ხომ არის სულ ცოტა 300-400 ათასი ადამიანი, რატომ არის, რომ მამათმავლების დასაცავად 300 და 400 კაცზე მეტი ვერ გამოჰყავთ?»

**„ნაცების“ მიერ სამსახურებიდან პირდაპირ ქუჩაში „უპრაგონოდ“ გაყრილი ადამიანებიდან რამდენს გაუსკდა გული და რამდენი გადაიყოლა ამ ამბავმა, ზუსტად არავინ იცის. ჩემ გარშემო რამდენიმე ათეული ასეთი შემთხვევა შემიძლია გავიხსენო. ცალკე თემაა კიდევ ის, როდესაც სკოლებისა თუ ბაღების დირექტორებად თავიანთი „შნირების“ დანიშვნა სურდათ, რამდენ დირექტორს დაემუქრნენ ოჯახის წევრების წამებით და დაატოვებინეს თანამდებობა. სხვათა შორის, ეს ნაცების პერიოდში, მხოლოდ სკოლებში კი არა, სხვა დაწესებულებებშიც ხდებოდა. ნაცების პერიოდში, ერთი კი არა, ასობით „ია კერზაია“ გვყავდა ქვეყანაში და სად იყო მაშინ რობესპიერ-მშვილდაძე, რატომ არ უჩუყდებოდა გული?**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აგვისტო-სექტემბრის მოვლენებმა საქართველოს კიდევ ერთი ცრუ „რობესპიერი“ აჩუქა მიშა მშვილდაძის სახით. ეს კაცი, ჯერ იყო და, აგვისტოს დასაწყისში პირდაპირ ვლადიმერ პუტინს დაეტაკა და სულ „დავაი ტანკ ნაზად, ბიჭო!“ — უძახა; მერე კი, როგორ ჩანს, მაინც „შეეცოდა“ „გულგახეთქილი“ პუტინი და თავის კომერციულ საქმეებს მიუბრუნდა ცოტა ხნით. კერძოდ, დაიწყო ახალი ტელევიზიის ჩამოყალიბება, რომელსაც 2008 წლის ომის დროს საქართველოს თავდაცვის მინისტრი და „ნაციონალური მოძრაობის“ „მოლარე“ დავით კეზერაშვილი აფინანსებს.**

# უხუცესი ახალგაზრდა რობესპიერ-მშვილდაძე და მისი «არაპოლიტიკური» ვნებანი



აი, ასეთი „აპოლიტიკურები“, „მიუკერძოებლები“ და „რობესპიერები“ მოედვნენ დღეს ქართულ „რევოლუციურ ფრონტს“ და მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებენ კიდეც ახალგაზრდა თაობის გარკვეული ნაწილის დაშტერება-„დაბოლებას“.

ვიდრე ამ სტატიის ძირითად თემას მივუბრუნდებოდე, მინდა, აუცილებლად აღვნიშნო კიდევ ერთი ახალი „ნარატივი“ თუ „ტრენდი“, რომლის დამკვიდრებასაც გულმოდგინედ ცდილობს „ლიბერასტებთან“ ჩახუტებული ე.წ. ოპოზიციური სპექტრი, აგრეთვე, არასამთავრობო სექტორი — თითქოს, მათ მიერ ორგანიზებულ მიტინგებზე დადის ქართველი ახალგაზრდობა, ხოლო სხვების, დავუშვათ, „პატრიოტთა ალიანსის“, მიერ ორგანიზებულ აქციებში მხოლოდ ხნიერი და პენსიონერი ადამიანები მონაწილეობენ.

აღარ გავიმეორებ იმ დამამცირებელ ტერმინებს, რომლებითაც სოციალურ ქსელებში ნაცების ტროლები ამერიკის საელჩოსთან ამას წინათ შეკრებილ ადამიანებს „ამკობდნენ“და როგორი იერიში მიჰქონდათ მათზე ბოტების საშუალებით.

მაგრამ იქნებ ვინმემ მიპასუხოს კითხვებზე: ჯერ ერთი — **რატომ ლაპარაკობს პარლამენტის წინ შეკრებილი 200-ოდე „შვიშტოკიანი“ სულელი „მთელი ქართველი ახალგაზრდობის“ სახელით? მეორეც — ამერიკის საელჩოსთან მისული ადამიანები, კადრებშიც ნათლად ჩანს, რომ არიან ძირითადად 30-დან 50 წლამდე და იქნებ ვინმემ ამიხსნათ, ეს წლოვანება საქართველოში რატომ ითვლება „გადაბერებად“ და „გადახჩუებად“?**

საქმე ის არის, რომ ნაცები და მათი მიმდევრები არიან მიშას ნარატივში ჩარჩენილი დემაგოგები. სწორედ იმ ნარატივში, რომლის საზოგადოებისთვის თავს მოხვევის შემდეგ ნაცების ბელადმა 2004 წელს სრულიად გაუფრთხილებლად და კორუფციის შეთითხნილი კოლექტიური ბრალდებით ერთბაშად გაყარა სამსახურებიდან თითქმის ნახევარი მილიონი ადამიანი, ხოლო მათ ადგილზე ნაცაქტივისტი გოგო-ბიჭები წამოასკუპა.

იმხანად სამსახურებიდან გაყრილ ადამიანებს ზუსტად ასევე უწოდებდნენ „გადაბერებულებს“, „გადახჩუებულებს“, „გადაყრუებულებს“. არადა, ეს ადამიანები 40-45 წლისანი იყვნენ...

და, რაც მთავარია, თუნდაც იყოს ასე, რომ ნაცების (ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის) აქციებზე მართლაც ახალგაზრდები იდგნენ, ხოლო სხვა აქციებზე — 40-50 წლის ადამიანები, როგორ ფიქრობთ, **ქვეყნის ბედის გადაწყვეტა 15-16 წლის მოფშვიტინე ღლაპებს უფრო უნდა მივანდოთ თუ საზოგადოების გამოცდილ, მოწიფულ და ჭკუადამჯდარ ნაწილს? ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოში ისტორიულად ერისთვის საჭირბოროტო გადაწყვეტილებებს „უხუცესთა საბჭოები“ იღებდნენ და არა აცანცარებული ბავშვები.**

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ბევრ განვითარებულ ქვეყანაში არსებობს სპეციალურად შექმნილი სენატები და იქ მოსახვედრად ასაკი მკაცრად არის განსაზღვრული. მაგალითად, ჩეხეთსა და იტალიაში სენატის ზედა პალატაში მხოლოდ 40 წელს გადაცილებული ადამიანები ხვდებიან; პოლონეთში ასეთი ზღვარი 30 წელია; იაპონიის მრჩეველთა პალატაში ადამიანები 30 წლის ზემოთ ხვდებიან; ასევეა კანადაში და ა.შ.

ეს სწორედ იმიტომ კეთდება, რომ პარლამენტებში, სადაც გაცილებით დიდი თავისუფლებაა და ასაკობრივი ზღვარიც 21 ან 25 წელია ძირითადად, ვინმემ რამე რომ მიჰქაროს, შედარებით ასაკოვანმა და ჭკუადამჯდარმა სენატორებმა და მრჩევლებმა მათი მიქარულის რევიზია მოახდინონ.

კიდევ ერთი საინტერესო კითხვაც მაქვს, რომელიც უფრო ბოლოსთვის შემოვინახე. გთხოვთ მიპასუხოთ: **რომელია მაგ აქციების ორგანიზატორთაგან ახალგაზრდა და ნორჩი — გიგა მაქარაშვილი, შოთა დიღმელაშვილი** თუ **მიშა მშვილდაძე?** პირველი ორი 35 წელს არის გადაცილებული, მიშა მშვილდაძე ჩემზე 1 წლით უფროსია, ხოლო მე უკვე 43 წლის გახლავარ...

თუმცა მშვილდაძე-რობესპიერი რისი რობესპიერი იქნებოდა, აქაც რომ გამოსავალი არ ენახა? „მე ვარ ამ აქციების უხუცესი ახალგაზრდა ორგანიზატორი!“ — დასჭექა მან 20 სექტემბრის „დასკვნით“ მიტინგზე და გული აუჩუყა იქ შეკრებილ პირდაფჩენილ საზოგადოებას.

ეს წერილი სწორედ მიშა მშვილდაძის „ომახიანობაზე“ საუბრით დავიწყეთ და მოდი, მასვე მივყვეთ — **აქციების საწყის ფაზაში, პუტინის დაზაფვრისა და შეშინების შემდგომ, როგორც ჩანს, მშვილდაძე გულჩვილობის ხასიათზე დადგა და რამდენიმეწუთიანი პატრიოტული ბლავილის შემდეგ ხალხს უკვე ზუგდიდის ერთ-ერთი სკოლის გარდაცვლილ დირექტორზე დაუწყო საუბარი. „მისი სკოლა შეამოწმეს. მას გულმა ვერ გაუძლო და გაუსკდა! რატომ გაუსკდა მას გული? იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა იმედი საზოგადოების მხარდაჭერისა“, — შეეცადა ხალხის აცრემლებას მიხეილ რობესპიერი...**

**მინდა, მიშა მშვილდაძეს ვკითხო: სენტიმენტალურო და რიხიანო მიხეილ რობესპიერო, შენმა ბელადმა მიშამ 2004 წელს ქუჩებში რომ გაყარა 250 ათასამდე ადამიანი ერთ დღეში და ოჯახები მშიერი დაუტოვა, აი იმ ადამიანებიდან რამდენს ვერ გაუძლო გულმა და გაუსკდა, გიკითხავს ოდესმე?**

ტრაგედია, რა თქმა უნდა, ტრაგედიაა, მაგრამ **მინდა, მიშა მშვილდაძეს ვკითხო: სენტიმენტალურო და რიხიანო მიხეილ რობესპიერო, შენმა ბელადმა მიშამ 2004 წელს ქუჩებში რომ გაყარა 250 ათასამდე ადამიანი ერთ დღეში და ოჯახები მშიერი დაუტოვა, იმ ადამიანებიდან რამდენს ვერ გაუძლო გულმა და გაუსკდა, გიკითხავს ოდესმე?**

აჰ, თუმცა, როგორ არ გიკითხავს. მახსოვს, გვქონდა მე და შენ მაშინ ამაზე საუბარი და ამბობდი, არაპროფესიონალები, დაბერებულები, გადახჩუებულები და გასაყრელები იყვნენ და გაყარესო. ახლა შენ თავად ხარ მათი ხნის, ანუ „გადახჩუებული“ და კაცურად, რა გაბღავლებს მანდ?! დაუთმე ახალგაზრდებს ასპარეზი და წადი, ქანქარა სავარძელს მიაშურე, მუხლებზე კუბოკრული პლედი გადაიფარე და მემუარები წერე, შე ბებერო ხრონცო, შენა!

რა თქმა უნდა, **ია კერზაიას** ამბავი ტრაგედიაა, მაგრამ ფაქტია, რომ გულის მძიმე დაავადების მქონე დირექტორის გარდაცვალება დაემთხვა მისი სკოლის შემოწმებას. არ არსებობს არავითარი დამადასტურებელი ფაქტი იმისა, რომ ია კერზაია ვინმემ ან დააშინა, ან ოჯახის წევრების განადგურებით დაემუქრა, ან რამე მსგავსი. ხოლო სკოლების, საბავშვო ბაღებისა თუ სხვა დაწესებულებების შემოწმებას ვერავინ გააუქმებს იმის შიშით, ემანდ ვინმეს გულის დაავადება არ აღმოაჩნდეს ან წნევამ არ აუწიოსო. მით უფრო, რომ ეს ერთეული შემთხვევა იყო „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში.

ხოლო **ნაცების მიერ სამსახურებიდან პირდაპირ ქუჩაში „უპრაგონოდ“ გაყრილი ადამიანებიდან რამდენს გაუსკდა გული და რამდენი გადაიყოლა ამ ამბავმა, ზუსტად არავინ იცის. ჩემ გარშემო რამდენიმე ათეული ასეთი შემთხვევა შემიძლია გავიხსენო. ცალკე თემაა კიდევ ის, როდესაც სკოლებისა თუ ბაღების დირექტორებად თავიანთი „შნირების“ დანიშვნა სურდათ, რამდენ დირექტორს დაემუქრნენ ოჯახის წევრების წამებით და დაატოვებინეს თანამდებობა. სხვათა შორის, ეს ნაცების პერიოდში, მხოლოდ სკოლებში კი არა, სხვა დაწესებულებებშიც ხდებოდა. ნაცების პერიოდში, ერთი კი არა, ასობით „ია კერზაია“ გვყავდა ქვეყანაში და სად იყო მაშინ რობესპიერ-მშვილდაძე, რატომ არ უჩუყდებოდა გული?**

სხვათა შორის, ია კერზაიას სკოლა, უბრალოდ, შეამოწმეს, ხოლო იმ ადამიანებს, რომლებიც 2004 წელს სამსახურებიდან განუკითხავად გაყარეს, სამსახურებში სასამართლოს გზით დაბრუნების საშუალებაც არ ჰქონდათ, რადგან სასამართლოში სარჩელის შეტანა მათი ოჯახის წევრებისთვის ნარკოტიკების ჩადებას, სხვადასხვა ბრალდებით ციხეში მოხვედრასა და არაადამიანურ წამებას ნიშნავდა...

საზოგადოდ, რა გინდა ილაპარაკო, როდესაც მშვილდაძისნაირებისთვის ადამიანის სიცოცხლეც მაშინ არის ფასეული, როცა მათ ეს ხელს აძლევთ, და დემოკრატიული ღირებულებებიც მაშინ ნიშნავს რამეს, თუ ეს მათთვის მოიტანს ხეირს.

მაგალითად, უკვე ინტენსიურად დაიწყეს იმ აზრის ტირაჟირება, რომ **„რაოდენობა არაფერს არ ნიშნავს“, „არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი ადამიანი დგას აქციაზე“** და აქეთ დასცინიან ბიძინა ივანიშვილს — „თავებად დაგვითვალაო“.

არადა, თავის დროზე სწორედ ეს ადამიანები, როდესაც ქუჩაში 300 ათასზე მეტი ადამიანი იყო გამოსული, ამბობდნენ: „300 ათასი კაცი არ არის მთელი ქართველი საზოგადოება!“ ახლა კი რაოდენობას მნიშვნელობა არ ჰქონია და რამდენიმე ასეული „დაფშტვენილის“ მოთხოვნით უნდა გადადგნენ თურმე მინისტრები და შეიცვალოს ხელისუფლება...

არადა, **ტერმინი „დემოკრატია“ სწორედ ამას ნიშნავს, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს შეიძლება არ მოსწონდეს, რასაც გადაწყვეტს უდიდესი ნაწილი, მაგრამ ის ამას უნდა შეეგუოს, რათა არ მოხდეს შეიარაღებული, ძალისმიერი დაპირისპირებები და ქვეყანა სამოქალაქო ომში არ გაეხვიოს. აი, ამის გამო უმცირესობას შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ, რაც უნდა მიუღებელი იყოს მისთვის უმრავლესობის გადაწყვეტილება, მაინც უმრავლესობის ნებას უნდა დაემორჩილოს — ესაა დემოკრატიის დასაწყისიც, დასასრულიც, ანა-ბანაც და „ჭხჯ“-ც!**

**ტერმინი „დემოკრატია“ სწორედ ამას ნიშნავს, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს შეიძლება არ მოსწონდეს, რასაც გადაწყვეტს უდიდესი ნაწილი, მაგრამ ის ამას უნდა შეეგუოს, რათა არ მოხდეს შეიარაღებული, ძალისმიერი დაპირისპირებები და ქვეყანა სამოქალაქო ომში არ გაეხვიოს. აი, ამის გამო უმცირესობას შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ, რაც უნდა მიუღებელი იყოს მისთვის უმრავლესობის გადაწყვეტილება, მაინც უმრავლესობის ნებას უნდა დაემორჩილოს. ესაა დემოკრატიის დასაწყისიც, დასასრულიც, ანა-ბანაც და „ჭხჯ“-ც!**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სააგენტო IPN-ისთვის ცოტა ხნის წინათ მიცემულ ინტერვიუში ბრაიზამ განაცხადა, რომ „საქართველო არ არის აშშ-ისა და ევროპელი მოკავშირეების დღის წესრიგში“. ხოლო იმისთვის, რომ შეიცვალოს ვითარება, თბილისმა აუცილებლად უნდა ჩაატაროს „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები“ ახლა და არა დადგენილ დროს — 2020 წლის შემოდგომაზე.**

# რა თამაშს ეწევა მეთიუ ბრაიზა

**ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარემ აშშ-დან, აზერბაიჯანში აშშ-ის ყოფილმა ელჩმა — მეთიუ ბრაიზამ კვლავ მიიპყრო ყურადღება. ამჟამად უმუშევრის, მაგრამ კავკასიის საკითხებში ერთ-ერთი მომზადებული ამერიკელი ექსპერტის, კავკასიის რეგიონში პრეზიდენტ დონალდ ტრამპის პოლიტიკის ოპოზიციონერის მსჯელობას ხშირად სჭირდება გარკვეული ანალიზი.**

მაგალითად, **სააგენტო IPN-ისთვის ცოტა ხნის წინათ მიცემულ ინტერვიუში ბრაიზამ განაცხადა, რომ „საქართველო არ არის აშშ-ისა და ევროპელი მოკავშირეების დღის წესრიგში“. ხოლო იმისთვის, რომ შეიცვალოს ვითარება, თბილისმა აუცილებლად უნდა ჩაატაროს „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები“ ახლა და არა დადგენილ დროს — 2020 წლის შემოდგომაზე.** მისი თქმით, „დაე, გაიმარჯვოს მან, ვინც გაიმარჯვებს!“ და შემდეგ: **„ჩვენმა წარუმატებლობამ რუსეთის შეკავებაში ან საკმარისი ფასის დაკისრებაში საქართველოში შეჭრისა და იმის გამო, რასაც რუსები ახლა აკეთებენ, გზა გაუხსნა იმ მოვლენებს, რომლებიც მოხდა ყირიმსა და დონბასში“.**

ბრაიზას აზრით, ვაშინგტონის შეცდომა არის ის, რომ უარი თქვა პლაცდარმად კავკასიის გამოყენებაზე რუსეთზე ზემოქმედებისთვის და ამჯობინებს, „დიალოგი“ აწარმოოს მოსკოვთან. „ჯერ კიდევ ობამას პრეზიდენტობისას, რომელმაც აზერბაიჯანში ელჩად დამნიშნა, იმედგაცრუებული ვიყავი იმით, რომ აშშ შორდებოდა ამ რეგიონს, — თქვა ბრაიზამ, — პოლიტიკა ასეთი იყო: ჯერ რუსეთი, შემდეგ — სამხრეთ კავკასიის ქვეყნები“. უფრო მეტი გულახდილობით აანალიზებს ბრაიზა ვითარებას სომხეთში და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის რეგულირების პერსპექტივას.

ბრაიზა დარწმუნებულია, რომ სომხეთის პრემიერმინისტრ **ნიკოლ ფაშინიანს** სურს, ბოლომდე აწარმოოს დიალოგი აზერბაიჯანთან. **„მე ამის შესახებ მოვისმინე ძალიან მაღალ დონეზე ბაქოში, მაგრამ არსებობს მიზანი და პოლიტიკური რეალობა,** — მსჯელობს ბრაიზა. — **ვფიქრობ, მისი გაუბედაობა განპირობებულია ყარაბაღის დაჯგუფების ზემოქმედებით. სხვათა შორის, მასზე ზემოქმედება მოდის აშშ-დანაც, ამერიკაში სომხეთის ნაციონალური კომიტეტიდან. თავის დროზე მათ დაბლოკეს ჩემი დანიშვნა ბაქოში ელჩის პოსტზე. ყარაბაღის კონფლიქტი მათ ხელს აძლევთ: შესაძლებლობა აქვთ, ფული გამოიმუშაონ აშშ-ში“.**

ბრაიზას აზრით, აქედან გამომდინარეობს ის, რომ ბაქო ოფიციალურ დონეზე ფაშინიანის მიერ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების შესახებ გამოთქმული პოზიციების გაკრიტიკებისას ელოდება მომენტს, როდესაც სომხეთის პრემიერი გაუმკლავდება ე.წ. ყარაბაღის კლანს, რომელსაც ის „ჯერ ვერ აკონტროლებს“ და რომელიც, ბრაიზას აზრით, „მოსკოვის გავლენის ქვეშ იმყოფება“.

ფაშინიანი „ამჟამად იმყოფება ე.წ. ყარაბაღის დაჯგუფების საშინელი წნეხის ქვეშ. ეს არის ყოფილი პრეზიდენტი **ქოჩარიანი**“, — მიაჩნია ყოფილ დიპლომატს, რომელსაც ყოველთვის ეპარებოდა ეჭვი, რომ, მიუხედავად „ლამაზი რევოლუციისა, რომელიც ფაშინიანმა მოაწყო, ეს დაჯგუფება მას პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციის უფლებას მისცემს. Mეტიც, ამ ძალებს უზარმაზარი მხარდაჭერა აქვს ჩრდილოეთიდან“.

კეთილი, დავუშვათ, რომ ფაშინიანი ასე თუ ისე შეძლებს ამ ოპერაციის ჩატარებას მთიან ყარაბაღში გასამართი არჩევნების გათვალისწინებით. მერე? თვითონ ბრაიზა აცხადებს, რომ „ტრამპს ამჟამად ყარაბაღისთვის არ სცხელა“ და ვაშინგტონს ამ რეგიონში არ აქვს „მთლიანი, გააზრებული საგარეო-პოლიტიკური ხაზი“.

რატომ არ გამოხტავს ბრაიზა, ისევე, როგორც მისი დასავლელი პარტნიორები, ერთმნიშვნელოვან პოზიციას აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობაზე, როდესაც აცხადებს, რომ „მთიანი ყარაბაღის სამომავლო სტატუსი განისაზღვრება პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობისას“, საქართველოს შემთხვევაში კი ამერიკელები სხვაგვარად იქცევიან? რჩება შთაბეჭდილება, რომ ბრაიზა თბილისში, ისევე, როგორც ერევანსა და ბაქოში, შიდაპოლიტიკური ვითარების გამწვავებას ცდილობს.

აზერბაიჯანისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს განზრახული აქვთ, უახლოეს ხანში განაახლონ მოლაპარაკებები მინსკის ჯგუფის შუამავლობით, ფაშინიანის წინააღმდეგობრივი განცხადებების მიუხედავად.

ბრაიზას აზრით კი, სომხეთის მთავრობის ასეთი პოზიციის გამო კონსტრუქციული მოლაპარაკებების წარმოება შეუძლებელია. „მე რომ ვიყო მედიატორი და სომხეთი რჩებოდეს თავის პოზიციაზე, — ამბობს ექსელჩი, — ჩემს აღშფოთებას გამოვხატავდი და გადავდგებოდი“.

**iarex.ru-ს**
**მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



**ბრაიზას აზრით, ვაშინგტონის შეცდომა არის ის, რომ მან უარი თქვა პლაცდარმად ამიერკავკასიის გამოყენებაზე რუსეთზე ზემოქმედებისთვის და «დიალოგს» ამჯობინებს მოსკოვთან**

**რატომ არ გამოხატავს ბრაიზა, ისევე, როგორც მისი დასავლელი პარტნიორები, ერთმნიშვნელოვან პოზიციას აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობაზე, როდესაც აცხადებს, რომ „მთიანი ყარაბაღის სამომავლო სტატუსი განისაზღვრება პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობისას“, საქართველოს შემთხვევაში კი ამერიკელები სხვაგვარად რატომ იქცევიან? რჩება შთაბეჭდილება, რომ ბრაიზა თბილისში, ისევე, როგორც ერევანსა და ბაქოში, შიდაპოლიტიკური ვითარების გამწვავებას ცდილობს**

# საქართველოში — ბრაიზა და კრამერი, უკრაინაში — ვოლკერი

## რატომ არ შედგა შეთანხმება «ნორმანდიული ოთხეულის» შეხვედრაზე



**დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ამაში დიდი წვლილი მიუძღვის აშშ-ის სპეცწარმომადგენელ კურტ ვოლკერს. ექსპერტთა თქმით, ვოლკერი ყველანაირად ეწინააღმდეგება უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის, რათა ის რუსეთს არ შეუთანხმდეს.**

ცოტა ადრე, როცა უკრაინას საინსპექციო ვიზიტით ეწვია, ვოლკერმა განაცხადა, რომ დონბასში არ არსებობს პირობები „შტაინმაიერის ფორმულის“ რეალიზაციისთვის, რომლის მიხედვითაც დონეცკსა და ლუგანსკში არჩევნები უნდა ჩატარდეს და მათ სპეციალური სტატუსი უნდა მიენიჭოს.

„ნორმანდიული ოთხეულის“ შეხვედრის მოსამზადებელი მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ზელენსკი შტატებში მიემგზავრება დონალდ ტრამპთან შესახვედრად.

ექსპერტებმა ამ შეტევას სანავთობე სამყაროს 11 სექტემბერი უწოდეს. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა კი საუდის არაბეთს ნავთობსაბადოებზე დრონების შეტევის შემდეგ C-300-ის ან C-400-ის შეძენა შესთავაზა. ამის შესახებ რუსეთის ლიდერმა ანკარაში სირიის საკითხზე სამმხრივი (რუსეთი-თურქეთი-ირანი) შეხვედრისას განაცხადა.

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩვენ რით და როგორ დავიცავთ თავს?



**რამდენიმე დღის წინათ თავს დაესხნენ საუდის არაბეთის სანავთობე ობიექტებს და მნიშვნელოვნად დააზიანეს. ეს ობიექტები დაცული იყო ამერიკული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებით.**

აშშ-ის სახელმწიფო მდივან **მაიკ პომპეოს** არ გაჰკვირვებია, რომ საუდის არაბეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებმა, მათ შორის, ამერიკულმა რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსმა Petriot-ებმა, ვერ შეძლეს ნავთობსაბადოებზე შეტევის მოგერიება.

დიპლომატის თქმით, მსგავსი სისტემები „ცვალებადი წარმატებით“ მუშაობს. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროში ვარაუდობენ, რომ საუდის არაბეთში ათეულობით დრონის მოგერიება ვერ შეძლეს ძალიან რეკლამირებული საზენიტო-სარაკეტო კომპლექს Petriot-ისა და Aegis-ის მწირი შესაძლებლობების გამო.

ექსპერტებმა ამ შეტევას სანავთობე სამყაროს 11 სექტემბერი უწოდეს. რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** კი საუდის არაბეთს ნავთობსაბადოებზე დრონების შეტევის შემდეგ C-300-ის ან C-400-ის შეძენა შესთავაზა. ამის შესახებ რუსეთის ლიდერმა ანკარაში სირიის საკითხზე სამმხრივი (რუსეთი-თურქეთი-ირანი) შეხვედრისას განაცხადა.

პუტინის თქმით, საუდის არაბეთის სამეფოს ხელმძღვანელებმა უნდა მიიღონ ბრძნული გადაწყვეტილება და შეისყიდონ C-300 ან C-400-ები, როგორც ეს გააკეთა, თურქეთის ხელისუფლებამ. „ისინი საიმედოდ დაიცავენ საუდის არაბეთის ინფრასტრუქტურის ნებისმიერ ობიექტს“, — ხაზგასმით აღნიშნა რფ-ის პრეზიდენტმა. სამეფოს სანავთობე ობიექტებზე შეტევის კომენტირებისას პუტინმა გამოიყენა ციტატა ყურანიდან: **„შეუძლებელია, არ გავიხსენო წმინდა ყურანის სტრიქონები, რომლებშიც ნათქვამია: გაიხსენეთ ალაჰის მოწყალება, თქვენ ოდესღაც იყავით მტრები. ალაჰმა შეარიგა თქვენი გულები და გაქციათ ძმებად“. ვფიქრობ, სწორედ აქედან გამომდინარეა საჭირო მოქმედება“,** — დაასკვნა რუსეთის პრეზიდენტმა.

მოსკოვი დახმარებას სთავაზობს ერ-რიადს, რადგან რუსეთს აქვს დრონებისგან ჰმეიმიმას ბაზის (სირია) საკმაოდ წარმატებული დაცვის გამოცდილება. საუდის არაბეთში მომხდარმა დაადასტურა, რომ ყველა სანავთობე და, რა თქმა უნდა, სხვა ობიექტებიც ჯეროვნად დაცული არ არის „კაპიკებად“ ღირებული საშუალებების შეტევისგან. არა მხოლოდ საუდის არაბეთს, არამედ სხვა ნებისმიერ ქვეყანას სჭირდება თავისი ობიექტების დაცვა. ამ მხრივ რუსეთი ყველას შეახსენებს, რომ მას აქვს გამოცდილება, წარმატებით დაიცვას თავისი ობიექტები.

**აშშ-ის სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოს არ გაჰკვირვებია, რომ საუდის არაბეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებმა, მათ შორის, ამერიკულმა რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსმა Petriot-ებმა, ვერ შეძლეს ნავთობსაბადოებზე შეტევის მოგერიება. დიპლომატის თქმით, მსგავსი სისტემები „ცვალებადი წარმატებით“ მუშაობს. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროში ვარაუდობენ, რომ საუდის არაბეთში ათეულობით დრონის მოგერიება ვერ შეძლეს ძალიან რეკლამირებული საზენიტო-სარაკეტო კომპლექს Petriot-ისა და Aegis-ის მწირი შესაძლებლობების გამო**

საკითხავია, საქართველომ რით და როგორ უნდა დაიცვას თავი?



**მოსკოვი დახმარებას სთავაზობს ერ-რიადს, რადგან რუსეთს აქვს დრონებისგან ჰმეიმიმას ბაზის (სირია) საკმაოდ წარმატებული დაცვის გამოცდილება. საუდის არაბეთში მომხდარმა დაადასტურა, რომ ყველა სანავთობე და, რა თქმა უნდა, სხვა ობიექტებიც ჯეროვნად დაცული არ არის «კაპიკებად» ღირებული საშუალებების შეტევისგან. არა მხოლოდ საუდის არაბეთს, არამედ სხვა ნებისმიერ ქვეყანას სჭირდება თავისი ობიექტების დაცვა. ამ მხრივ რუსეთი ყველას შეახსენებს, რომ მას აქვს გამოცდილება, წარმატებით დაიცვას თავისი ობიექტები**

# საუდის არაბეთის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებზე შეტევამ აქტუალურობა შესძინა რუსეთის ინიციატივას რეგიონში უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბების თაობაზე



**მოსკოვი იმედოვნებს, რომ საუდის არაბეთის სანავთობე ინფრასტრუქტურაზე დრონების შეტევის ინციდენტის შემდეგ რეგიონის ქვეყნები ყურადღებით მოეკიდებიან რუსეთის ინიციატივას სპარსეთის ყურის რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა.**

„რამდენიმე წელიწადია, ჩვენ ამას ვთავაზობთ, ცოტა ხნის წინათ მოვაწყვეთ სპეციალური პრეზენტაცია და განვაახლეთ ჩვენი მიდგომა. **სპარსეთის ყურის ქვეყნები, მათი პარტნიორები რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ უნდა დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან და დაიწყონ დაძაბულობის განმუხტვა ძალიან უბრალო ნაბიჯებით — მშვიდობითა და ნდობით, ტრანსპარენტულობით, ერთმანეთის მიწვევით სხვადასხვა ღონისძიებაზე შეიარაღებული ძალების ხაზით და სხვა ნაბიჯებით, რომლებიც განამტკიცებს გაგებას, რომ დალაპარაკება აუცილებელია“,** — განაცხადა ლავროვმა.

„ჩვენ ვგრძნობთ ინტერესს ჩვენი ინიციატივის მიმართ, მაგრამ არა ყველა მოთამაშის მხრიდან. ვიმედოვნებ, რომ ეს სამწუხარო ეპიზოდი უბიძგებს ჩვენს კოლეგებს, მეტი ყურადღებით მოეკიდონ რუსეთის ინიციატივებს. უნდა ვიმოქმედოთ სისტემურად, შევქმნათ ყოვლისმომცველი ჩარჩოები, რომლებშიც იოლი იქნება მოლაპარაკებები“, — აღნიშნა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

რეგიონში უსაფრთხოების განსამტკიცებლად მოსკოვის მიერ შეთავაზებულ ზომებში არის უარის თქმა არარეგიონული სახელმწიფოების სამხედრო დაჯგუფებების მუდმივ დისლოკაციაზე სპარსეთის ყურის ქვეყნებში; დემილიტარიზებული ზონების შექმნა; ცხელი ხაზების დაწესება; ინფორმაციის გაცვლა შეიარაღების შესყიდვის შესახებ. რუსეთი, აგრეთვე, სთავაზობს, შეიქმნას უსაფრთხოების ორგანიზაცია, რომელშიც შევლენ რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი, აშშ, ევროკავშირი და სხვა დაინტერესებული ქვეყნები.

**ჩვენ ვგრძნობთ ინტერესს ჩვენი ინიციატივის მიმართ, მაგრამ არა ყველა მოთამაშის მხრიდან. ვიმედოვნებ, რომ ეს სამწუხარო ეპიზოდი უბიძგებს ჩვენს კოლეგებს, მეტი ყურადღებით მოეკიდონ რუსეთის ინიციატივებს. უნდა ვიმოქმედოთ სისტემურად, შევქმნათ ყოვლისმომცველი ჩარჩოები, რომლებშიც იოლი იქნება მოლაპარაკებები“**

გვერდი მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძე

## გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**2019 წელს, როცა ათონის წმინდა მთაზე ვიმყოფებოდი მეგობრებთან ერთად, ვატოპედის ყველაზე დიდი მონასტრის წინამძღოლმა წმინდა მიწაზე განლაგებული ოცი ეკლესიის მსახურთ და მრევლს ურჩია, მოენახულებინათ პატარა ქვეყანა საქართველში არსებული ცოცხალი სიწმინდე — პატრიარქი ილია მეორე, რომლისგანაც უამრავი მადლი გადავა მათზე...**

დასასრული. დასაწყისი იხ. №32-33, 2019 წ.

# სტალინის პირადი ცხოვრების ნაკლებად ცნობილი ფაქტები

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ მღვდელმთავართა კრება გამართულიყო მოსკოვში 8 სექტემბერს. **მიტროპოლიტმა სერგიმ** დააყენა და შემდეგ **მიტროპოლიტმა ალექსიმ** განავითარა სასულიერო კადრების მომზადების საკითხი. ორივემ სთხოვა ამხ. **სტალინს** ნებართვა ზოგიერთ ეპარქიაში სღვთისმეტყველო კურსების გახსნის თაობაზე.

ამხ. სტალინი დაეთანხმა და იკითხა: — რატომ უნდათ სღვთისმეტყველო კურსების გახსნა, როცა მთავრობას შეუძლია სასულიერო აკადემიისა და სასულიერო სემინარების გახსნა ყველა ეპარქიაში, სადაც კი ეს საჭიროა?

მიტროპოლიტმა სერგიმ და მიტროპოლიტმა ალექსიმ აღნიშნეს, რომ სასულიერო აკადემიის გახსნისთვის ჯერ კიდევ არ შესწევთ ძალა და შესაბამისი მომზადებაა საჭირო. რაც შეეხება სემინარებს, 18 წლამდე ახალგაზრდების მიღება გამოცდილების გარეშე მათ შეუფერებლად მიიჩნიეს, აქედან გამომდინარე, მათი მომზადება სულიერ მოძღვრებად, რადგან მსოფლმხედველობა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი აქვთ. შემდგომ, როცა ეკლესიას ექნება გამოცდილება ღვთისმეტყველების კურსებზე მუშაობისა, შესაძლებელი იქნება, დაისვას ეს საკითხიც და ისიც მაშინ, თუ სემინარიებისა და აკადემიების პროგრამები და საორგანიზაციო საკითხები შეიცვლება.

**— კარგი, როგორც გენებოთ, ეს თქვენი საქმეა. თუ თქვენ ღვთისმეტყველების კურსები გსურთ, დაიწყეთ კურსებით, მაგრამ მთავრობას არაფერი აქვს საწინააღმდეგო სემინარიებისა და აკადემიების გახსნის მიმართაც,** — თქვა სტალინმა.

მიტროპოლიტმა სერგიმ მესამე საკითხად დასვა გამოცემა საპატრიარქოს ჟურნალისა, რომელიც დაიბეჭდებოდა თვეში ერთხელ და გააშუქებდა საეკლესიო ქრონიკას, სტატიებს, ღვთისმეტყველებისა და პატრიოტული ხასიათის ნარკვევებს. ამხ. სტალინმა უპასუხა, რომ ჟურნალი საჭიროა და უნდა გამოიცეს. შემდეგ **მიტროპოლიტი სერგი შეეხო რიგ ეპარქიებში ეკლესიების გახსნის საკითხს, რომ ეპარქიის მღვდელმთავრები შეწუხებული არიან ეკლესიების სიმცირის გამო. ამასთანავე, მრავალი წელია, ბევრი ეკლესია დაკეტილია. მიტროპოლიტებმა ალექსიმ და ნიკოლაიმ დაამატეს, რომ საბჭოთა კავშირში ეკლესიები არათანაბრად არის განაწილებული და მოითხოვეს მათი გახსნა იმ ოლქებსა და მხარეებში, როლებშიც ნაკლებია ეკლესიები ან სულაც არ არის.**

ამხ. სტალინმა უპასუხა, რომ ამ საკითხზე მთავრობის მხრიდან არანაირი დაბრკოლება არ შეექმნებათ. შემდგომ მიტროპოლიტმა სერგიმ ამხ. სტალინის წინაშე დასვა გათავისუფლების საკითხი ზოგიერთი არქიელისა, რომლებიც გადასახლებაში, ბანაკებში ან ციხეებში იმყოფებოდნენ. ამხ. სტალინმა მათ უთხრა, — წარმოედგინათ ამ ადამიანების სია და განიხილავდნენ. მიტროპოლიტმა სერგიმ დასვა საკითხი ყოფილი მღვდლებისთვის, რომლებმაც სასჯელი მოიხადეს, მიეცათ თავისუფალი გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და ეკლესიებში მსახურების უფლება. პრობლემები არსებობდა საპასპორტო რეჟიმის შეზღუდვის გამოც. ამხ. სტალინმა მირჩია, შემესწავლა ეს საკითხი. შემდეგ მიტროპოლიტმა ალექსიმ ყურადღება გაამახვილა საეკლესიო სალაროების საკითხებზე, სახელდობრ:

**ა)** მიეცეთ ეპარქიებს საეკლესიო თანხების ნაწილის გადარიცხვის უფლება ცენტრალურ სალაროში (საპატრიარქოს, სინოდის), რადგან თავის სარჩენი შემოსავლები არ ჰქონდათ. მიტროპოლიტმა ალექსიმ მოიყვანა მაგალითი, რომ ლენინგრადის საბჭოს ადმინისტრაციული ზედამხედველობის ინსპექტორმა **ტატარინცევამ** ასეთი გადარიცხვის უფლება არ მისცათ;

**ბ)** უნდა შეიცვალოს საეკლესიო მართვის დებულება და ღვთისმსახურთ მიეცეთ უფლება, იყვნენ ეკლესიის საქმეთა აღმასრულებელი ორგანოს წევრები. ამხ. სტალინმა თქვა, რომ ამ მოსაზრებების მიმართ საწინააღმდეგო არაფერი აქვს. საუბრისას მიტროპოლიტი ნიკოლაი სანთლების საკითხსაც შეეხო. მან განაცხადა, რომ ამჟამად საეკლესიო სანთლებს კუსტარულად ამზადებენ და მათი გასაყიდი ფასი ეკლესიებში საკმაოდ მაღალია. საუკეთესო გამოსავლად მას მიაჩნია, რომ ეპარქიებს ჰქონდეთ სანთლის ქარხნები. **ამხ. სტალინმა განაცხადა, რომ ეკლესიას შეუძლია ყველა საკითხში ჰქონდეს სახელმწიფოს მხრიდან ყოველმხრივი მხარდაჭერის იმედი. სახელმწიფო ხელს შეუწყობს ეკლესიის გაძლიერებასა და განვითარებას, გარდა ამისა, მხარს უჭერს სასულიერო სასწავლებლების, სემინარიების გახსნას, ეპარქიებს არ შეექმნებათ დაბრკოლებები, რათა მათი მმართველობით გაიხსნას სანთლის წარმოების ქარხნები და სხვა საწარმოები. შემდეგ მე მომმართა: — უნდა უზრუნველყოთ მღვდელმთავრების უფლება, თვითონ განკარგონ საეკლესიო თანხები. ნუ შევზღუდავთ სემინარიების, სანთლის ქარხნებისა და ა.შ. ორგანიზებას.**

შემდეგ ამხ. სტალინმა სტუმრებს მიმართა, რომ, თუ საჭირო იქნებოდა, ახლავე ან შემდგომ სახელმწიფოს შეუძლია, გამოყოს შესაფერისი სუბსიდიები საეკლესიო ცენტრებისთვის.

**„ამხ. კარპოვმა მომახსენა, რომ თქვენ ძალიან ცუდად ცხოვრობთ: გაქვთ პატარა ბინა, სურსათს ბაზარში ყიდულობთ, არ გაქვთ არანაირი ტრანსპორტი. ამიტომ მთავრობას სურს, იცოდეს, რა გიჭირთ და რის მიღება გსურთ მთავრობისგან“,** — მიმართა ამხ. სტალინმა სამივე მიტროპოლიტს.





რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქები სტალინთან შეხვედრის წინ

**მე ვხვდები ვის ბოსტანშიც ისვრი ქვებს, მინდიაშვილო, მაგრამ იცოდე, ეს ჯერ მხოლოდ ქვების შეგროვებაა, ქვების სროლა იმის შემდეგ დაიწყება, როდესაც იმ წერილის დასაწერად გაამზადებ კალამს, რომლითაც ოკეანის გაღმელ უღმერთოთა კოჰორტას უნდა უპატაკო მართლმადიდებლობის ჩაძირვა**

მიტროპოლიტმა სერგიმ სთხოვა, პატრიარქის ბინისთვის საპატრიარქოს განკარგულებაში გადაეცათ ნოვოდევიჩის მონასტრის კორპუსი, პროდუქტებს თვითონ იყიდიან ბაზარზე; რაც შეეხება ტრანსპორტს, თუ შესაძლებელი იქნებოდა, გამოეყოთ ავტომანქანა.

ამხ. სტალინმა უპასუხა, რომ ნოვოდევიჩის მონასტრის შენობები ამხ. კარპოვმა დაათვალიერა. ისინი კეთილმოუწყობელია, საჭიროებს კაპიტალურ რემონტს და ამას დრო სჭირდება. იქ სინესტეა და ცივა. ეს შენობები XVI საუკუნეშია აშენებული. მთავრობას შეუძლია, ხვალვე გადასცენ კეთილმოწყობილი და მომზადებული სამსართულიანი შენობა ჩისტოეს ქუჩის შესახვევში, რომელიც წინათ გერმანელ ელჩს — **შულენბურგს** ეკავა. შენობას გადასცემენ თავისი ქონებითა და ავეჯით. წარმოდგენის შესაქმნელად ამხ. სტალინმა შესთავაზა შენობის გეგმის დათვალიერება.

რამდენიმე წუთის შემდეგ პოსკრებიშევმა ამხ. სტალინს წარმოუდგინა ჩისტოეს შესახვევში მდებარე №5 სახლის გეგმა თავისი შენობებითა და ბაღით. გეგმა გააცნეს მიტროპოლიტებს და დაჰპირდნენ, რომ ამხ. კარპოვი მათ მეორე დღესვე დაათვალიერებინებდა აღნიშნულ შენობა-ნაგებობებს.

ამხ. სტალინი კვლავ შეეხო პროდუქტებით მომარაგების საკითხს. მან მიტროპოლიტებს უთხრა:

— ბაზარზე პროდუქტების ყიდვა მოუხერხებელია და ძვირია, კოლმეურნეებს პროდუქტი ბაზარზე მცირე რაოდენობით გამოაქვთ. მთავრობას კი შეუძლია უზრუნველგყოთ პროდუქტებით სახელმწიფო ფასებში. ამის გარდა, ჩვენ ხვალ-ზეგ გადმოგცემთ 2-3 მსუბუქ ავტომანქანას თავისი საწვავით.

ამხ. სტალინმა მიტროპოლიტებს რამდენჯერმე ჰკითხა, ჰქონდა თუ არა ეკლესიას კიდევ რამე გასარკვევი და პრობლემა. სამივემ ერთხმად განაცხადა, რომ განსაკუთრებული სათხოვარი მათ არ აქვთ, მაგრამ ხანდახან ადგილებზე ხდება სასულიერო პირებზე ბეგარის დამატებით შეწერა. ამხ. სტალინმა მითხრა, შემემოწმებინა ყველა ასეთი შემთხვევა და შესაბამისი ზომები მიმეღო.

ამის შემდეგ ამხ. სტალინმა მიმართა მიტროპოლიტებს, რომ ამჯერად აღარაფერია გასარკვევი მთავრობასთან, მაგრამ შესაძლებელია მომავალში გაჩნდეს, ამიტომ მთავრობას განზრახული აქვს, შექმნას სპეციალური აპარატი, რომელსაც ერქმევა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის საქმეთა საბჭო და მის თავმჯდომარედ განიხილება ამხ. კარპოვი და ჰკითხა მათ აზრი ამის შესახებ. სამივემ განაცხადა, რომ ამხ. კარპოვის დანიშვნას ამ პოსტზე კეთილგანწყობით ხვდებიან.

ამხ. სტალინმა თქვა, რომ საბჭო იქნება შუამავალი მთავრობასა და ეკლესიას შორის და მისი თავმჯდომარე მოვალე იქნება, მთავრობას მოახსენოს ეკლესიის ცხოვრებისა და პრობლემების შესახებ. შემდეგ ამხ. სტალინმა მე მომმართა:

— შეარჩიეთ თქვენთვის ორი-სამი დამხმარე, რომლებიც საბჭოს წევრები იქნებიან, შექმენით აპარატი, მაგრამ გახსოვდეთ: პირველი — თქვენ ობერპროკურორი არ ხართ; მეორე — თქვენი საქმიანობით მეტი დამოუკიდებლობა მიეცით ეკლესიას.

ამხ. სტალინმა ამხ. მოლოტოვს მიმართა, რომ საჭიროა, ამის შესახებ ეცნოს მოსახლეობას და შემდგომში კი საჭირო იქნება გავრცელდეს ცნობა პატრიარქის არჩევის შესახებ.

**ვიაჩესლავ მოლოტოვმა** იქვე დაიწყო რადიოსა და გაზეთისთვის კომუნიკეს პროექტის შედგენა და ამხ. სტალინისა და მიტროპოლიტების მხრიდან გარკვეული შესწორებებისა და დამატებების შეტანის შემდეგ ტექსტი შემდეგი რედაქციით მიიღეს:

**„ამა წლის 4 სექტემბერს სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შეხვდა საპატრიარქოს მეთვალყურეს, მიტროპოლიტ სერგის; ლენინგრადის მიტროპოლიტ ალექსისა და კიევისა და უკრაინის ეგზარქოსსა და გალიციის მიტროპოლიტ ნიკოლაის. საუბრისას მიტროპოლიტმა სერგიმ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს აცნობა, რომ ეკლესიის ხელმძღვანელებს აქვთ განზრახული, მოიწვიონ მღვდელმთავართა კრება მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ასარჩევად და საპატრიარქოსთან წმინდა სინოდის შესაქმნელად. მთავრობის მეთაური ამხ. სტალინი თანაგრძნობით მოეკიდა ამ წინადადებას და განაცხადა, რომ მთავრობის მხრიდან არანაირი დაბრკოლება არ შეიქმნება. საუბარს ესწრებოდა სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ.მ. მოლოტოვი“.**

გადაწყდა, რომ ცნობა გამოქვეყნდებოდა გაზეთ „იზვესტიაში“ 5 სექტემბერს. აღნიშნული კომუნიკე ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დიმიტრი პოსპელოვსკი იმასაც ამტკიცებს, 1943 წლის 4 სექტემბერს ეკლესიის წინამძღოლებთან სტალინის ისტორიული შეხვედრა იმით იყო განპირობებული, რომ თეირანის კონფერენციაზე სტალინს თავი უნდა მოეწონებინა მოკავშირეებისთვის ეკლესიის მიმართ დათმობებით, რათა დაეჩქარებინათ მეორე ფრონტის გახსნა. ასეთი პრიმიტიული გათვლები და „წინათგრძნობები“, როგორც პოსპელოვსკის გააჩნია, მეტად მიამიტურია და სრულიად არ შეესაბამება სამი გიგანტის პირველი შეხვედრის მასშტაბებსა და სიმძიმეს, რომელიც იმხანად სუფევდა თეირანსა და სრულიად მსოფლიოში.**

◀ გადაეცა პოსკრებიშევს იმ დღესვე რადიოსა და საკდესისათვის გაზეთებში გამოსაქვეყნებლად. ამხ. მოლოტოვმა კითხვით მიმართა მიტროპოლიტ სერგის, თუ როდის უფრო უკეთესი იქნებოდა ანგლიკანური ეკლესიის დელეგაციის მიღება იორკის არქიეპისკოპოსის მეთაურობით. მიტროპოლიტმა სერგიმ უპასუხა, რომ კრების მოწვევა შეიძლება 4 დღეში, შესაბამისად, აირჩევა პატრიარქი და ანგლიკანური ეკლესიის დელეგაციის მიღება ამის შემდეგ ნებისმიერ დროს შეიძლებაო.

ამხ. მოლოტოვმა განაცხადა, რომ ამ დელგაციის მიღება უმჯობესი იქნებოდა ერთი თვის შემდეგ. ბოლოს მიტროპოლიტმა სერგიმ მადლობა გადაუხადა მთავრობას და პირადად ამხ. სტალინს. ამხ. მოლოტოვმა შესთავაზა, ფოტოგრაფი გამოეძახებინათ, მაგრამ ამხ. სტალინმა უპასუხა, რომ უკვე გვიან იყო და ამას სხვა დროსაც გააკეთებდნენ.

ამხ. სტალინი დაემშვიდობა მიტროპოლიტებს და კაბინეტის კარამდე მიაცილა ისინი.

ამ შეხვედრამ, რომელიც ეკლესიისთვის ისტორიული მოვლენა იყო, მღვდელმთავრებზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა, რაც ყველამ შეამჩნია, ვინც კი იმ დღეებში შეხვდა მიტროპოლიტებს (რუსეთის ფერდერაციის სახელმწიფო არქივი ფონდი 6991)“.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სტალინის მიერ ეკლესიის მიმართ კურსის შეცვლა გერმანელების მიერ ოკუპირებულ რაიონებში ეკლესია-მონასტრების აშენება ყოფილა. ეს მაშინ, როდესაც რუსი მკვლევარი **დიმიტრი პოსპელოვსკი** თავის კვლევაში „სტალინი და ეკლესია“ საარქივო მასალებზე დაყრდნობით აქვეყნებს ინფორმაციას, რომ ბელორუსიაში ოკუპაციის მომენტში თუ იყო 400 მოქმედი და 1500 დაკეტილი ეკლესია, მტრისგან ბელორუსიის გათავისუფლების მომენტისთვის, არც მოქმედი და არც დაკეტილი ეკლესია არ არსებობდა, ის მთლიანად განადგურებული იყო გერმანელების მიერ.

**დიმიტრი პოსპელოვსკი იმასაც ამტკიცებს, რომ 1943 წლის 4 სექტემბერს ეკლესიის წინამძღოლებთან სტალინის ისტორიული შეხვედრა იმით იყო განპირობებული, რომ თეირანის კონფერენციაზე სტალინს თავი უნდა მოეწონებინა მოკავშირეებისთვის ეკლესიის მიმართ დათმობებით, რათა დაეჩქარებინათ მეორე ფრონტის გახსნა. ასეთი პრიმიტიული გათვლები და „წინათგრძნობები“, როგორც პოსპელოვსკის გააჩნია, მეტად მიამიტურია და სრულიად არ შეესაბამება სამი გიგანტის პირველი შეხვედრის მასშტაბებსა და სიმძიმეს, რომელიც იმხანად სუფევდა თეირანსა და სრულიად მსოფლიოში.** უფრო მეტიც:

**ჩერჩილის დაჟინებული თხოვნით, რუზველტს სხდომაზე უნდა დაეყენებინა საკითხი კოალიციაში რომის პაპის შეყვანის თაობაზე. რუზველტმა სხდომაზე საკითხის დაყენებისგან თავი შეიკავა, მაგრამ საუზმეზე მორიდებით შეჰბედა სტალინს: „არ იქნებოდა ცუდი, თუ კოალიციის შემადგენლობაში რომის პაპს მოვიწვევდით“-ო.**

**სტალინმა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ იკითხა: „რამდენი და რა სახეობის დივიზიების გამოყვანა შეუძლია რომის პაპს ბრძოლის ფრონტზე?“**

აშშ-ისა და ბრიტანეთის ლიდერები მიხვდნენ, რომ საქმე ჰქონდათ მძიმე სარკაზმთან, მაგრამ შუბლის ძარღვგაწყვეტილმა ჩერჩილმა მაინც განაცხადა:

— რომის პაპს დივიზიები არ ჰყავს, მან უნდა ილოცოს ჩვენი გამარჯვებისათვის.

— ჯერ ჩვენ ვურტყათ ჩვენი ძალებით მტერს და, როცა გავიმარჯვებთ, საცეცხლურს მეც გავიქნევ და ლოცვასაც აღვავლენ, — უპასუხა სტალინმა.

ამით დამთავრდა ბრძოლის ველზე ღვთისმსახურების გაყვანის საკითხი.

სტალინი ყოველთვის მართლმადიდებლობის დამცველი და ქომაგი რომ იყო 1923 წლიდან სიცოცხლის ბოლო წუთამდე, ჩანს მის ფარულ თუ ღია ქმედებებში...

ზოგიერთი ნეოტროცკისტი სტალინს ეკლესიების ნგრევასა და ულმერთობაში ადანაშაულებდა, საქართველოს პატრიარქ ილია მეორეს კი ეკლესიების აშენებასა და მართლმადიდებლობის გაბრწყინებაში ადანაშაულებენ.

**2019 წელს, როცა ათონის წმინდა მთაზე ვიმყოფებოდი მეგობრებთან ერთად, ვატოპედის ყველაზე დიდი მონასტრის წინამძღოლმა წმინდა მიწაზე განლაგებული ოცი ეკლესიის მსახურთ და მრევლს ურჩია, მოენახულებინათ პატარა ქვეყანა საქართველოში არსებული ცოცხალი სიწმინდე — პატრიარქი ილია მეორე, რომლისგანაც უამრავი მადლი გადავა მათზე...**

მსოფლიო სატანისტების მიერ საქართველოში გამართულ შაბაშზე კი ღვთისმგმობლური სიტყვა წარმოთქვა **ბექა მინდიაშვილმა:**

„კომუნიზმი თავდაპირველად გარედან ებრძოდა ეკლესიას: ტეხდა და ფიზიკურად ანადგურებდა სასულიერო პირებს, მორწმუნეებს ასახლებდა მათ გულაგებში... (ეს ყველაფერი მართალია. ამ პროცესს სათავეში ედგნენ ამერიკიდან, გერმანიიდან და ინგლისიდან შემოგზავნილი იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტები — ლენინი, ტროცკი და სხვა უამრავი უცხო ჯიშისა და ტომის წარმომადგენელი, რომლებსაც ყოველთვის წინ აღუდგებოდა ხოლმე სტალინი და, რომელმაც ასი წლით უკან დაახევინა გლობალიზაციას, მასონიზმსა და ყალბ ლიბერალიზმს — გრ. ონიანი) ... თითქოს სტალინური დათბობის ეტაპი დაკავშირებულია არა რეალურად კეთილგანწყობასთან, რელიგიისა და მართლმადიდებელი ეკლესიისადმი, არამედ იმასთან, რომ, ფაქტობრივად, საბჭოთა ტოტალიტარიზმი ამოიზარდა უკვე ეკლესიის შიგნიდან. ეკლესიაში არსებობა დაიწყეს არა გატეხილმა სასულიერო პირებმა, არამედ სტალინისა და კომუნიზმის მიერ შექმნილმა და დატრენინგებულმა ენკავედე-ს თანამშრომლებმა, რომლებმაც ჩაიცვეს სასულიერო სამოსები“.

**მე ვხვდები, ვის ბოსტანშიც ისვრი ქვებს, მინდიაშვილო, მაგრამ იცოდე, ეს ჯერ მხოლოდ ქვების შეგროვებაა,**



შეხვედრის მონაწილენი:
ეკლესიის მხრიდან: მიტროპოლიტები ალექსეი, სერგეი და ნიკოლაი,
საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან: კარპოვი, სტალინი და მოლოტოვი

**ჩერჩილის დაჟინებული თხოვნით, რუზველტს სხდომაზე უნდა დაეყენებინა საკითხი კოალიციაში რომის პაპის შეყვანის თაობაზე. რუზველტმა სხდომაზე საკითხის დაყენებისგან თავი შეიკავა, მაგრამ საუზმეზე მორიდებით შეჰბედა სტალინს: «არ იქნებოდა ცუდი, თუ კოალიციის შემადგენლობაში რომის პაპს მოვიწვევდით»-ო. სტალინმა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ იკითხა: «რამდენი და რა სახეობის დივიზიების გამოყვანა შეუძლია რომის პაპს ბრძოლის ფრონტზე?»**



**ქვების სროლა შემდეგ დაიწყება, როდესაც იმ წერილის დასაწერად გაამზადებ კალამს, რომლითაც ოკეანის გაღმელ უღმერთოთა კოჰორტას უნდა უპატაკო მართლმადიდებლობის ჩაძირვა.**

**შენგან ანათემას გადაცემულ „უღმერთო“ სტალინზე აი რას წერს და ამბობს მისი თანამედროვე ყველაზე დიდი ქრისტიანი:**

„სამთავრობო განცხადებამ იოსებ ბესარიონის ძე სტალინის მოულოდნელი ავადმყოფობის შესახებ ღრმა მწუხარება გამოიწვია რუსი ხალხის გულში. ჩვენი, ყველა მორწმუნის, ვალია, ლოცვით მივმართოთ ღმერთს და ყველა ჩვენგანისთვის ძვირფასი სნეულის გამოჯანმრთელება ვთხოვოთ. გაკურთხებთ, ყოველი ეპარქიის ყოველ ტაძარში აღევლინოს ლოცვები იოსებ ბესარიონის ძის ჯანმრთელობაზე. ჩვენი ეკლესია ვერ დაივიწყებს იმ კეთილმოსურნეობას, ჩვენი მთავრობისა და პირადად იოსებ ბესარიონის ძისა, რომელიც გამოიხატა მთელ რიგ ღონისძიებებში, რომელიც ჩვენი მართლმადიდებლური რუსული ეკლესიის სიკეთისა და გაძლიერებისკენ იყო მიმართული, და თავს ვალდებულად რაცხს მისთვის ჩვეული სახით, ე. ი. მხურვალე ლოცვით გამოეხმაუროს ჩვენს ხალხზე დაშვებულ განსაცდელს — ჩვენთვის ყველასათვის ძვირფასი ბელადისა და სახალხო ბედნიერების ბრძენი მშენებლის ავადმყოფობას.

**ალექსი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი.**

**4 მარტი, 1953 წელი“.**

„სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს

რუსული მართლმადიდებლური ეკლესიისა და ჩემის მხრიდან გამოვხატავ ღრმა და გულწრფელ თანაგრძნობას დაუვიწყარი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის — ხალხთა ბედნიერების დიადი მშენებლის — გარდაცვალების გამო. მის გარდაცვალებას მძიმე გლოვით ხვდება ჩვენი სამშობლო, მასში მოსახლე ყველა ერი. მის გარდაცვალებას ღრმად განიცდის სრულიად რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც არასოდეს დაივიწყებს მის კეთილმოსურნე დამოკიდებულებას საეკლესიო საჭიროებებისადმი. მისი ნათელი ხსოვნა მუდმივად იცოცხლებს ჩვენს გულებში. უზომო სიყვარულის განსაკუთრებული განცდით აცილებს ჩვენი ეკლესია მას მარადისობაში.

**ალექსი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი.**

**6 მარტი 1953 წელი.**

**„იზვესტია“ 10 მარტი, 1953 წელი, №59“.**

**8 მარტს რუსული მართმადიდებელი ეკლესიის დელეგაციამ, რომელშიც შედიოდნენ კრუტიცკისა და კოლომნიცკის მიტროპოლიტი ნიკოლოზი, ირკუტსკისა და ჩიტის არქიეპისკოპოსი პალადიი, ოდესისა და ხერსონის არქიეპისკოპოსი ნიკონი, დეკანოზი ნ.ფ. კოლჩიცკი და მოსკოვის საპატრიარქოს თანამშრომელი ც. ი. ფილიპოვი, გვირგვინით შეამკო კუბო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის — იოსებ ბესარიონის ძე სტალინისა, რის შემდეგაც მიტროპოლიტი ნიკოლოზი, არქიეპისკოპოსი პალადიი, არქიეპისკოპოსი ნიკონი და დეკანოზი ნ. ფ კოლჩიცკი საპატიო ყარაულში დადგნენ კუბოსთან. იმავე დღეს გენერალსიმუსი იოსებ ბესარიონის ძე სტალინის კუბო შეამკო ანტიოქიის საპატრიარქოს წარმომადგენლობის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ვასილიმ (სამახი) გვირგვინით, რომელიც მისი უნეტარესობის, ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქ ალექსანდრეს სახელით იყო გამოგზავნილი.**

პანაშვიდი ი. ბ. სტალინის სახელზე

მიმდინარე წლის 9 მარტს, ღვთის გამოცხადების საპატრიარქო ტაძარში, მისი უწმინდესობის, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ ალექსის მიერ აღესრულა პანაშვიდი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, გენერალსიმუს ი. ბ. სტალინის სახელზე. პანაშვიდის დაწყებამდე უწმინდესმა პატრიარქმა წარმოსთქვა სიტყვა...

„მართმადიდებლური ეკლესია დღესაც ლოცულობს იოსების სულისთვის“.

80 წლის წინათ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საბჭოთა კავშირს არ მიუტაცებია პოლონური ტერიტორიები, მან დაიბრუნა კუთვნილი მიწები, რომლებიც პოლონეთმა 1920-21 წლებში ვერსალის 1919 წლის ზავის პირობების დარღვევით მიიტაცა. წითელი არმია გაჩერდა ვილნიუს-ლომჟა-ბუგის ხაზზე, რომელიც, ფაქტობრივად, ემთხვეოდა ე. წ. კერზონის ხაზს – 1919 წლიდან საერთაშორისოდ აღიარებულ პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვარს. ლიტვას დაუბრუნდა ვილნიუსი, ბელორუსიასა და უკრაინას — თავიანთი დასავლეთის ტერიტორიები.**

# ვინ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი?

## როგორ ცდილობენ ქართველი ხალხის გაბითურებას

დასასრული. დასაწყისი იხ. №33, 2019 წ.

**საბჭოთა კავშირმა ჯარები პოლონეთში შეიყვანა 1939 წლის 17 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც გერმანიის ვერმახტმა 1939 წლის 1 სექტემბრიდან ორი კვირის განმავლობაში ბრწყინვალედ ჩაატარა „ბლიცკრიგი“ და პოლონეთის ნაქები, ფრანგულ ყაიდაზე მოწყობილი მრავალრიცხოვანი არმიის წინააღმდეგობა გატეხა.**

საბჭოთა კავშირს პოლონეთისთვის ომი არ გამოუცხადებია და ამიტომ პოლონეთის არმიის ნარჩენებს ერთი ტყვიაც არ გაუსვრიათ წითელი არმიის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ „დასავლურ დემოკრატიებს“ წითელი არმიის ქმედებები იმჟამად არ შეუფასებიათ აგრესიად და არანაირი პროტესტი არ გამოუხატავთ მოსკოვისადმი.

დასასრულ, **საბჭოთა კავშირს არ მიუტაცებია პოლონური ტერიტორიები, მან დაიბრუნა კუთვნილი მიწები, რომლებიც პოლონეთმა 1920-21 წლებში ვერსალის 1919 წლის ზავის პირობების დარღვევით მიიტაცა. წითელი არმია გაჩერდა ვილნიუს-ლომჟა-ბუგის ხაზზე, რომელიც, ფაქტობრივად, ემთხვეოდა ე. წ. კერზონის ხაზს – 1919 წლიდან საერთაშორისოდ აღიარებულ პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვარს. ლიტვას დაუბრუნდა ვილნიუსი, ბელორუსიასა და უკრაინას — თავიანთი დასავლეთის ტერიტორიები.**

შეგნებულად ვეწევი დასავლელი პოლიტიკოსის, მეორე მსოფლიო ომის თანამედროვე ლოიდ ჯორჯის ციტირებას, რათა საბჭოთა პოზიციებისადმი ზედმეტ სიმპათიასა და არაობიექტურობაში არ დამდონ ბრალი. აქვე აღვნიშნავ, რომ **თავდაპირველად არც ლოიდ ჯორჯი განიხილავდა ინგლისისთვის საფრთხედ ჰიტლერს და მას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ სასარგებლო იარაღად მიიჩნევდა, მაგრამ 1938-39 წლებში მას თვალი აეხილა და ჰიტლერული საფრთხე ცხადად დაინახა. 1939 წლის 28 სექტემბერს კი დევიდ ლოიდ ჯორჯმა პოლონეთის ელჩ რაჩინსკის პოლონეთში წითელი არმიის შესვლის გამო შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა:**

„...საბჭოთა კავშირმა დაიკავა ტერიტორიები, რომლებიც არ არის პოლონეთის ნაწილი და რომლებიც ძალით იქნა პოლონეთის მიერ დაპყრობილი [პირველი] მსოფლიო ომის შემდეგ... დანაშაულებრივი სიგიჟის ტოლფასი იქნებოდა, ერთ სიბრტყეზე დაგვეყენებინა რუსების შემოსვლა გერმანელების შემოჭრასთან“.

**პასუხი კითხვაზე — არის თუ არა პოლონეთი მსხვერპლი? — დადებითია, ოღონდ იმ პირობით, რომ პოლონეთი არა გერმანია-საბჭოეთის გარიგების, არამედ თავისი სიხარბის, წინდაუხედაობის, ანტირუსული ისტერიკისა (ყველაფერთან ერთად, პოლონეთის გენშტაბის 1937 წლის ერთ-ერთ დირექტივაში წერია, რომ საბოლოო ჯამში, „ყოველგვარი რუსეთი უნდა მოისპოს“) და, ამასთანავე, „დასავლური დემოკრატიების“ მხრიდან „გადაგდების“ მსხვერპლია.** დიახ, ეს ბოლო ფაქტორიც აუცილებლად გასათვალისწინებელია. რაც პოლონეთზე თავდასხმის შემდეგ დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა გერმანიას ომი გამოუცხადეს, გერმანიის პოზიციები ევროპაში მხოლოდ გაძლიერდა. საფრანგეთმა ომის იმიტაცია მოახდინა ზაარბრიუკენთან ახლოს, როდესაც პოლონეთზე გერმანიის თავდასხმის საპასუხოდ ჯარები შეიყვანა 32 კილომეტრის მანძილზე. გერმანელებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, მოწინააღმდეგე ჯერ შეიტყუეს და შემდეგ კუდით ქვა ასროლინეს. ეს იყო და ეს, თუ არ ჩავთვლით ეპიზოდურ საზღვაო-საბრძოლო მოქმედებებს. ისმის კითხვა: **დავუშვათ, დასავლეთი პოლონეთს ტექნიკური მიზეზებით ვერ დაეხმარა (ჯარების მობილიზაციის გაჭიანურება და სხვა ფაქტორები), მაგრამ პოლონეთის დაპყრობის შემდეგ გერმანიამ ასევე „დასავლური დემოკრატიების“ მხრიდან ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე უბრძოლველად დაიპყრო დანია და თითქმის უბრძოლველად — ნორვეგია. ბუნებრივია, რომ ასეთი უმოქმედობა კითხვებს აჩენდა და ფრანგმა და ამერიკელმა ჟურნალისტებმა მეორე მსოფლიო ომის ამ ეტაპს (1939 წ. 1 სექტემბერი — 1940 წ. 10 მაისი) „უცნაური ომი“ და „ყალბი ომი“ უწოდეს.** მსოფლიოს ძვირი დაუჯდა ასეთი უმოქმედობა, როდესაც 1940 წლის მაის-ივნისში ვერმახტი საფრანგეთში შეიჭრა და იგი პოლონეთივით უმოკლეს ვადაში დაიმორჩილა, ფრანგებისთვის ბრიტანული საექსპედიციო კორპუსის დახმარების მიუხედავად. ჰიტლერმა თითქმის ზუსტად განჭვრიტა ჩემბერლენისა და დალადიეს მხდალი ბუნება, 1939 წლის 23 მაისს მან თავის გენერლებს უთხრა:

„ჩვენ მიუნხენში ვიხილეთ ეს საბრალო ჭიები — ჩემბერლენი და დალადიე. ისინი მეტისმეტად მშიშრები არიან იმისთვის, რომ შეტევაზე გადმოვიდნენ. ბლოკადაზე მეტს ვერ გაბედავენ... ერთადერთი, რაც მაშფოთებს, არის ჩემბერლენის ან სხვა რომელიმე ღორის ჩამოსვლა წინადადებით, რომ მე შევცვალო ჩემი გადაწყვეტილებები, მაგრამ მე მას კიბიდან დავაგორებ, პირადადაც რომ მომიწიოს მისთვის ფეხით მუცელში გამასპინძლება ფოტოკორესპონდენტების თვალწინ“.

ამ ფონზე ყველამ უნდა აღიაროს, რომ აღწერილი მოვლენების პერიოდში ჰიტლერს ევროპაში მხოლოდ ერთი აღმატებული მოწინააღმდეგე ჰყავდა — სტალინი, რომელიც ყველაფერს კარგად ხედავდა და ომისთვის ემზადებოდა ყველაზე რაციონალური გზით, არსებული ვითარების გათვალისწინებით.

### 3. პროპაგანდისტების ყალბი მორალიზმი.

ფაქტები თვითონ ამსხვრევენ სიცრუის კონსტრუქციებს, „რადიო თავისუფლების“, „ტაბულისა“ და სხვათა მიერ მოწოდებულთ. კაცმა რომ თქვას, ეს მათი ნააზრევი ნაკლებად არის, ასე შტამპებად იღებენ ისინი სიყალბეებს თავიანთი დამფინანსებლებისგან და ფულის სანაცვლოდ ავრცელებენ საქართველოს მოსახლეობაში. ძნელია ამ მასშტაბის დაფინანსებასთან ბრძოლა, მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვათ, მით უმეტეს, იმ ფონზე, როდესაც დასავლეთის მიერ დაქირავებული პროპაგანდისტები ყალბად მორალისტობენ.





საბჭოთა არმიის ნაწილები ფაშისტებისგან გათავისუფლებულ ვარშავაში

**მათ ისე გამოჰყავთ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დაზავება 1939 წელს, რომ თითქოს ეს იყო მეორე მსოფლიო ომის მიზეზი, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიცრუეა. დოკუმენტების საფუძველზე ვნახეთ, რომ 1939 წლის 23 აგვისტოს მოსკოვის ხელშეკრულებას წინ უსწრებდა დასავლური ბურჟუაზიული სახელმწიფოების მხრიდან ჰიტლერისთვის კარტ-ბლანშის გადაცემა აღმოსავლეთ ევროპაში სამოქმედოდ, ისევ და ისევ, საბჭოეთის წინააღმდეგ.** საბჭოთა კავშირი 1939 წლის აგვისტოში ჯერ კიდევ იაპონიასთან ლოკალური ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა მონღოლეთის ტერიტორიაზე (მდინარე ხალხინ-გოლის გამოუცხადებელი ომი), ხოლო ანტიკომუნისტური ფინეთის საზღვარი თითქმის ზედ ლენინგრადზე იყო მობჯენილი. **მაშინ, როდესაც გერმანია პოლონეთის დასაპყრობად ემზადებოდა, ჩეხოსლოვაკიის „ჩაყლაპვის“ შემდეგ, სტალინმა ყველაზე გონივრული და ბუნებრივი გადაწყვეტილება მიიღო — გერმანიასთან თავდაუსხმელობის შეთანხმებას მიაღწია და ამ გზით უძვირფასესი დრო მოიგო საბჭოთა ეკონომიკის სამხედრო ყაიდაზე გადასაყვანად, ანუ ტოტალური ომისთვის ქვეყნის მოსამზადებლად, რომელიც, მიუნხენის გარიგების შემდეგ უკვე გარდაუვალი იყო.**

მეორე მსოფლიო ომის ნამდვილი, „ცხელი“ ფაზა კი სწორედ გერმანიის მხრიდან საბჭოთა კავშირზე თავდასხმა გახლდათ 1941 წლის 22 ივნისს, ამას არ სჭირდება არანაირი „რუსული ველიკოდერჟავული იდეა“, ეს არის ფაქტი. ასევე უტყუარი ფაქტია, რომ გერმანია დაამარცხა საბჭოთა კავშირმა და სწორედ საბჭოთა დროშა აღიმართა ბერლინში, რაიხსტაგის შენობის თავზე, 1945 წლის 2 მაისს. ყველაზე ბოლოს, 1945 წლის 9 მაისს, ევროპაში პრაღა გაათავისუფლა წითელმა არმიამ, პრაღა, რომელიც ჰიტლერს ხახაში ჩაუგდეს ინგლისმა, საფრანგეთმა და ამერიკამ...

ამჯერად კომენტარის გარეშე დავტოვებთ „პოლონეთში გაჩაღებული სასაკლაოს“ თეზისს, თუმცა აღვნიშნავთ, რომ სსრ კავშირის ხელმძღვანელობას ამის არანაირი მოტივი არ გააჩნდა, განსხვავებით გერმანელებისგან, რომლებმაც სმოლენსკის ოლქის ოკუპაციისას „აღმოაჩინეს“ კიდეც მასობრივად დახვრეტილი პოლონელი ოფიცრების სამარხები კატინის ტყეში... სამაგიეროდ, ვიტყვით იმას, რაც დანამდვილებითაა ცნობილი: **ბრესტში არ ჩატარებულა ვერმახტისა და წითელი არმიის ერთობლივი სამხედრო აღლუმი, ესეც მორიგი სიცრუეა. ბრესტის ფოტოსურათებზე და ვიდეოფირებზე ჩანს, თუ როგორ მარშირებენ გერმანელი ჯარისკაცები, მაგრამ არა წითელარმიელები. გერმანელები და რუსები ერთმანეთში საუბრობენ, იღიმიან, ჩვეულებრივად იქცევიან, მაგრამ ეს ყველაფერი ერთობლივი აღლუმი არ არის. სინამდვილეში მოხდა შემდეგი: ბრესტი დაკავებული ჰქონდათ გერმანელებს, მაგრამ მოსკოვის პაქტის თანახმად, ბრესტი საბჭოთა გავლენის სფეროს ეკუთვნოდა. შესაბამისად, გერმანელებმა დატოვეს ქალაქი და იქ წითელი არმიის ნაწილები შევიდნენ. გერმანელები ქალაქიდან საზეიმო მარშით გავიდნენ, ესაა და ეს!**

როგორც ვნახეთ:

*საბჭოთა კავშირი ბოლო მომენტამდე ცდილობდა ჩეხოსლოვაკიის გადარჩენას;

*ბოლო მომენტამდე ცდილობდა პოლონეთთან თანამშრომლობას;

*ბოლო მომენტამდე ცდილობდა ბრიტანულ-ფრანგულ-პოლონურ-საბჭოთა კოალიციის შექმნას;

*სსრკ-მა ყველაზე ბოლოს გააფორმა გერმანიასთან ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ;

*„კერზონის ხაზის“ აღდგენით პოლონეთს წაართვა თვით პოლონეთის მიერ მანამდე უკანონოდ მიტაცებული მიწები.

ისიც ვნახეთ, რომ **ჰიტლერმა თავისი გავლენის გავრცელება უკვე ბალტიისპირეთზეც (ლიტვა) დაიწყო. ბალტიისპირეთის ქვეყნების ნახევრადავტორიტარული რეჟიმების მიერ მართული აგრარული ქვეყნების დამოუკიდებლობა ეფემერული გახდა. საბჭოთა კავშირს ეს რეგიონი ან გერმანიისთვის უნდა გადაელოცა, ან თვითონ უნდა შეეერთებინა, მათი ნებით თუ ნების საწინააღმდეგოდ. ამიტომ, მოსკოვის 1939 წლის პაქტით, სტალინმა ეს პრობლემაც მოაგვარა. აღსანიშნავია, რომ ბალტიისპირა რესპუბლიკებში წითელი არმიის შესვლას ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან წინააღმდეგობა არ მოჰყოლია, თუმცა ამერიკული პროპაგანდა ათწლეულების განმავლობაში „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს“ აქტიურად (და წარმატებით) იყენებდა ბალტიისპირელებში უსამართლობის განცდის შესაქმნელად. თვით სიტყვა „პაქტი“, რომელიც ლათინურიდან მომდინარეობს და სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა „ხელშეკრულებას“, რაღაცნაირი ნეგატიური ემოციით დაიმუხტა...**

თავისი სტრატეგიული გამჭრიახობით სტალინმა თითქმის გამოუვალი მდგომარეობიდან მოძებნა გამოსავალი და ინგლის-საფრანგეთის გეგმები ჩაშალა, ასევე დააშოშმინა ჰიტლერი და მაქსიმალური სარგებელი მოიპოვა სსრკ-ის უსაფრთხოებისათვის საზღვრების დასავლეთით გადაწევის გზით. მოსკოვში გაფორმებულმა პაქტმა, ხალხინ-გოლზე წითელი არმიის წარმატებასთან ერთად, გავლენა იქონია იაპონიაზე, რომელიც მალევე დაუზავდა მოსკოვს და 1941 წელსაც ველარ გაბედა საბჭოეთზე თავდასხმა, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა სტალინის მიერ მოსკოვის გასამაგრებლად ციმბირული დივიზიების გადმოსროლაში (ყველაფერთან ერთად, მოლოტოვისა და რიბენტროპის შეთანხმებამ იაპონელებს გერმანელების მიმართ გარკვეული უკმაყოფილება და უნდობლობაც გაუჩინა).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეალური პოლიტიკის პრინციპების თანახმად, სტალინის ყოველი ნაბიჯი მოცემულ ვითარებაში გამართლებული იყო და, ვინც ამას მორალის კატეგორიებს უპირისპირებს, ის ან იდიოტია, ან თვითონ არის ამორალური.

**გულბაათ რცხილაძე**



**პლანეტის 156 ქალაქში გამართული მასშტაბური პოლიტიკური აქციების ორგანიზების ოფიციალური ვერსია ძალიან მიმზიდველია, მაგრამ სრულ სურათს არ იძლევა. აღსანიშნავია, რომ მოძრაობას მხარს უჭერს აშშ-ის დემოკრატიული პარტია, რომელმაც მოსწავლე გოგონა, გრეტა ტანბერგი, მიიწვია ამერიკელი სენატორებისა და კონგრესმენებისთვის მორალის წასაკითხად. მოძრაობას, აგრეთვე, მხარს უჭერენ დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური პარტნიორები (მათ შორის, AMNESTY INTERNATIONAL-ი) და მედიამანქანა — THE NEW YORK TIMES-ით დაწყებული, BLOOMBERG-ით დამთავრებული.**

«მწვანე კურსი»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**156 ქალაქში გამართული საპროტესტო აქციები 4 მლნ მონაწილით (ზოგჯერ ქუჩებში დაპირისპირებით) ახალი საერთაშორისო მოძრაობის მხრიდან ძალის ძალიან სერიოზული დემონსტრაციაა.**

# ეკოლოგიური სიგიჟე შორს მიმავალი მიზნებით

## დასავლეთში კლიმატური სიგიჟის იდეოლოგია, სამწუხაროდ, ძალას იკრებს და სავსებით რეალურია სცენარი, რომლის მიხედვითაც ახალ ცივ ომში მკაცრ იდეოლოგიურ დაპირისპირებას აშკარად გამოხატული ეკოლოგიური ასპექტი ექნება

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ 20 სექტემბერს 100 ათასი კაცი (ძირითადად, ახალგაზრდები, ტემპერამენტიანები და არც ისე ჭკვიანები) გამოვიდა ბერლინში, 60 ათასი — ნიუ-იორკში და მიტინგებს აწყობდნენ (პარიზში პოლიციასაც კი დაუპირისპირდნენ ფიზიკურად) ყველაფრისთვის, რაც კარგია, მათ შორის გლობალური დათბობისგან დედამიწის გადასარჩენად, აგრეთვე, აპროტესტებდნენ ყველაფერს, რაც ცუდია. სინამდვილეში ისინი ნებაყოფლობით აღმოჩნდნენ პაიკებად სხვის პოლიტიკურ თამაშებში.

**თუ შესრულდება პროგრამა მიტინგებისა, რომლებმაც შეძრეს ბერლინი, ნიუ-იორკი, სიდნეი, ვაშინგტონი და ლონდონი, მაშინ რუსეთსა და ნებისმიერ სხვა ქვეყანაში უნდა აიკრძალოს ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება, ჩრდილოეთის საზღვაო გზის განვითარება და, საზოგადოდ, საკუთარი მოქალაქეების გამოკვება.**

თუ გლობალური კლიმატური გაფიცვებით აღფრთოვანებული მწვანე სიგიჟის მომხრეები აშშ-ში ან ევროკავშირში შეძლებენ ხელისუფლების სათავეში მოსვლას, მაშინ რუსეთი, ჩინეთი და ინდოეთი მაქსიმალურად მკაცრი ეკოლოგიური სანქციებისთვის უნდა მოემზადონ. პლანეტის 156 ქალაქში გამართული მასშტაბური პოლიტიკური აქციების ორგანიზების ოფიციალური ვერსია ძალიან მიმზიდველია, მაგრამ სრულ სურათს არ იძლევა. აღსანიშნავია, რომ მოძრაობას მხარს უჭერს აშშ-ის დემოკრატიული პარტია, რომელმაც მოსწავლე გოგონა, **გრეტა ტანბერგი,** მიიწვია ამერიკელი სენატორებისა და კონგრესმენებისთვის მორალის წასაკითხად,

მოძრაობას, აგრეთვე, მხარს უჭერენ დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური პარტნიორები (მათ შორის Amnesty International-ი) და მედიამანქანა — The New York Times-ით დაწყებული, Bloomberg-ით დამთავრებული.

კლიმატური გაფიცვების ორგანიზატორთა მოთხოვნების ოფიციალური სიის პირველივე პუნქტი მიუთითებს, როგორც ორგანიზატორთა პოლიტიკურ კუთვნილებაზე, ისე მათ უკიდურესად სპეციფიკურ წარმოდგენაზე ეკონომიკის მიმართ.

**„ჩვენ მოვითხოვთ „ახალ მწვანე კურსს“: გარდავქმნათ ჩვენი ეკონომიკა 100 პროცენტით სუფთა ენერგიის გამოსაყენებლად 2030 წლისთვის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნით თანდათან შევწყვიტოთ წიაღისეული სათბობის მოპოვება სამართლიანი და თანასწორუფლებიანი რეფორმებისთვის; დაუყოვნებლივ შეწყდეს წიაღისეული სათბობის მოპოვების, გადამუშავებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დაწყების შესახებ უფლების გაცემა“.**

იოლი შესამჩნევია, რომ ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესრულება სწრაფად გამოიწვევს ეკონომიკურ კატასტროფას და პლანეტის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩნდება დაახლოებით XIX საუკუნის პირველი ნახევრის ცხოვრების დონეზე. მეტიც, „ახალი მწვანე კურსის“ ხსენებაც კი სრულიად ააშკარავებს „პლანეტის გადასარჩენად მოსწავლეთა გაფიცვების“ ავტორების პოლიტიკურ იდენტობას.

„ახალი მწვანე კურსი“ (მას უფრო მიესადაგება სახელწოდება „ახალი მწვანე გარდაქმნა“) — ეს არის აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ყველაზე რადიკალური ნაწილის პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამა, რომელიც კონგრესმენ **ალექსანდრია ოკასიო-კორტესმა** შეიმუშავა და რომელსაც მხარს უჭერს პრეზიდენტობის ბევრი კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან.

ჩვენ უკვე ვწერდით არსზე („გლობალური დათბობის გლობალური აფერა“. იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №21, 2019 წ.) ამ მწვანე **პოპულიზმის მანიფესტისა, რომლის მიხედვითაც განზრახულია „ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა“ ყველასთვის, ვისაც არ შეუძლია ან არ სურს მუშაობა; უარის თქმა ნავთობზე, ბუნებრივ აირსა და ატომურ ენერგეტიკაზე (გლობალურ დათბობასთან ბრძოლის სახელით); გადასვლა მწვანე ენერგიაზე; პირადი ავტომობილებისა და ავიაფრენების (აგრეთვე, გლობალურ დათბობასთან ბრძოლის სახელით) რადიკალური შემცირება, აგრეთვე, ყველა შენობის გარემონტება ენერგოეფექტიანობის მომატების მიზნით.**

ამ ფონზე პროგრამის შემდგენელთა სურვილი ძროხების რაოდენობის შემცირების თაობაზე (პროგრამის ავტორებმა საჯაროდ გამოთქვეს სინანული, რომ „ათი წლის განმავლობაში აშშ-ში ძროხების რაოდენობის ნულამდე დაყვანა ვერ მოხერხდა“) სრულიად გასაგებია. ჩანს, პროგრამა დაიწერა იმისთვის, რომ ყველას მოეწონებინა. ეს მილიონერები კი მასობრივად აფინანსებენ სტარტაპებს, რომლებიც სინთეტიკური ბოჭკოებითა და საკვები დანამატებით დამზადებულ „ეკოლოგიურად სუფთა სტეიკებს“ ჰპირდებიან ხალხს.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ ბევრი პოლიტიკოსი მზად არის, მიიღოს და განახორციელოს თვით ყველაზე დესტრუქციული პროგრამებიც კი, რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემს, მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში და რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნონ ძალაუფლება.

**აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ყველაზე რადიკალური წარმომადგენლებისა და დასავლეთის ქვეყნებიდან მათი მწვანე თანამებრძოლების პროგრამა მხოლოდ საკუთარი ეკონომიკების დეტონაციითა და ამერიკელების, ფრანგების, გერმანელებისა და ინგლისელების ცხოვრების დონისთვის ძირის გამოთხრით რომ შემოიფარგლებოდეს, კიდევ არაფერი. პრობლემა არის ის, რომ ყველა „ეკოლოგიურ“ და „კლიმატურ“ დასავლურ დღის წესრიგს აქვს აშკარად გამოხატული რუსოფობიური მიმართულება, რომელიც უკვე ჩანს კლიმატური ცვლილებებისგან პლანეტის დაცვის საბაბით განხორციელებულ კონკრეტულ ანტირუსულ მოქმედებებში.**




**«ახალი მწვანე კურსი» (მას უფრო მიესადაგება სახელწოდება «ახალი მწვანე გარდაქმნა») — ეს არის აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ყველაზე რადიკალური ნაწილის პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამა, რომელიც კონგრესმენ ალექსანდრია ოკასიო-კორტესმა შეიმუშავა და რომელსაც მხარს უჭერს პრეზიდენტობის ბევრი კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან**



გრეტა ტანბერგი



ალექსანდრა ოკასიო-კორტესი

დასავლურ მასმედიასა და ექსპერტებს უყვართ რუსეთის დადანაშაულება, რომ ის ცდილობს, გამოიმუშაოს (!) კლიმატის გლობალურ ცვლილებებზე და კიცხავენ მას, — ეკონომიკურ და სამხედრო სარგებელს ნახულობს, როცა დასავლეთი წვალობს და იტანჯებაო.

* **„ზოგიერთ რუსს, სამწუხაროდ, მიაჩნია, რომ გლობალური დათბობა არც ისე ცუდია“,** — დაიჩივლა ავტორიტეტულმა ჟურნალმა **The Economist**-მა.

„არქტიკის ყინულის დნობის პარალელურად რუსეთისთვის ხელმისაწვდომი იქნება ნავთობისა და ბუნებრივი აირის ახალი საბადოები, რომლებიც დაფარული იყო ყინულით. ამასთანავე, რუსეთი აძლიერებს თავის პოტენციალს ხომალდებიდან ფრთოსანი რაკეტების გასაშვებად (არქტიკის იმ ნაწილიდან, რომელიც ყინულის დადნობის შემდეგ ნაოსნობისთვის გამოსადეგი იქნება), რათა დაემუქროს აშშ-ის სანაპირო ზოლს“, — პანიკაშია ამერიკული გამოცემა **Politico.**

* „კლიმატის ცვლილებით რუსეთი სოფლის მეურნეობის ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბდება, რადგან მისი ტერიტორიის უზარმაზარი ნაწილი გაყინული ტუნდრიდან ნაყოფიერ ნიადაგიან სავარგულებად გადაიქცევა. დათბობის შედეგად რუსეთი ტურისტებისთვის უფრო მიმზიდველი მიმართულება იქნება, რაც კიდევ უფრო დაეხმარება კრემლს ეკონომიკის დივერსიფიკაციაში“, — წერს ჟურნალი **National Interest**-ი, რომელსაც იტალიური **La Stampa**-დან მოჰყავს ციტატები.

დასავლეთში კლიმატური სიგიჟის იდეოლოგია, სამწუხაროდ, ძალას იკრებს და სავსებით რეალურია სცენარი, რომლის მიხედვითაც ახალ ცივ ომში მკაცრ იდეოლოგიურ დაპირისპირებას აშკარად გამოხატული ეკოლოგიური ასპექტი ექნება.

ასე რომ, **ბარიკადების ერთ მხარეს შეიძლება აღმოჩნდნენ XIX საუკუნეში დაბრუნების მომხრეები, ძროხების რაოდენობის შემცირებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შეჩერების; ნავთობის, ბუნებრივი აირის, ქვანახშირის მოპოვებისა და ატომური ენერგეტიკის აკრძალვის მხარდამჭერები; ხოლო მეორე მხარეს — „კლიმატური რეალისტები“ (რომელთა როლებსაც დღეს ყველაზე მეტად შეესაბამება რუსეთი და ჩინეთი) ბუნებრივი აირის გათბობით, ბენზინით, გემრიელი სტეიკებითა და არა ბრძოლის, არამედ ჩვენი შესანიშნავი პლანეტის კლიმატით ტკბობის სურვილით.**

Ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა

**ნიკა კორინთელმა**

მოწიე და შეგერგება!
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პირადი მოხმარებისთვის მარიხუანის ლეგალიზაციის შემდეგ კოლორადოში სამჯერ გაიზარდა პაციენტების რაოდენობა, რომლებიც საავადმყოფოებში უმძიმეს მდგომარეობაში მოათავსეს ამ „მსუბუქი“ ნარკოტიკის ხანგრძლივი მიღების შედეგად. ამაზეა ლაპარაკი კოლორადოს უნივერსიტეტის სამედიცინო კლინიკის გამოკვლევაში.**

# მარიხუანის ლეგალიზაციის შედეგები უცხოეთის პრაქტიკის ფონზე

**მარიხუანის თემა თანდათან გაქრა ჩვენი დაუცხრომელი მედიის ყურადღების ცენტრიდან; გაიცრიცა და ამოირეცხა, როგორც აქტუალობადაკარგული პრობლემა. სამაგიეროდ, ყოფით დონეზე დამკვიდრდა, ყოველდღიურობაში ფესვი გაიდგა, გაგვიშინაურდა.**

და ყოველგვარ მოულოდნელობას გადააბიჯა, როცა ერთ-ერთი უცნობილესი კლინიკის მედპერსონალის წარმომადგენელმა გოგონამ (მედდამ), რომელსაც ჩემთვის (როგორც პაციენტისთვის) დანიშნული სამედიცინო პრეპარატების მოტანა ევალებოდა, გულახდილად მითხრა: „როგორც ყველა, მეც ვეწევი მარიხუანას (!)“

აშკარად თავს იწონებდა.

ცალკეული შემთხვევა?!

გამონაკლისი?!

რა მოგახსენოთ.

რაღაც ძალიან ცუდის მიმანიშნებელი რომ არის, აშკარაა.

ახლახან ევროპაში ჩატარდა მასშტაბური გამოკვლევა, რომელშიც არაერთი სამედიცინო დაწესებულება მონაწილეობდა. შედეგები წლევანდელ 19 მარტს სამედიცინო ჟურნალმა Lancet PSY Psychiatry-მა გამოაქვეყნა.

საშიში და შემაშფოთებელი!

**მედიცინის მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებმა (ნარკოლოგებმა, ფსიქიატრებმა) დაადგინეს, რომ იმ პირთა შორის, რომლებიც მეტ-ნაკლები რეგულარულობით მოიხმარენ (ეწევიან) შედარებით მაღალკონცენტრირებული შემადგენლობის მარიხუანას, ფსიქიკური დაავადებების შემთხვევები კატასტროფულად მატულობს.**

**წარმოუდგენლად ხშირად ავადდებიან — საშუალოდ ხუთჯერ და უფრო ხშირადაც. მაგალითად, ამსტერდამში (ჰოლანდია) — 9,4-ჯერ, ლონდონში (დიდი ბრიტანეთი) — 5,16-ჯერ.**

აი, ასეთი პერსპექტივა **(თუ რამე არ შეიცვალა)** გველოდება ჩვენც, საქართველოში.

დრო დგება, რომ იმ ორ ლომს, საქართველოს გერბი რომ უჭირავს, შარავანდად დავადგათ მარიხუანის (კანაბისის) მწვანე და დაკბილული ფოთლებისგან დაწნული გვირგვინი, როგორც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გერბების უმეტესობა ხორბლის ძნით ან სხვა რომელიმე სასოფლო-სამეურნეო კულტურის სიმბოლოთი იყო დამშვენებული.

მარიხუანის რესპუბლიკა!

„გირჩის“ — კოლექტიური თესლის — ქვეყანა.

პროვინციული ხამობის ნიმუში.

უნახავთა სახელმწიფო.

არ მითხრათ, არაო...

აი, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი, რომლის მაგალითსაც ვირის პატრონის დაჟინებით ცხვირში გვტენიდნენ, მარიხუანის ლეგალიზაციას ტაშითა და საერთო სიხარულით არ შეხვედრიან.

ამერიკაშიც კი!

მიკერძოება რომ არ დაგვწამონ, თავი დავანებოთ ცინიკურ სიუჟეტს და ყოველკვირეულ „ვეჩერნი ნიუ-იორკში“ გამოქვეყნებული წერილი „მარიხუანის ლეგალიზაცია გადაიდო“ გადმოვაქართულოთ.

უმნიშვნელო შემოკლებით.

„ნიუ ჯერსის გუბერნატორ **ფილ მერფისა** და შტატის სენატში მისი მომხრეების გეგმა რეკრეაციული მიზნების განსახორციელებლად მარიხუანის ლეგალიზაციის კანონის მიღების შესახებ ჩავარდა.

...კენჭისყრის წინა დღეს ექიმების ჯგუფი ახალი ინგლისის ოთხი შტატიდან გამოვიდა მოთხოვნით, უარი ეთქვათ ამ ღონისძიებაზე, რადგან იგი, მათი აზრით, საშიშია შტატის მოსახლეობისთვის.

ბალახის მავნეობის შესახებ დაახლოებით იგივე დაასკვნეს მეცნიერებმა, რომლებმაც გამოიკვლიეს მარიხუანის ლეგალიზაციის საკითხი კოლორადოში.

**პირადი მოხმარებისთვის მარიხუანის ლეგალიზაციის შემდეგ კოლორადოში სამჯერ გაიზარდა პაციენტების რაოდენობა, რომლებიც საავადმყოფოებში უმძიმეს მდგომარეობაში მოათავსეს ამ „მსუბუქი“ ნარკოტიკის ხანგრძლივი მიღების შედეგად. ამაზეა ლაპარაკი კოლორადოს უნივერსიტეტის სამედიცინო კლინიკის გამოკვლევაში.**

**სპეციალისტებმა გააანალიზეს 2012-2016 წლების განმავლობაში 500 ათასზე მეტი ადამიანის ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები, რომელთა შორის 2500-ზე მეტს დასჭირდა სასწრაფო დახმარება მარიხუანის დოზის გადამეტების გამო. ამ სამუშაოს შედეგები გამოქვეყნებულია ამერიკული კოლეჯის ექიმებისა და შინაგანი სამედიცინო მედიცინის საზოგადოების სპეციალიზებულ ჟურნალში.**

**ავტორები აღნიშნავენ, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მარიხუანის მწეველთა რაოდენობა კოლორადოს ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში თითქმის გეომეტრიული პროგრესიით გაიზარდა. კერძოდ, თუ 2014 წელს საუნივერსიტეტო კლინიკაში მიიყვანეს 250 ადამიანი, რომელთა სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, 2016 წელს მათმა რაოდენობამ 750-ს გადაამეტა.**

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ არაპროგნოზირებული მოწამვლის შემთხვევების მასშტაბურობა დამოკიდებულია მარიხუანის სხვადასხვა ფორმით გამოყენებასა და არამკაფიო დოზირებაზე. მათი აზრით, მწარმოებლები ცდილობენ, „დამალონ აქტიური ნივთიერება TCH, რომელსაც იყენებენ საკონდიტრო ნაწარმში, კანფეტებში, საღეჭ რეზინში, ნაყინში. ამ პროდუქტებში კანაბისის კონცენტრაცია არსად არის მითითებული. არადა, მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ასეთი ტექნოლოგია არის მოწამვლის, პაციენტის შინაგანი ორგანოების ფუნქციების მოშლის მიზეზი.






ზურაბ ჯაფარიძე თავის ამპლუაში

**სპეციალისტებმა გააანალიზეს 2012-2016 წლების განმავლობაში 500 ათასზე მეტი ადამიანის ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები, რომელთა შორის 2500-ზე მეტს დასჭირდა სასწრაფო დახმარება მარიხუანის დოზის გადამეტების გამო. ამ სამუშაოს შედეგები გამოქვეყნებულია ამერიკული კოლეჯის ექიმებისა და შინაგანი სამედიცინო მედიცინის საზოგადოების სპეციალიზებულ ჟურნალში**

გამოკვლევის ავტორებმა შეგვახსენეს, რომ ზოგიერთ შტატში ფართო სამედიცინო პრაქტიკისთვის ლეგალიზებული იყო წამლები, რომლებიც შეიცავდა ტეტრაჰიდროკანაბოლს. კერძოდ, ბრუნვაში მოხვდა ჰიფოტენზირული პრეპარატები მარიხუანით, საძილე და სხვა საშუალებანი, რომლებსაც გააჩნია თერაპევტული ეფექტი, მაგრამ მოქმედებს როგორც ნარკოტიკი.

„რაც უფრო მეტია ბაზარზე მარიხუანის შემცველი წამლები, მით უფრო ხშირად ვხვდებით პაციენტებს რეანიმაციაში“, — განაცხადა გამოკვლევის ხელმძღვანელმა, მედიცინის პროფესორმა **ენდრიუ მონტემ**. „მიუხედავად იმისა, რომ საავადმყოფოებში მიყვანილთა 90 პროცენტი ძველებურად, მარიხუანის გადამეტებული დოზის მოწევით არის მოწამლული, „საკვები“ მარიხუანის ზრდა ეჭვგარეშეა და ამჟამად შემთხვევების 10 პროცენტით არის წარმოდგენილი რეანიმაციის განყოფილებებში“, — ასკვნის სპეციალისტი.

საიდუმლო არ არის, რომ საკვებ პროდუქტებში დამატებული მარიხუანის ფენომენი ბოლომდე შეუსწავლელია. „სამწუხაროდ, — ხაზგასმით ამბობს პროფესორი, — მსოფლიოში ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის დამუშავებული პროდუქტებში დამატებული ტეტრაჰიდროკანაბოლის ზემოქმედების კვლევის პრაქტიკა, მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ შეუძლებელია მისი კონცენტრაციის დადგენა და ისიც, რომ ადამიანის ორგანიზმზე ამ ნივთიერების ხანგრძლივი ზემოქმედების გათვლა პრაქტიკულად ვერ ხერხდება“.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ადამიანის ორგანიზმზე კანაბისის ზემოქმედების ვადის განსაზღვრა ფრიად მნიშვნელოვანია. მათი აზრით, სწორედ ეს იწვევს დოზის უძლიერეს გადამეტებას, რომელსაც ლეტალური შედეგი შეიძლება მოჰყვეს“.

ასე ფიქრობენ ამერიკაში, ასე აფრთხილებენ ამერიკელი ნარკოლოგები მარიხუანისტებს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, და მათ სიტყვას ფასი აქვს.

ჩვენთან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს სხვა მიდგომა აქვთ, სხვა თვალსაზრისი მეცნიერებზე, თანამოქალაქეების ჯანმრთელობის კანონით დაცვაზე, თორემ როგორ გაბედავდნენ მარიხუანის ლეგალიზაციის მხარდაჭერას?!

ის, რაც მარიხუანის ლეგალიზაციით ჯერჯერობით მივიღეთ საქართველოში, მხოლოდ ყვავილებია.

მოსავალი იქნება საშინელი, **თუ რამე არ შეიცვალა.**

**არმაზ სანებლიძე**

**P.S.** ერთხელ ვთქვი. კვლავ გავიმეორებ, გარკვეული ოპტიმიზმითაც კი, რომელიც გაგვიჩინა ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვამ, საქართველოს თავდაცვის მინისტრად მისი კანდიდატურის პარლამენტში განხილვისას რომ წარმოთქვა.

როგორც იქნა, კანონშემოქმედების ამ ტაძარში ენის მოუჩლექავად და ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაზე დაფიცების გარეშე მარიხუანიზმის ადეპტებს — „გირჩელებს“ უწოდეს ის, რაც დაიმსახურეს — ულირსი ადამიანები.

ღარიბაშვილმა შეგვახსენა ის ორი პრინციპი, რომლებზე დაყრდნობითაც ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი ქვეყანა დღემდე მოვიდა: „პირველი — ეს არის ჩვენი სარწმუნოება და, მეორე — ჩვენი ჯარი, ჩვენი უკვდავი მეომრები. ის ულირსი ადამიანები კი ამ ორ მთავარ ფუნდამენტს ურტყამენ და ანგრევენ. მცდელობა აქვთ, რა თქმა უნდა“, — თქვა და დასძინა, რომ გირჩელებივით და მარიხუანისტებივით აზროვნებს ჩვენი მოსახლეობის დაახლოებით მხოლოდ 0,1 პროცენტი.

პროვოკაციული, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული უწოდა მათ („გირჩის“) ქმედებას და დაგვაიმედა, რომ პარლამენტთან ერთად მინისტრად დამტკიცების პირველი დღიდანვე დაიწყებს მუშაობას შესაბამის კანონპროექტზე, რომელიც დაარეგულირებს ამ გაუგებრობას ერთხელ და სამუდამოდ.

იქნებ, რამე შეიცვალოს...

**ა.ს.**

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნეოლიბერალური ზნეობა



## 9 წლის ბიჭის ტრანსვესტიტად დებიუტი

**„ერთხელ იგი მოვიდა და მითხრა: „დედა, რაღაც მაქვს სათქმელი, მაგრამ არ ვიცი, გეწყინება თუ არა“. დავარწმუნე, რომ მას ჩემთვის აბსოლუტურად ყველაფრის თქმა შეეძლო. მინდოდა, გულწრფელად ესაუბრა. შემდეგ მითხრა, რომ ფიქრობს, გეი გახდეს.**



ჩვენ შვილებთან ყოველთვის გულწრფელი ვიყავით. **ვინტმა** იცოდა, რომ არსებობდა ლგბტ თემი და ისიც, რას ნიშნავს, იყო ამ საზოგადოების წევრი... მე ვუთხარი, რომ იგი უსაზღვროდ მიყვარს და მხარს დავუჭერ, რაც გინდა მოხდეს“, — განაცხადა ლოსანჯელესის მცხოვრებმა ქალბატონმა — ვინსენტის დედამ, რომელიც აღფრთოვანებული იყო პოპულარული კონკურსით Rupaul's DragRace. ელისაბედს, ამ 9 წლის შვილის გარდა, კიდევ ორი ვაჟი ჰყავს — ქსავიე (7 წლის) და აბრაამი (5 წლის). აპირებენ თუ არა ისინიც, თავიანთი ძმის გზას გაუყვნენ, მედია არ იუწყება.



„ყოველთვის, როცა ადამიანები ცუდად იქცევიან, იგი ყოველთვის მშვიდად იცავს თავს, მოწინააღმდეგის მიმართ კი ყოველთვის პატივისცემით არის განწყობილი“, — აცხადებს დედა, რომელსაც, როგორც ჩანს, დიდად არ აწუხებს თავისი შვილის მომავალი.

## ადამიანის ხორცის ჭამა ნორმად უნდა იქცეს

**სტოკჰოლმის ეკონომიკის სკოლის პროფესორმა მანგუს სოდერლუნდმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს ადამიანის ხორცის გამოყენებას ჩვენს რაციონში, — იუწყება New York Post და იმოწმებს მეცნიერის გამოსვლას შვედეთის დედაქალაქში გამართულ სიმპოზიუმზე.**



გასტრონომიის საკითხებზე გამართულ ამ სიმპოზიუმზე მან, სრულ გონებაზე მყოფმ,ა განაცხადა, რომ ადამიანის გვამის ხორცის გამოყენებით შევძლებთ კაცობრიობის გადარჩენას, თუ მსოფლიო საზოგადოება მხარს დაუჭერს ამ იდეას.

სოდერლუნდის არგუმენტი, რომელიც მან კანიბალიზმის სასარგებლოდ წამოაყენა, იყო დისკუსიის მთავარი საკითხი: „შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ შეჭამთ ადამიანის ხორცს?“ მისი აზრით, კანიბალიზმის წინააღმდეგ „კონსერვატიული ტაბუ დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს, თუ ადამიანები ამ ახალ კერძს გასინჯავენ.

ამ ღონისძიებაზე იმსჯელეს თემაზე — გადაწყვეტდა თუ არა კანიბალიზმი პროდუქტების სტაბილურობის პრობლემას მომავალში.

ჟურნალისტების შეკითხვას, მზად არის თუ არა იგი პირადად გასინჯოს ადამიანის ხორცი, სოდერლუნდმა უპასუხა, რომ იგი ამ იდეისთვის მზად არის, თუმცა ყოყმანობს, „მაგრამ ბოლომდე კონსერვატორს არ ვგავარ... მზად ვარ, გავსინჯო“.

ამასთანავე, მეცნიერმა ალტერნატივის სახით წარმოადგინა შინაური ცხოველების (ძაღლი, კატა და ა.შ.,) ხორცით, მწერებით ჩვენი ყოველდღიური რაციონის გამდიდრება.

**პრესა აღნიშნავს, რომ პროფესორის იდეის დანერგვა ადამიანის ჯანმრთელობაზე უკიდურესად უარყოფითად იმოქმედებს. მაგალითად, 1960-იან წლებამდე პაპუა-ახალი გვინეის აბორიგენები ჭამდნენ თავიანთი მიცვალებულების ხორცს. ამ პრაქტიკამ დაავადება კურუმდე მიიყვანა ის საწყლები. აღნიშნული ეპიდემია ცნობილია „მოცინარი სიკვდილის“ სახელითაც.**

აშშ-ის ეროვნული სამედიცინო ბიბლიოთეკის მონაცემებით, დაავადებას იწვევს ინფექციური აგენტი-ცილა, რომელიც აღმოჩენილია ადამიანის თავის ტვინის დაზიანებულ ქსოვილში.



### ჟურნალისტების შეკითხვას, მზად არის თუ არა იგი პირადად გასინჯოს ადამიანის ხორცი, სოდერლუნდმა უპასუხა, რომ იგი ამ იდეისთვის მზად არის, თუმცა ყოყმანობს, «მაგრამ ბოლომდე კონსერვატორს არ ვგავარ... მზად ვარ, გავსინჯო»

## ტაქსისტმა გააუპატიურა მძინარე მგზავრი და მას ქიმწმენდის საფასურის გადახდაც მოსთხოვა

**დაცვის მხარე იმაზე დგას, რომ სექსი ორმხრივი თანხმობით მოხდა, მაგრამ სასამართლომ მტკიცებულებანი არასაკმარისად მიიჩნია.**



ფილადელფიაში „ტაქსის“ მძღოლმა გააუპატიურა მგზავრი ქალი, რომელსაც ეძინა, — იუწყება NBC.

ქალიშვილი„ ტაქსიში“ კაზინოს მახლობლად ჩაჯდა. მძღოლმა გადაწყვიტა, მისამართზე შორი გზით მისულიყო. გზის გავლას საათზე მეტი დასჭირდა, მაშინ, როცა ადგილზე მისასვლელად 15 წუთიც საკმარისი იყო. ქალიშვილს ჩაეძინა და „ტაქსის“ მძღოლმა იგი გააუპატიურა.

მოგვიანებით კი 150 დოლარი მოსთხოვა ქიმწმენდისთვის, რადგან მგზავრს მანქანაში აღებინა. დილით ქალიშვილმა აღმოაჩინა, რომ სხეული ჩალურჯებული ჰქონდა და მიმართა საავადმყოფოს. მას დაუდასტურეს, რომ გაუპატიურებული იყო.

დაცვა ამტკიცებდა, რომ სექსი ორმხრივი თანხმობით განხორციელდა, მაგრამ მოსამართლემ არგუმენტები დამაჯერებლად არ ცნო. 27 წლის ეგვიპტელ მიგრანტს ციხე და სამშობლოში დეპორტაცია ემუქრება.

## ხუთი ფრანგი ტურისტი ნორვეგიელი ქალიშვილის ჯგუფური გაუპატიურებისთვის დააკავეს

**მოძალადეები 18-19 წლისანი არიან. ბენიდორმში (ესპანეთი) დააპატიმრეს ხუთი ფრანგი ტურისტი. პოლიციას ეჭვი აქვს, რომ მათ ჯგუფურად გააუპატიურეს 20 წლის ნორვეგიელი გოგონა, — იუწყება Daily Mail.**

ვარაუდობენ, რომ გაუპატიურების აქტი განხორციელდა დასასვენებელ სახლში, რომელშიც ფრანგები იყვნენ განთავსებულნი.

ყმაწვილები, ისევე, როგორც მათი მსხვერპლი, შინ უნდა გაფრენილიყვნენ, მაგრამ მათი რეისის განხორციელება გაურკვეველი დროით გადაიდო. დაზარალებულმა ქალიშვილმა განაცხადა, რომ მან და მისმა მეგობარმა ფრანგი ტურისტები სოცქსელებით გაიცნეს. გაიმართა ინტენსიური მიმოწერა, რომლის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთს შეხვედროდნენ ბენდორმში (ესპანეთი). გასეირნების შემდეგ ბიჭებმა გოგონები მიიწვიეს იმ დასასვენებელი სახლის მიერ მოწყობილ ღონისძიებაზე. კარგად იმხიარულეს. ამ ხალისიან გარემოს რაღაც გარკვეული მიზეზით მეგობარ გოგონათაგან ერთ-ერთი გამოეყო და თავისი საქმის გასაკეთებლად წავიდა.

თითქოს ამას ელოდნენო და ნორვეგიელი ტურისტები იქ



დარჩენილს მივარდნენ.

ადგილობრივმა ექიმებმა დაადასტურეს ჯგუფური გაუპატიურების ფაქტი. რამდენიმე საათში გამაუპატიურებლები დააპატიმრეს.

ხუთივე ტურისტი უარყოფს გაუპატიურების ფაქტს.

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხალხს რა ამზადებს? სწავლა, ვარჯიშობა, გამოცდილება, იმ საქმეში ჩაყენება, რისთვისაც მომზადება საჭიროა. კაცს ხელ-ფეხს უკრავთ, და ვეუბნებით-კი, ჭიდილი ისწავლეო; ხალხს მოსამართლის ამორჩევის ნებას არ ვაძლევთ და ვეუბნებით-კი, ისწავლე კაი მოსამართლეების ამორჩევაო. ეს იმასა ჰგავს: ცურვა ისწავლე და წყალში-კი ნუ შეხვალო; გზა გაიარეო და შინიდამ ფეხს-კი ნუ გასდგამო. ამ სასწაულმოქმედებას ხალხი ვერ იზამს, თუნდაც იმისთანა კეტითა სცემოთ თავში, რომელსაც, ჩვენდა საუბედუროდ, „ადგილობრივს ვითარებას“ ეგრე წინდაუხედავად ეძახიან“.**

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება გლეხებისადმი, მათი დაცვა და მხარდაჭერა როგორც სიტყვით, ისე საქმით ფართოდ არის ასახული მის პუბლიცისტიკასა თუ ლიტერატურულ ნაწარმოებებში. ამჯერად მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ იმ სიტყვის მოკლე ჩანაწერზე, რომელიც 1905 წელს ილია ჭავჭავაძემ თავადაზნაურობის კერძო თათბირზე წარმოთქვა, რამეთუ მიწის თაობაზე წამოჭრილი საუკუნისწინანდელი პრობლემები დღესაც აქტუალურია. „სახელმწიფოს ბევრი ადგილ-მამული აქვს, რომელიც მთავრობამ ჩვენს ქართველ გლეხს წაართვა, სხვა ტომის ხალხს მისცა და ზედ დაასახლა. ქართველ გლეხისათვის მიწა არ არის, ხოლო ნემეცისთვის, ფრანგისთვის, რუსისთვის და სომხისთვის ბევრია“, — ამბობს ილია.

ნაცნობი სურათია — დღესაც ჯერ მიჰყიდეს მიწა უცხოელებს და მხოლოდ შემდეგ აკრძალეს კონსტიტუციით მიწის გაყიდვა.

რა სჯობს — გაყიდვა თუ აკრძალვა? ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: არიან ადამიანები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მიწის გაყიდვაზე შეზღუდვა საერთოდ არ უნდა იყოს; ზოგი თვლის, რომ მიწის უცხოელებისთვის მიყიდვა ნებისმიერი ფორმით უნდა აიკრძალოს; არიან ისეთებიც, რომელთა აზრით, საკითხის დარეგულირება უკიდურესობების გარეშეც შეიძლება...

ილიას კი მთავრობის დიდ შეცდომად მიაჩნდა მიწების უცხოელებისთვის მიყიდვა. მისი აზრით, ქართველის მიწა ქართველის უნდა იყოს, ქვეყნის სიმდიდრის შემქმნელი, გვირისტით ნაკერი ქართველი გლეხკაცისა, რომელიც ისეა მიჯაჭვულია მასზე, რომ არაფრის გამო არ დატოვებს.

მაგრამ XX საუკუნის მიწურულს სულ სხვა სურათი მივიღეთ — უყურადღებოდ მიგდებული სოფლები დაცარიელდა, გლეხმა მიწაზე გული აიცრუა და ლუკმაპურის საშოვნელად ზოგი სად გადაიხვეწა და ზოგი სად, სანაცვლოდ ჩვენს მიწაზე უცხოელები გამარჯვდნენ, ჭილყვავივით შეესივნენ ჩვენს ველ-მინდვრებს, მოსავალიც მოიწიეს და „აგვიხილეს თვალი“...

შედეგად ხელისუფლებამ სოფელს დახმარების ხელი გაუწვდინა. გაჩნდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამები, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია სოფლის მეურნეობის ფეხზე დასაყენებლად. თავის დროზე ილია ამბობდა მთავრობის მისამართით: „ის მზრუნველობა გაუწიონ გლეხებს, რასაც უცხოელებს უწევენ, როცა ქართველის სისხლით მორწყულ მიწებს ურიგებენ“, და საქმეც აეწყობაო, რადგან „უბრალო გლეხობა — ეს უმრავლესობა ქართველობისა“, რომელსაც საკმარისი წინდახედულობაც და ყაირათიანობაც ახასიათებს, სული და გულია ჩვენი ეროვნული იმედებისაო. გავიხსენოთ ოთარაანთ ქვრივის ხუთი ქისა:

„გაჰყიდდა ღვინოსა და მომეტებულს პურს თუ არა, ფულს ხუთს ნაწილად ჰყოფდა და ხუთრიგად ინახავდა. ამისთვის ნაჭრებისაგან ჭრელი ქისები ჰქონდა, ჩანთასავით შეკერილები. ერთს ამისთანა ქისას „საჭირნახულოს“ ეძახდა და შინ ინახავდა სახარჯოს პურისა და ქერების სამკალად, მოსაზიდად და სალეწად. მეორე ქისას „ბარაქალა ქისას“ ეძახდა. ამაში ინახავდა სახარჯოს ვენახის სამუშაოსათვის. მესამე ქისას „საჯანაბო“ ერქვა. ამაში ინახავდა ფოსტის ფულსა და საბეგროსას, თუ ვინიცობაა სოფელი ოდესმე შეაწერდა. მეოთხე ქისაში ინახავდა მოჯამაგირის საჯამაგირო ფულსა. ამ ქისას ეძახდა: „მიეცი და მოგეცესო“. მეხუთე ქისაში ჰქონდა საშინაოდ სახარჯო და ღარიბთა გასაკითხი ფული. ამ მეხუთე ქისას ოთარაანთ ქვრივი ხან „ფარსიღას ქარვასლას“ ეძახდა, ხან „შიოს მარანსა“. დღევანდელ სოფელში არიან კი ისეთი გლეხკაცები, რომელთათვისაც მიწა დედაა და რომლებიც ილიას გმირებივით იტყვიან: „ის გვაწოვებს ჩვენ ძუძუსა, იმას დავხარით დღედაღამ, ჩვენი ჭირიც და ლხინიც ის არისო“? სად არის ის გლეხი, რომელიც, „როცა დედამიწას მწვანე ხავერდისავით ჯეჯილის ყდა გადაეკვრება“, იმაზედ, რომ კითხულობს თავის ბედსა?

საკითხავი სწორედ ეს არის და კიდევ ის, ქვეყანა როდის გაიმართება წელში. როდის? ამაზე ილია, ალბათ, გვეტყოდა: როცა ყველა თავის საქმეს კეთილსინდისიერად გააკეთებსო. მაგრამ ეს ოგორ გამოგვივა, როცა „კაცს ხელ-ფეხს უკრავთ, და ვეუბნებით-კი, ჭიდილი ისწავლეო; ხალხს მოსამართლის ამორჩევის ნებას არ ვაძლევთ და ვეუბნებით-კი, ისწავლე კაი მოსამართლეების ამორჩევაო. ეს იმასა ჰგავს: ცურვა ისწავლე და წყალში-კი ნუ შეხვალო; გზა გაიარეო და შინიდამ ფეხს-კი ნუ გასდგამო. ამ სასწაულმოქმედებას ხალხი ვერ იზამს, თუნდაც იმისთანა კეტითა სცემოთ თავში, რომელსაც, ჩვენდა საუბედუროდ, „ადგილობრივს ვითარებას“ ეგრე წინდაუხედავად ეძახიან“.

# უბრალო გლეხობა — სული და გული ჩვენი ეროვნული იმედებისა


ინდოელები ქართულ სოფლებში

**ილიას მთავრობის დიდ შეცდომად მიაჩნდა მიწების უცხოელებისთვის მიყიდვა. მისი აზრით, ქართველის მიწა ქართველის უნდა იყოს, ქვეყნის სიმდიდრის შემქმნელი, გვირისტით ნაკერი ქართველი გლეხკაცისა, რომელიც ისე მიჯაჭვულია მასზე, რომ არაფრის გამო არ დატოვებს**

### ილია ჭავჭავაძის სიტყვის მოკლე ჩანაწერი თავად-აზნაურობის კერძო თათბირზე

**6 მარტი, 1905 წ.**

„თავ. ი. გ. ჭავჭავაძეც ამტკიცებს, რომ მიზეზი გლეხკაცთა მოძრაობისა სულ სხვა გარემოებაში უნდა ვეძიოთო, და მოჰყავს რამდენიმე მაგალითი იმ უსამართლობისა, რომელიც მთავრობამ ჩაიდინა.

„სახელმწიფოს ბევრი ადგილ-მამული აქვს, რომელიც მთავრობამ ჩვენს ქართველ გლეხს წაართვა, სხვა ტომის ხალხს მისცა და ზედ დაასახლაო. ქართველ გლეხისათვის მიწა არ არის, ხოლო ნემეცისთვის, ფრანგისთვის, რუსისთვის და სომხისთვის ბევრია. ბარიათინსკის დროს ჩვენ გვითხრეს, გლეხები გაანთავისუფლეთ, ადგილ-მამული მიეცით და ჩვენ ორი მილიონი დესეტინა გვაქვს და იმას მოგცემთო. ჩვენ მაშინ ჭკუა არა გვქონდა და ამაზედ არ დავთანხმდით. ეს იყო ჩვენი დიდი შეცდომა და ეხლა უნდა გავასწოროთ. **ჩვენ უნდა მოვითხოვოთ მთავრობისაგან ეს ადგილები. ჩვენ ვიცით, რომ გლეხკაცი ვერსად ვერ წავა, როგორც რუსი და სხვა ტომის ხალხი სჩადის. ის მიჯაჭულია იმ მიწაზე, რომელიც მისი სისხლით არის მორწყული და ეს სისხლით მორწყული ადგილები ქართველ გლეხს უნდა მიეცეს და არა გადმოსახლებულებსაო.**

ჩვენს გლეხს ადგილი არა აქვს, რომ თონე ჩააგდოს, იმის გვერდით კი გაშენდა გოლიცინი, სვეჩინი, ვარანცოვი და სხვა მრავალი სოფელი. სახელმწიფოს აქვს დიდი ადგილები შავი ზღვის ნაპირებზე, სადაც სხვა ტომის ხალხს ასახლებენ. თუ ვინიცობაა ჩვენი გლეხკაცი იქ არ წავა, მოგვცენ ჩვენ, თავად-აზნაურობას, ეს ადგილები, და აქ რაცა რამა გვაქვს გლეხკაცს მივცემთ, ჩვენ კი იქ წავალთო. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ეს, უნდა ავუხსნათ მთავრობას, რომ, თუ არ ამ გზით, გლეხკაცის მოძრაობას ვერც ძალა, ვერც მემამულეების მხრივ ყოველნაირი დათმობა, ვერაფერი ვერ შეაჩერებსო“.

„ბატონებო, — სთქვა ბოლოს ი. ჭავჭავაძემ, — **ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლიან თამამად მოვითხოვოთ უბრალო, ბუნებრივი რამე, რომ ქართველის მიწა ქართველისთვის იყოს**, ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლია მოვითხოვოთ, რომ კანონები, რომელიც ეხლა პეტერბურგში იწერება, აქვე ადგილობრივ იწერებოდეს, რადგან, რაც რუსისთვის სასარგებლოა, ის შეიძლება ქართველისთვის მავნე იყოს“.

### წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გუშინდელს „ივერიაში“(? 20) დაბეჭდილია ვითომდა ჩემი ნალაპარაკევი თავად-აზნაურთა კერძო თათბირზე და, სწორედ მოგახსენოთ, ჩემი ნათქვამი მე ძლივს ვიცანი. ბევრს სხვას რომ არას გამოვუდგე, საკმაოდ ვრაცხ მარტო ორი მაგალითი მოვიყვანო, რომელთა შორის ერთი ისეა გადმოცემული, რომ მისი გამგონი ან გიჟებში ჩამთვლის, ან მტკნარ სულელობაში ჩამომართმევს. აი ეს მაგალითი; თქვენი გაზეთი იუწყება, ვითომც მე მეთქვას: „სახელმწიფოს აქვს დიდი ადგილები შავი ზღვის პირას...“ „თუ ვინიცობაა ჩვენი გლეხი იქ არ წავა, მოგვცენ ჩვენ, თავადაზნაურობას, ეს ადგილები და აქ რაცა გვაქვს გლეხკაც მივცემთ, ჩვენ კი იქ წავალთო“ (?!)

ღმერთი-რჯული, — ჯერ ჭკუიდამ არ შემცდარვარ, რომ ეგ პრტყელი და ყოვლად უმსგავსო სულელობა გამომეთქვა. მე ეგ კი არა ვთქვი, მე ეს მოვახსენე კრებას: მოგვცენ ქართველებს ჩვენგან წართმეული ჩვენი მიწა-წყალი, რომელიც ეხლა ხაზინასა აქვს დაჩემებული და რომელსაც ყველას ურიგებს, ქართველს გარდა, და მაშინ იქნება ზოგმა ჩვენგანმა დაუთმოს გლეხკაცს თავისი ადგილებიდამ ზოგი რამ იმ პირობით, რომ სამაგიერო მიიღო ხაზინის მამულებში; ისიც შესაძლოა, იმისთანა გლეხკაცნიც გამოჩდნენ, რომ თვით მოინდომონ ჩვენის ქვეყნის სახაზინო მამულებში გადასახლება და დაბინავება, ოღონდ-კი საკმაო მიწა-წყალი აუჩინონ და ის მზრუნველობა გაუწიონ, რასაც უცხოელებს უწევენ, როცა ქართველის სისხლით მორწყულ მიწებს ურიგებენ. აი ჩემი აზრი.

თქვენც თვითონ, ბატონო რედაქტორო, მიხვდებოდით, რომ ეს ჩემი აზრი, და თქვენის გაზეთის მიერ გადმოცემული, ერთი და იგივე არ არის და „შუა უზის დიდი ზღვარი“.

აი მეორე მაგალითიც, საცა ჩემი ნათქვამი აზრი თუმცა უმსგავსოდ გადასხვაფერებული არ არის ზემოხსენებულისამებრ, მაგრამ ისე შეკვეცილია და ბოლომოგლეჯილი, რომ თავისი ფერი აღარ შერჩენია. თქვენი გაზეთი იუწყება, — ვითომც მე ბოლოს მეთქვას: „ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლიან მოვითხოვოთ, რომ კანონები, რომელიც ეხლა პეტერბურგში იწერება (რა თქმა უნდა ჩვენი ქვეყნისთვის), აქვე ადგილობრივ იწერებოდესო“.

სასურველია, რასაკვირველია, რომ ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე, ჩვენში, იწერებოდეს, მაგრამ მარტო ამით არა გვეშველება-რა. მე ვთქვი და კიდევ ყველგან ვიტყვი: **„ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს ჩვენის ქვეყნის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა კრებულისაგან“.** აი ეს ხაზგასმული სიტყვები დაუმატეთ და ჩემი აზრი სავსებით გამოთქმული იქნება.

გთხოვთ, ბატონო რედაქტორო, ჩემი ეს წერილი დაბეჭდოთ და ნება მიბოძოთ, გაგიბედოთ და ერთი სარჩიელი მოგახსენოთ. დღეს ისეთი დღეა, რომ თვითეულს სიტყვას დიდის სიფრთხილით უნდა მოვექცეთ, და ვიდრე სხვისა თქმულს ბეჭდვით საჯაროდ განვიმეორებდეთ, ავწონდავწონოთ, რა თქმულა და როგორ თქმულა. დღეს ისეთი დროა, რომ **თვითეული ჩვენგანი უნდა განკითხულ იყოს და პასუხის მგებელი ჩვენი ქვეყნის წინაშე თავისის სიტყვისა და საქმისაებრ და არა იმისებრ, რასაც სხვანი ან დაუდევრობით, ან წინდაუხედაობით თავზე მოახვევენ.**

**9 მარტი, 1905 წ.**

**ილია ჭავჭავაძე**

### „ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენიო“

„ჩვენ გლეხკაცებს გვეძახიან, დღედაღამ ოფლი უნდა ვიწუროთ და პური ისე ვჭამოთ. ღმერთს ეგრე უბრძანებია: „ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენიო“. ეს ღვთის ბრძანება მარტო ჩვენ დაგვაწვა კისერზედ და ვეწევით კიდეც. წიგნი რა ჩვენი საქმეა? ის ჩვენ დამშეულ კუჭს ვერ გაგვიძღობს. ჩვენი წიგნი დედამიწაა, ვენაცვალე იმის მადლს! როცა დედამიწას მწვანე ხავერდისავით ჯეჯილის ყდა გადაეკვრება, მაშინ იმაზედა ვკითხულობთ ჩვენს ბედსაცა. ჩვენი კალამი დაუღალავი გუთანია, მელანი კიდევ გულ-ღვიძლიდამ გამოწურული ჩვენი ოფლია. ამოვაწებთ ოფლში გუთანსა, გადვუხსნით ხოლმე დედამიწას მადლიან გულსა, ჩავაყრით შიგ თესლსა, როცა დრო მოვა, მივალთ და ისე დალოცვილი მიწა თავის დღეში არ დაიღლება, ისე არ გაძუნწდება, რომ მიბარებულები ერთიორად მაინც არ დაგვიბრუნოს. ტყუილად კი არ ეძახიან მიწას „დედაო“, ის გვაწოვებს ჩვენ ძუძუსა, იმას დავხარით დღედაღამ, ჩვენი ჭირიც და ლხინიც ის არის“ *(„გლახის ნაამბობი“. 1859, 1862-1873 წწ.).*

„გლეხკაცი ღარიბობით არ დაიწუნება. ქვეყანა ღონიერია, მარტო ერთი მკლავის გაქნევა უნდა, თავს ყველა დაირჩენს“ *(„გლახის ნაამბობი“. 1859, 1862-1873 წწ.).*

### ისინი იმ გვირისტით არიან შეკერილნი, რომელიც მარტო ბუნებამ იცის

„შენ ის ცოცხალი ნახევარი გავიწყდება, რომელიც შერჩენილი გვაქვს. გან- ▶

# „ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს ჩვენის ქვეყნის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა კრებულისაგან“.

საკითხავი აი ეს არის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ სხვავება აქ არის. ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი — შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება, ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ — დონდლონი, დუნენი. აბა იმათს სიმღერას უყურე: ერთი გძელი კვნესაა და მაინც სიმღერას ეძახიან. ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია. გახსოვს, რა გვითხრა პაატამ, როცა ჩვენთან ქალაქში ჩამოვიდა იმ საშინელს თოვლჭყაპში სამის მანეთის სათხოვნელად და მე გავეხუმრე:

— ბიჭო, სამის მანეთისათვის ამ სიშორედ როგორ წამოხვედი-მეთქი ამ ვაი-ვაგლახში! — „ი, ბატონო, თქვენ რა იცით, ხურმა რა ხილიაო, — მითხრა უზრდელობით და არა წყენისათვის: — აქედამ რომ მივალ, ნაჯაფევი, გზისაგან გალახული, თოვლჭყაპისაგან გაწუწულ-გალაფული და ჩემს დაძონძებულ საბანში ცახცახით გავეხვევი და მივეგდები, რა ტკბილად დამეძინებაო, თქვენ ისე თავის დღეში ვერ დაიძინებთო“. იმათთვის ძილი მართალი მოსვენებაა, მართალი აღდგენაა დახარჯულის ღონისა, ჩვენთვის კი ნებივრობაა, ღონის გასიებაა, დამძიმებაა, წყალმანკია, იმიტომ რომ ჩვენი ღვიძილიც ძილია. იმათი ცოცხალი ნახევარი, ავად თუ კარგად, მაინც ჰსაქმობს, და ჩვენი კი უქმია. საქმეა სიცოცხლე... ეს არის იმათი კარგი და ამითი გვჯობნიან...“ *(„ოთარაანთ ქვრივი“. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

„ადამიანს ადამიანობა უნდა ემჩნეოდეს. აქ არის თავი და ბოლო ქება-დიდებისა.

— მაგით რა უნდა სთქვა?

— **ის, რომ ადამიანობით ისინი ჩვენზედ უარესნი არიან. გლეხკაცისთანა ხარბს, გლეხკაცისთანა გაუტანელს, გლეხკაცისთანა შეუბრალებელს და უმადურს ძნელად თუ ჰნახავ სადმე, მაშინაც კი, როცა თავის მოძმე გლეხს ვიწროში მოატანს: დაარჩობს, მიწასთან გაასწორებს.** სხვას ვილა ჩივის...

— მჯერა, თითო-ოროლა ეგეები მეც ჩემის თვალით მინახავს, ჩემის ყურით

გამიგონია. მაგრამ ცხოვრება მაინც იმათშია: იქა ჰდუღს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თვითონ სიცოცხლის ძარღვიცა. რაც სთქვი, ეგ ჭუჭყია, ქაფია მდუღარე ცხოვრებისა, თავზედ მოგდებული, ძირში კი წმინდაა. მაშ რა სწნავს იმისთანა კაცურ კაცს, როგორიც გიორგი იყო, ან იმისთანა დედაკაცს, როგორიც ოთარაანთ ქვრივია? **მაგისთანა პური მარტო იმათს თონეში-ღა ჰცხვება, ჩვენი თორნე კი მარტო ჩვენისთანა კუტ პურს აცხობს. დღესაც ვერ გამომირკვევია, რა მოგვეჩვენა გიორგის სახით?.. ჩვენ ხედვად და სმენადაც უღონონი ვართ და იქ კი... იქ კი რამოდენა ღონე ყოფილა შექმნისა“** *(„ოთარაანთ ქვრივი“. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

„ერთი ამათგანი იყო კარგა ხნიერი, დარბაისელი გლეხკაცი, რომელიც პირველ დანახვაშივე მიგიზიდამთ, გაგიკადნიერდებათ, მაგრამ არც ერთის უზრდელ სიტყვით თუ ქცევით არ გადავა ზრდილობის წრესა. ამისთანა გლეხკაცნი მრავალნი არიან ჩვენ დაბალ ხალხში“ *(„კოლა“. 1858 წ.).*

„ნუ გეგონოთ, რომ მას ჰშურდეს ვისი რამე, ვისი რასმე სიხარბით შეჰნატროდეს, ვისი რამე უნდოდეს, სხვისაზე რაზედმე ხელი ეტანებოდეს, გული უთქმიდეს. არა; ყოველს ამაზედ იგი მაღლა სდგას, ამაში სჟღერს დიდი სიმი ეროვნებისა და **აქა სცემს უბოროტო ძარღვი ჩვენის ერის უბოროტო გულისა**“ *(„იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო“. 1887 წ.).*

„შვილი მტრულად გაზარდეო, რომ მოყვრულად გამოგადგესო“, ნათქვამია გლეხთაგან. როგორც მტერშია დაუნდობელად შენიშნავ ნაკლულოვანებასა და მკაცრადა სდევ, ისე შვილშიაც უნდაო, რომ მოყვრულად გამოგვადგესო, ამბობს ხოლმე **ჩვენი გლეხკაცის გაუნათლებელი ჭკვა, რომელიც უკეთესია ბევრ ცრუ სხივით განათლებულ და ეპოლეტებიან ჭკვაზედა**. სჩანს, რომ შეიძლება კაცს უყვარდეს კაცი და მტერსავით კი მოეკიდოს, როცა მასში სიცუდეს შენიშნავს“ *(„ცისკარი“ 1857 წლიდან 1862 წლამდინა“. 1862 წ.).*

### „რასაც გლეხი იმეტებს მამულის სასყიდელად, იმოდენას თავის-დღეში სხვა კაცი ვერ გაიმეტებს“

„რომ ჩვენი გლეხის მიდრეკილება მამულის სყიდვასადმი ძლიერი და დაუძინებელია, — ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ სამს თვალსაჩინოს, უცილოს მაგალითსა:

1. ჩვენებური გლეხი, რაკი მამულის სასყიდლად გაიწევს, მას არა ფასი არ აშინებს, უკან არ დაახევინებს. და მის გამო, რასაც გლეხი იმეტებს მამულის სასყიდელად, იმოდენას თავის-დღეში სხვა კაცი ვერ გაიმეტებს. ფასის აღმატებაში გლეხს სხვა კაცი წინ ვერ წაუვა და ვერ შეეცილება. ეს ყველასაგან ცნობილია. ჩვენ იმისთანა მაგალითიც ვიცით, რომ ასს საჟენს სოფლის ცარიელს მიწაში გლეხს ოცი თუმანი მიეცეს. ვსთქვათ, რომ ეს მხოლოობითი შემთხვევაა, მაგრამ მაინც ყველამ იცის, რომ ჩვენებური გლეხი, რაკი ღონისძიებას ხელთ იგდებს, გიჟურის ფასის მძლეველია. ცხადია, რომ ესე გულუხვად ფასის გამომეტება განსაკუთრებით გლეხის მიდრეკილებისაგან არის წარმომდგარი, და აქ სხვა რაიმე ეკონომიური მოსაზრება და ანგარიში არ მოქმედობს.

2. აუარებელი ნასყიდობის ქაღალდები წარმოადგინა ჩვენმა ნაყმევ გლეხობამა საგლეხო სასამართლოში დასამტკიცებლად იმ მამულების თაობაზედ, რომელნიც ჯერ კიდევ ბატონ-ყმობის გადავარდნის უწინ ეყიდნათ; ესე იგი მაშინ, როცა გლეხების საკუთარი და ამგვარად შეძენილი მამულიც ბატონის ნებაზედ იყო მინებებული და ბატონის საკუთრებად ითვლებოდა, ჩვეულებით თუ არა, კანონით მაინცა, და როცა კანონი გლეხს საკუთრების სიმტკიცისათვის მფარველობას არც ჰპირდებოდა და არც უწევდა. რა ძლიერი მიდრეკილება უნდა ჰქონოდა, რომ ამგვარის წყობილების წინაშე გლეხი მამულის სყიდვაში მაინც უკან არ იხევდა და მაინც მამულს ყიდულობდა.

3. მარტო ქუთაისის გუბერნიაში, საცა გლეხობა ყველას უფრო ღარიბად მიგვაჩნია, ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ რვა ათას სამოცდათხუთმეტმა (8.075) ნაყმევთა კომლმა შეისყიდა თავისი ნაჭერი ადგილ-მამულები ნაბატონართაგან და ერთი მილიონი ას ოთხი ათას რვაას სამოცდაათი (1.104.870) მანეთი თავისი საკუთარის ჯიბიდამ მისცა. ასე რომ მთავრობის შემწეობაც არ ითხოვა. გერმანიაში ოცდაშვიდს წელიწადში ნაყმევთაგან მარტო მეოთხედმა ნაწილმა ძლივს დაიხსნა თავისი ადგილ-მამულები, ისიც მთავრობის შეწევნითა, და იმერეთში კი (გარდა სამეგრელოსი) ერთმა მესამედმა 10 წელიწადში გამოიხსნა თავისი მამულები, ისიც მთავრობის დაუხმარებლად. ნუთუ ეს მაგალითები არ ამტკიცებენ მას, რომ ჩვენებურს გლეხში დიდი მიდრეკილებაა მამულის შეძენისადმი“ *(„ცხოვრება და კანონი““. 1877-1881 წ.).*

„დღეს ჩვენში გლეხიც იმისთანა მფლობელია მიწისა, როგორც თავადი, აზნაური, ეკლესია; დღეს ჩვენში გლეხი მემკვიდრეობით ბინადარია იმ მამულზედ, რომელიც ყოველს გლეხს მამა-პაპით დაჩემებული აქვს. თითონ ბატონყმობის უფლებაც კი არ ყოფილა ჩვენში კუთვნილებად ერთისა და იმავე წოდებისა: გლეხთაც, როგორც თავადაზნაურთა და ეკლესიას, შეეძლოთ ყმების ყოლა. ამის მაგალითი ხშირია იმერეთში“ *(„ცხოვრება და კანონი“. 1877-1881 წ.).*

„ეგრეთი ყოველ მხრით უსაფუძვლო და უმიზეზო გამოკლება ზოგიერთ წოდებისა საზოგადო საქმეებიდამ — საზოგადო ტვირთს უმძიმებს გლეხსა მით, რომ მარტო გლეხილა იხდის საზოგადოების სამსახურს, ეწევა ბეგარას, აკეთებს გზებს, ჰყარაულობს, იცავს საზოგადო მშვიდობიანობას, იცავს ყველას საკუთრებას მტაცებლობისა თუ წანახედისაგან და ამ სიკეთეში ძალაუნრებურად წილხდომილნი არიან ყველანი, ვინც კი სოფლის წრეში სცხოვრობს, ხოლო ხარჯში, უღლის წევაში კი — არა. ამის გამო გლეხი უყურებს თვის მმართველობას ისე კი არა, როგორც უფლებას, არამედ როგორც ტვირთს, გადასახადს რასმეს, და ყოვლის ღონისძიებითა ცდილობს, შორს იყოს სოფლელობაზედაც და მმართველობაზედაც, რომელიც სიკეთეს ყველას უნაწილებს და ტვირთს — კი ერთსა ჰკიდებს ზურგზედ“ *(„ცხოვრება და კანონი“. 1877-1881 წ.).*

### „აქა სცემს უბოროტო ძარღვი ჩვენის ერის უბოროტო გულისა“

„ნუთუ რუსეთის ხალხის უმრავლესობა — მუჟიკობა, ჩვენის ხალხის უმრავლესობაზედ — გლეხობაზედ მაღლა დგას მიხვედრილობით, გონების თვალით, გონების ყურით, რომ იქ მუჟიკობა მომზადებულად სცნეს და მიანიჭეს სხვებთან ერთად უფლება მოსამართლის არჩევანისა, და აქ კი გლეხობა მოუმზადებლად, და ამიტომაც ეგ უფლება ჩამოართვეს? თუ ამ შემთხვევაში განსხვავება რამ არის ამ ორთა ხალხთა უმრავლესობათა შორის, ის განსხვავებაა, რომ სასწორი სიკეთისა ჩვენის ხალხისაკენ უფრო დაიწევს, **ჩვენი გლეხი გაცილებით წინ არის რუსის მუჟიკზედა ზნეობითაც, გონების თვალითაც და მიხვედრილობითაც.**

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა ხმელსა შეიქმს ნედლადაო“; „სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო“, — ამბობს ხოლმე ჩვენი ხალხი. ნუთუ ის ხალხი, რომელიც სამართალს ამისთანა სასწაულთ-მოქმედების ძალას აძლევს, რომ ხმელს ხესაც გაანედლებსო, ხელს მოსჭრის და არ ატკენსო, — ნუთუ ხალხი, რომელსაც ამისთანა ძალა სამართლისა სწამს, რჯულად აქვს მიღებული და ეგრე ცხადად აღიარებული, — ნუთუ ის ხალხი-მეთქი მოუმზადებელი უნდა იყოს წესიერად აგებულის სამართლის კეთილად წარმართებისათვის, და ის ხალხი კი — რომელიც იმით ნუგეშობს, რომ სილა სოლომუ ლომიტ, — მომზადებულია!“ *(„ცხოვრება და კანონი“. 1877-1881 წ.).*

**„ხალხს რა ამზადებს? სწავლა, ვარჯიშობა, გამოცდილება, იმ საქმეში ჩაყენება, რისთვისაც მომზადება საჭიროა. კაცს ხელ-ფეხს უკრავთ, და ვეუბნებით-კი, ჭიდილი ისწავლეო; ხალხს მოსამართლის ამორჩევის ნებას არ ვაძლევთ და ვეუბნებით — კი, ისწავლე კაი მოსამართლეების ამორჩევაო. ეს იმასა ჰგავს: ცურვა ისწავლე და წყალში — კი ნუ შეხვალო; გზა გაიარეო და შინიდამ ფეხს — კი ნუ გასდგამო. ამ სასწაულმოქმედებას ხალხი ვერ იზამს, თუნდაც იმისთანა კეტითა სცემოთ თავში, რომელსაც, ჩვენდა საუბედუროდ, „ადგილობრივს ვითარებას“ ეგრე წინდაუხედავად ეძახიან“.** *(„ცხოვრება და კანონი“. 1877-1881 წ.).*

„ხალხისათვის მიუცილებლად საჭიროა, რომ მის საყოველდღეო წვრილმან საქმეებისათვის მომრიგებელი მოსამართლე რაც შეიძლება მახლობლად ჰყვანდესო“ *(„ცხოვრება და კანონი“. 1877-1881 წ.).*

„უბრალო გლეხობა, — ეს უმრავლესობა ქართველობისა, ეს სული და გული ჩვენის ეროვნული იმედებისა“ („შინაური მიმოხილვა“. 1883 წ. აგვისტო).

**„ჩვენში რომ გლეხკაცმა თავი დაანებოს თავის ადგილს, უნდა ჯერ გულიდამ ამოიღოს თავისი თემი, თავისის ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითოეული ვაზია, თვითოეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყული, და რომელსაც იგი სამკვიდროს ეძახის. ყოველ ამის გულიდამ ამოღება ძნელია“** *(„კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“. 1886 წ.).*

„იმისთანა ქვეყანაში, როგორიც ჩვენია, საცა მკვიდრია, ერთხელ ერთ ადგილას დაბინავებული კაცი ძნელად გამოიმეტებს ხოლმე თავის მამა-პაპის ბინას და მიწაწყალსა, დიდის სიმძიმით და გულისტკივილით ჰშორდება იმ ადგილს, საცა დაბადებულა, საცა უმოქმედია, ოფლი და სისხლი უღვრია მამა-პაპასა, საცა ულოცნიათ, უჭირნახულიათ, ულხენიათ და დასასრულ საცა დამარხულან; საცა ყოველივე ეს იმისთანა ზნეობრივს კუთვნილებას შეადგენს ადამიანისას, რომლის დაკარგვა, რომელზედაც ხელის აღება ჩვენის გლეხკაცისა თუ კეთილშობილისათვის ხორციელ სიკვდილზედ ნაკლები აღარ არის, იქ **მამა-პაპისაგან დაშენებულის, დადებულის ბინის აშლა, აგვა, გათახსირება და სხვაგან ძებნა ბედისა, — იქ აყრა და სხვაგან გადასვლა იმისთანა მიზეზს უნდა მიეწეროს, რომელსაც ხალხის თვალში აღარა მოევლება-რა აღარა ეშველება-რა“.**

„ჩვენებური მკვიდრი ყოველგვარ უბედურებას აიტანს მარტო იმ ყოვლად შემძლებელის გრძნობის ძალითა, რომელსაც სამშობლოს ადგილის და ბინის სიყვარულს ეძახიან, იმიტომ, რომ სხვა ყოველს უბედურებას სული ებრძვის“ *(„იმიგრაცია საქართველოდან“. 1886 წ.)*

„სოფელი ჩვენებურ გლეხკაცისათვის დიდი ავტორიტეტია; ტყუილად კი არ ამბობს ხოლმე გლეხკაცი: ორმა კაცმა რომ გითხრას, ბრმა ხარო, უნდა დასჯერდეო. რაც უნდა ცუდად გადუწყვიტოს საქმე სოფელმა, ჩვენებური გლეხკაცი სოფლის ცუდ გადაწყვეტილებას უფრო შეიწყნარებს, ვიდრე გარეშე კაცის ცუდს განაჩენსა“ *(„კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“. 1886 წ.).*



დაცარიელებული სოფლები და მიტოვებული სახლები

**«სოფელი ჩვენებურ გლეხკაცისათვის დიდი ავტორიტეტია; ტყუილად კი არ ამბობს ხოლმე გლეხკაცი: ორმა კაცმა რომ გითხრას, ბრმა ხარო, უნდა დასჯერდეო. რაც უნდა ცუდად გადუწყვიტოს საქმე სოფელმა, ჩვენებური გლეხკაცი სოფლის ცუდ გადაწყვეტილებას უფრო შეიწყნარებს, ვიდრე გარეშე კაცის ცუდს განაჩენსა»**

დაიჯესტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ წიგნიდან ისიც შევიტყვე, რომ ტიციან ტაბიძეს თურმე არ მოსწონდა თავისი ნამდვილი სახელი ტიტე და მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლისას სწორედ შალვა მაღლაკელიძეს მოუნათლავს „ტიციანად“. მაღლაკელიძესვე იშველიებს ავტორი, როცა წერს, რომ შამილი თითქოს გრიგოლ ორბელიანს კი არ დაეტყვევებინოს, სინამდვილეში რუსეთის მეფის გენერალ ივანიკა კვინიტაძეს შეუპყრია. აქვე იმასაც ვიგებთ, რომ თვითონ მაღლაკელიძე ახლოს ყოფილა გერინგთან და შემდგომ ერთი ხანობა ადენაუერის მრჩეველიც ყოფილა.**

# მემატიანეობა უნებურად

## კარგი წიგნები მართლაც კარგი კაცებივით ცოტაა

გენიოსების მემუარები ეპოქის სახეს არ ქმნის!

*სტ. ეჟი ლეცი*

**თუმცა აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ ყველა კარგ კაცს არ შეუძლია კარგი წიგნის დაწერა, როგორც არაკარგმა კაცმა, შეუძლებელია, კარგი წიგნი დაწეროს. კარგ წიგნში კი, უწინარესად, ვგულისხმობ ისეთ მემუარულ წიგნს, რომელიც დროს, ცხოვრებასა და ადამიანებს პირუთვნელად ასახავს, მიუკერძოებელია და მომავალ თაობებს სარკისებრ დაანახვებს თავიანთ წარსულს, სულ სხვა დროის ადამიანებს, რომელთაც შექმნეს ის მომავალი და, თუ არა ისინი, კაცთა მოდგმის თაობათა მარადიული კავშირი საბედისწეროდ დაირღვეოდა.**

არც მწერლის, არც ლიტერატორის და, საერთოდ, არც ფილოლოგის, ძველი მშენებლისა და ეკონომისტის, ახლა უკვე მეღვინეობაში „გადახვეწილი“ **ომარ მარგველაშვილის** ახლახან გამოსული მემუარული წიგნის კითხვა რომ დავამთავრე, ჩემდა უნებურად ზემომოყვანილი აბზაცი დამაწერინა. მართალი გითხრათ, ჩემთვის ერთგვარად მოულოდნელიც კი გამოდგა ამ წიგნის („როცა უკან მოხედვის არ გეშინია!“) ლიტერატურული ხარისხი, რადგან დროდადრო ომარის პუბლიცისტურ, პოლიტიკურად მწვავე წერილებს კი ვკითხულობდი, მაგრამ ლიტერატურაში ჩახედულთ კარგად მოეხსენებათ, რომ წიგნის დაწერა და თანაც ისეთის, რომელიც თავისი ჭრელი დრო-ჟამის უტყუარ საბუთად აღიქმება, სულ სხვა რამ არის, სულ სხვა მახვილ თვალსა და აღვირამოდებულ კალამს მოითხოვს.

ეს წიგნი ფენომენალური მეხსიერებისა და წარმოსახვის წყალობით არის დაწერილი და ერთადერთ მიზნად ისახავს: მკითხველისთვის ცხადი გახადოს „ავადმოსაგონარი“ ჟამის მეტ-ნაკლებად ადამიანური სახე.

ომარ მარგველაშვილის წიგნის უმთავრესი ღირსება ის არის, რომ, უწინარესად, მართალი წიგნია, როგორც თავისი დროის, ისე იმ ადამიანების წინაშე, რომელთა გვერდითაც უხდებოდა ავტორს საზოგადოებრივად მღელვარე ცხოვრება. აქ ისიც აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ წიგნში ჩამუხტული ეპოქა ძირითადად დანახულია ამ ნაირ-ნაირი ბუნებისა და თვისება-ხასიათის ადამიანების მეოხებით, ხოლო თვითონ ეს ადამიანები — ამ ეპოქის საშუალებით.

ერთ საგაზეთო წერილში ნამდვილად შეუძლებელია ამ წიგნის, თავისი არსითა და მნიშვნელობით უზარმაზარის, და არა მარტო გვერდების რაოდენობისა და დიდი ფორმატის მიხედვით, შეფასება. ამიტომ მხოლოდ იმაზე მოგვიწევს საუბარი, რაც ამ ფრიად აისბერგული პრინციპით დაწერილი წიგნის წყალზევით მოჩანს.

ავტორი ავსა და ბოროტს სიკეთის საცერში ცრის და მთელი წიგნი ადამიანის სულიერი გამარჯვების იდეით არის გაჟღენთილი.

ნამდვილად სწორია აზრი, რომ ტრაგიკულის გვერდით შეფარული იუმორის, სატირის, ლირიკისა და ეპოქის სინთეზი „ამ წიგნის თვალსაჩინო ნიუანსია და კიდევ უფრო მეტად საკითხავს ხდის, მეტ მიმზიდველობას ანიჭებს“ (გურამ ბენაშვილი).

**წიგნში 140-ზე მეტი ამბავი, ჩანახატი და ნოველაა, რომელთაც ერთი მთავარი გმირი — თვითონ ავტორი აერთიანებს და ლოგიკურად ქმნის ერთ მთლიან ნაწარმოებს, რომელსაც, ალბათ, უპრიანი იქნებოდა, თუ დოკუმენტურ რომანს ვუწოდებთ. უნდა გამოვტყდე, პერსონაჟთა თვლაც დავიწყე, მაგრამ, როგორც იტყვიან, სათვალავი ამერია. აქ ძალიან ბევრ XX საუკუნის მეორე ნახევრისა და XXI საუკუნის პირველი ოცწლეულის ნაცნობ თუ უცნობ ადამიანს შეხვდებით, თანაც ისე ფერხორციანად, თითქოს ხელის ჩამორთმევას გიპირებენ.**

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ამ ადამიანების გარდა წიგნში პირუთვნელად, იქნებ რამდენადმე მიკერძოებულადაც (ისიც ფრთხილად) შეფასებულია ასარკული დროის ყველა პოლიტიკური თუ სოციალური მოვლენა, რომლის შეფასებაშიც ჩვენი პოლიტიკურად მოწამლული საზოგადოების გარკვეული ნაწილი, ალბათ, არა მარტო არ დაეთანხმება ავტორს, არამედ ჩვეულებისამებრ, სამშობლოს ღალატს დასწამებს და „დუელშიც გამოიწვევს“. მაგრამ ომარი ხომ ცხოვრების დარჯაკში გამოვლილი ის კაცია, რომელსაც არც უკან მოხედვის და არც წინ გახედვის არ ეშინია, რამეთუ უკმეხთან და კადნიერთან უკმეხი და კადნიერია, ხოლო კეთილმოსურნესთან და კეთილშობილთან — კეთილგონიერი და კეთილშობილი.

**ავტორი ასევე დაუნდობელია ადამიანების შეფასებისას („ერთ სუფრაზე ორჯერ ნაცემი მინისტრი“, „ჩაუშესკუს კოსტიუმი“, „უხეირო ხუმრობა“, „ბუტია გივი გუმბარიძე“, „შევარდნაძის საბედისწერო შეცდომა“, „ენვერ კაპბას მონანიება“, „მე, მთვარე და ღამეული ქალი“, „ნიაზ დიასამიძე და გრანტიკა“, „ედუარდ სტრელცოვი“). როგორც უკვე ვთქვი, წიგნში უამრავი სხვადასხვაგვარი ადამიანია გამოყვანილი, ვინც კი ავტორს ცხოვრების ოღრო-ჩოღრო გზაზე შეხვედრია (აქ არიან თენგიზ სიგუაც, თენგიზ კიტოვანიც, ჯაბა იოსელიანიც, ედუარდ შევარდნაძეც, ზურაბ პატარიძეც, არიელ შარონიც, ვიქტორ ადლეიბაც, საკავშირო მინისტრები და სხვა მრავალი).**

განა სავსებით მართალი არ არის ავტორი, როცა მოქალაქეობრივი გაბედულებით წერს: „საზოგადოებაში **ზვიად გამსახურდიას** პიროვნების ირგვლივ დავა და კამათი დღესაც გრძელდება. სამწუხაროდ, ძალზე ტრაგიკულად დამთავრდა ამ ადამიანის მოღვაწეობა და ცხოვრება. ჩემი აზრით, ამაში არა მარტო შინაურსა და გარეშეს მიუძღვის ბრალი, არამედ ექსპრეზიდენტის პიროვნულ თვისებებსაც, ცოლის, ცოლის დისა და უახლოესი გარემოცვის აღვირახსნილ თავნებობასაც...“

ასევე ავტორის მოქალაქეობრივი პრინციპულობის ნიმუშად მოვიყვან ჰალსტუხჭამია ცრუ ეროვნულნილაბაფარებულ სამშობლოს გამჩანაგებელსა და უამრავი ახალგაზრდის სიცოცხლის ბოროტად და სისასტიკით მომსწრაფებელს, დამთხვეულ სააკაშვილს, რომელსაც დღემდე პასუხი არ უგია ხელისუფლების უნიათობისა და უპასუხისმგებლობის გამო.

**„1965 წელს გაზაფხულზე ჯერ აღმოსავლეთ ბერლინში ჩავედით, — წერს ომარ მარგველაშვილი, — რაც იქ ვიხილეთ, მართლაც საშინელება იყო: არა მარტო რკინიგზის სადგურის მახლობლად, არამედ მთელ ქალაქში ჯერ კიდევ ბევრი იყო ხელუხლებელი ომის დროს დაბომბილი, დანგრეული და გაპარტახებული, ჩაშავებულ-ჩაჟამებული შენობები, როგორც იმის უტყვი გაფრთხილება, რა შეიძლება მოხდეს, როცა ქვეყნის ლიდერს უსაშველო ამბიციები გაუჩნდება და თავისი ხალხის მომავალს სასწორზე შეაგდებს.**

ამ სამწუხარო ჭეშმარიტების ნათელი მაგალითია **მიხეილ სააკაშვილის** დაუფიქრებელი ნაბიჯი 2008 წლის 8 აგვისტოს, რომელმაც უამრავი ნგრევა, მსხვერპლი, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები, უზარმაზარი ზარალი, ეკოლოგიური კატასტროფა, ქვეყნის ეკონომიკის მკვეთრი ვარდნა, ინვესტორების დაფრთხობა-გაქცევა, ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის დაცემა, ხალხში შიშისა და უიმედობის გაჩენა გამოიწვია და, რაც ყველაზე მთავარია, საქართველომ ტერიტორიის მეხუთედი დაკარგა“.

ავტორს ხშირად უწევს სამსახურებრივი მივლინებებით (ის ხან ამ და ხან იმ ტრესტის მმართველია, ხან ამ თუ იმ მინისტრის მოადგილე) მოგზაურობა ურალსიქითა რუსეთის ოლქებსა და ქალაქებში. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აკადემიაში სწავლისას უამრავი დახურული და მკაცრად გასაიდუმლოებული ქალაქი და მიწისქვეშა გიგანტი საწარმო მოინახულა. სწორედ აქ გაიცნო მან არაერთი ტიტულოვანი ქართველი მეცნიერი, ზესაიდუმლო გრიფით მომუშავე, რომლებიც მთელი ცხოვრება ატომურ, ბირთვულ, სარაკეტო ტექნიკის შექმნაზე მუშაობდნენ — აკადემიკოსები: **ალექსანდრე ნადირაძე, ვახტანგ ვაჩნაძე, გალაკტიონ ალფაიძე, ნიკოლოზ ესაკია,** რამდენიმე გზის ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატები, საბჭოთა კავშირის არაერთგზის გმირები. ისინი პიროვნულად არ ჩანდნენ, მკაცრად იყვნენ გასაიდუმლოებულნი, მაგრამ თავიანთი დიდი ნიჭიერებით ქვეყანას ადლიერებდნენ. უთუოდ მოსაწონია, რომ ავტორი ამ მსოფლიო მნიშვნელობის ქართველ მეცნიერთ დიდი სითბოთი და სიყვარულით გვაცნობს. არადა, საქართველოში არც ერთს თითქმის დღემდე წესიერად არ იცნობენ.

**მოგეხსენებათ, ეპოქის ბეჯით მემატიანედ წარმოდგენილი ავტორი არც დროდადრო გაჩენილ ერთგვარად დრამატულ თუ სახალისო ამბებს უვლის გვერდს (ბევრს საკუთარი თვალით ნახულს, ზოგსაც სხვათაგან გაგონილს), რადგან ეს ამბებიც ხომ ცხოვრების ნაწილია, ურომლისოდაც მარტო ცალმხრივად პირქუში ხანა შეგვრჩებოდა ხელთ, რაც დაგვზაფრავდა და სუნთქვას შეგვიკრავდა.**

* * *

...მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებულია. ვაკეში, ტრამვაის ბოლო გაჩერებასთან ორი „ბუდკაა“: ერთი ნესტორასია, მეორე — იპოლიტესი. ჩამოსასხმელი ლუდით, არყითა და შავი ხიზილალით (დიახ, შავი მარცვლოვანი, ნატურალური ხიზილალით) ვაჭრობენ. ხიზილალას ხის კასრებიდან თეთრი ქათქათა ხის კოვზებით იღებენ და ბარაქიანად უსვამენ შავ პურზე. მავთულზე ჩამოკონწიალებულ დოშს იმდენი ქონი გასდის, რომ ქვეშ კონსერვის ქილები უდგათ და კარგა მოზრდილი ჩაკურატებული კატები სვლეპენ.

ნესტორასა და იპოლიტეს ყოველდღიური სტუმარია გალაკტიონი, რომელსაც ვერის ბაზარში ნაყიდი ერთი კონა ბოლოკი მოაქვს, იქვე ონკანის წყალში „გაახანხალებს“ და ტრაპეზს იწყებს. სკოლიდან მომავალი ბავშვები ცნობენ და გარს ეხვევიან.

— სკოლიდან მოდიხართ? — ეკითხება გალაკტიონი, — რა კარგი ბიჭები ხართ! თუ არ დამეწვევით, წადით სახლებში და გაკვეთილები მოამზადეთ.

პატარები მეცხრე ცაზე არიან, დიდი პოეტი რომ ნახეს და გაესაუბრნენ...

* * *

...განა შეიძლება, თვალზე ცრემლი არ მოგადგეს, როცა ჭეშმარიტად დიდ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტ **ევგენი ხარაძეს** რომ ახსენებ, გასული საუკუნის 90-იანი წლების დიდი განუკითხაობის ჟამს აკადემიკოს **გიორგი ჯიბლაძის** 90 წლის იუბილის აღმნიშვნელ სუფრაზე ამ წიგნის ავტორის გვერდით რომ ისურვა დაჯდომა. დიდხანს არ გაჩერდა. ჭამითაც ცოტა მიირთვა... უნდა წავიდეო, თქვა. უეცრად ჯიბიდან ძველი პარკი ამოაცურა და მთხოვა: „უმორჩილესად გთხოვთ, ბატონო ომარ, საჭმელები ჩამიწყვეთო...“ კაცი, რომელსაც ცა ხელისგულზე ედო, დედამიწისგან განწირული იყო.

* * *

...ერთხელ ნიკოლოზ მეორესთვის რომ მოუხსენებიათ, ჩაქვში შესაძლებელია ჩაის გაშენებაო, მცირე ფიქრის შემდეგ მოხსენებითი ბარათისთვის ასეთი რამ წაუწერია: „როგორც ჩემთვის ცნობილია, ჩაი კოლონიურ შრომას მოითხოვს. მე კი არ მსურს, რომ ისეთი მშვენიერი ერი, როგორიც ქართველები არიან, გადაგვარდესო“.




**ეპოქის ბეჯით მემატიანედ წარმოდგენილი ავტორი არც დროდადრო გაჩენილ ერთგვარად დრამატულ თუ სახალისო ამბებს უვლის გვერდს (ბევრს საკუთარი თვალით ნახულს, ზოგსაც სხვათაგან გაგონილს), რადგან ეს ამბებიც ხომ ცხოვრების ნაწილია**

**წიგნში 140-ზე მეტი ამბავი, ჩანახატი და ნოველაა, რომელთაც ერთი მთავარი გმირი — თვითონ ავტორი აერთიანებს და ლოგიკურად ქმნის ერთ მთლიან ნაწარმოებს, რომელსაც, ალბათ, უპრიანი იქნებოდა, თუ დოკუმენტურ რომანს ვუწოდებთ. უნდა გამოვტყდე, პერსონაჟთა თვლაც დავიწყე, მაგრამ, როგორც იტყვიან, სათვალავი ამერია. აქ ძალიან ბევრ XX საუკუნის მეორე ნახევრისა და XXI საუკუნის პირველი ოცწლეულის ნაცნობ თუ უცნობ ადამიანს შეხვდებით, თანაც ისე ფერხორციანად, თითქოს ხელის ჩამორთმევას გიპირებენ.**

დაიჯესტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

* * *

საგულისხმოა, რომ რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ს მერი შერვაშიძისთვის რომ შეუვლია თვალი, გაოცებულს აღმოხდენია:

— Княжна, грешно быть такой красивой.

* * *

...საიმპერატორო ოჯახის წარმომადგენელ გრაფ **ოლდენბერგს** ერთ-ერთ წვეულებაზე თვალი მოუკრავს ქართველი თავადის — **ტარიელ დადიანის** კალმით ნახატი მეუღლის აგრაფინა ჯაფარიძისთვის და თავადისთვის იმის ცოლთან ერთი ღამის გატარების სანაცვლოდ მილიონი ოქროს თუმნიანი შეუთავაზებია. თავადს ცდუნებისთვის ვერ გაუძლია, შემდგომში აგრაფინა გრაფის მეუღლე გახდა, მან საყვარელ ცოლს თბილისში მდიდრული სასახლე აუშენა....

* * *

...როგორც მე, ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ „დათა თუთაშხიას" ავტორის მეუღლე, უმშვენიერესი **მარინა მხეიძე** თავის თანატოლთაგან განათლებით, გარეგნობით, ვაჟკაცობითა და ოჯახიშვილობით გამორჩეულ რობიკო ჯომარჯიძეს ჭაბუა ამირეჯიბის გადასახლებიდან დაბრუნებამდე უზომოდ ჰყვარებია და შეთავაზებულ ცოლობაზე უარის გამო მამის რევოლვერით მოუკლავს თავი.

* * *

...წიგნის ერთ-ერთი პერსონაჟია ფაშისტებთან ნამსახური გენერალი **შალვა მაღლაკელიძე,** რომელსაც ომის შემდგომ საბჭოთა უშიშროების მიერ ბერლინიდან ჯერ მოსკოვში მოტყუებით ჩამოყვანილს და შემდგომ თბილისში ჩამოსულს რამდენჯერმე შეხვედრია ავტორი. მაღლაკელიძის ცნობით, 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადება **ნოე რამიშვილის** დამსახურება ყოფილა და არა ჟორდანიასი, რომელსაც ქართველთმოძულე რუსი ცოლი ჰყოლია... ის აზრი, თითქოს ნოე ჟორდანიას ეკუთვნოდეს სიტყვები: „ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი, ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო. თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი, დე, მტვრად ქცეულიც დამენახოს მთელი სამყარო..." სინამდვილეში პოეტისა და მხატვარ-კარიკატურისტ სიმონ ბერეჟიანისა იყო და ჟორდანიას საფლავზე ლევილში ეს წარწერა არასდროს ყოფილა.

* * *

...ამ წიგნიდან ისიც შევიტყვე, რომ **ტიციან ტაბიძეს** თურმე არ მოსწონდა თავისი ნამდვილი სახელი ტიტე და მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლისას სწორედ შალვა მაღლაკელიძეს მოუნათლავს „ტიციანად". მაღლაკელიძესვე იშველიებს ავტორი, როცა წერს, რომ შამილი თითქოს გრიგოლ ორბელიანს კი არ დაეტყვევებინოს, სინამდვილეში რუსეთის მეფის გენერალ ივანიკა კვინიტაძეს შეუპყრია. აქვე იმასაც ვიგებთ, რომ თვითონ მაღლაკელიძე ახლოს ყოფილა გერინგთან და შემდგომ ერთი ხანობა ადენაურის მრჩეველიც ყოფილა.

* * *

...ერთხელ ცნობილ **სიმონიკა სხირტლაძეს** ომარისთვის ასეთი რამ უამბნია: ზამთარია. ბარდნის. მთელი ღამის ნაქეიფარნი მოვუყვებით რუსთაველს, თეთრი ქურქით

**მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებულია. ვაკეში, ტრამვაის ბოლო გაჩერებასთან ორი «ბუდკაა»: ერთი ნესტორასია, მეორე — იპოლიტესი. ჩამოსასხმელი ლუდით, არყითა და შავი ხიზილალით (დიახ, შავი მარცვლოვანი, ნატურალური ხიზილალით) ვაჭრობენ. ხიზილალას ხის კასრებიდან თეთრი ქათქათა ხის კოვზებით იღებენ და ბარაქიანად უსვამენ შავ პურზე. მავთულზე ჩამოკონწიალებულ დოშს იმდენი ქონი გასდის, რომ ქვეშ კონსერვის ქილები უდგათ და კარგა მოზრდილი ჩაკურატებული კატები სვლეპენ. ნესტორასა და იპოლიტეს ყოველდღიური სტუმარია გალაკტიონი, რომელსაც ვერის ბაზარში ნაყიდი ერთი კონა ბოლოკი მოაქვს, იქვე ონკანის წყალში «გაახანხალებს» და ტრაპეზს იწყებს. სკოლიდან მომავალი ბავშვები ცნობენ და გარს ეხვევიან**

მოდის ულამაზესი ნატო ვაჩნაძე, მოდის და მოაქვს ქვეყანა! რომ მოგვიახლოვდა, უცებ ტყავის პალტო გავიძრე და ფეხქვეშ გავუფინე და მუხლი მოვიყარე. არ შეჩერებულა, შედგა ფეხი ჩემს პალტოზე, ოდნავ შეყოვნდა... გაგვიღიმა თავისი შეუდარებელი ღიმილით, თავი დაგვიკრა და გზა განაგრძო.

* * *

...დღემდე ანეკდოტად დადიოდა, რომ მავანი ქართველი ლენინგრადში დისერტაციას იცავდა და ერთ-ერთ ლენინგრადელ კომისიის წევრს უკითხავს: — რატომ თბილისში არ იცავთ?

ქართველს მიუგია:

— როცა ბლოკადის დროს ლენინგრადს ვიცავდი, რატომ მაშინ არ მკითხეთ, რატომ ვიცავდი ლენინგრადს?!

ეს მაშინდელი ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი **შოთა გუტიძე** ყოფილა.

* * *

...სპორტის სასახლეს ჩვენი წიგნის ავტორიც აშენებდა. პროექტის ავტორი **წარმოსადეგი ლადო მესხიშვილია.** რეჟისორი **ლანა ღოღობერიძე** აქვე იღებს ფილმ „ფრესკას". ლადომ ვესტიბიულში საგანგებო გადასაღები მოედანი დაუმონტაჟა. ასე აშენდა სპორტის სასახლესთან ერთად კიდევ ერთი ქართული ოჯახი.

* * *

...მაგრამ ქორწინების სასახლესთან ერთად ვერ აშენდა მეორე ქართული ოჯახი, თუმცა ხანუმა თვითონ **ნანული შევარდნაძე** იყო. საგარეჯოში თანაშეზრდილ **მედიკო მეზვრიშვილს** ქორწინების სასახლის პროექტის ავტორს, ცნობილ არქიტექტორს — **ვიქტორ (ბუცა) ჯორბენაძეს** ურიგებდა, მაგრამ თვითონ ქალბატონ ნანულის „დანიშნული" შუამავალი ომარ მარგველაშვილიც ვერაფერს გახდა. ბუცას თურმე ცნობილ სერგო ფარაჯანოვთან ერთად სოდომურ ცოდვაში ედგა ფეხი: „ჟენის დურაკ, ზატო სეკრეტარ რაიკომა, ტო!" — ხალისობდა თურმე ფარაჯანოვი ბუცაზე.

* * *

...სხვათა შორის, საბჭოთა კავშირში პირველად და უკანასკნელად გაეროს ერთ-ერთი პირველი გასვლითი კონფერენცია სწორედ თბილისის ქორწინების სასახლეში გამართულა და ბრწყინვალედ ჩატარებულა. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ომარ მარგველაშვილი ყოფილა.

* * *

...ბარემ აქვე ვიტყვი იმასაც, რომ გაეროში ხულიგნური გა-




მოსვლისათვის დამთხვეული **ხრუშჩოვი** 10 ათასი ამერიკული დოლარით დაუჯარიმებიათ (ხრუშჩოვის თარჯიმანს, **ვიქტორ სუხადროვს** უთქვამს ომარისთვის).

* * *

...ერთ-ერთი სახალისო მოგონება ცხონებულ **ბორის წიფურიასთან** არის დაკავშირებული. ეს ამბავი თუ „ნოველა" „არაჩვეულებრივ გამოფენად" არის სახელდებული. ზაფხულის ერთ პაპანაქება დღეს მაღალი წრის ქართველ მანდილოსნებს ფსონი გაუმართავთ. ბორიასთან დაურეკავთ, სუფრა გავაწყვეთ და შენთან ერთად ერთი ლამაზი საღამო გვინდა გავატაროთო. სულ პარტიული ელიტა ყოფილა: **ბელა მაყაშვილი, ლია ლომიძე, თამილა მაჭავარიანი, ნელი გურგენიძე, მადონა მგელაძე, ლამარა გაგუა, ვიოლა ჯაფარიძე, ცისანა ჩიხლაძე, დალი ბოჯგუა.** მშვენიერ სუფრას, ერთ-ერთი ქალბატონის ოჯახში რომ გაეწყოთ, ჩიტის რძეც არ აკლდა! დრო აღარ დაგვიკარგავს და შემოვუსხედით მაგიდას. თამადად ამირჩიეს — ყვება ბორისი, — სულ თაფლად ვიღვრებოდი... და უეცრად ჩანგალი არ დამივარდა?! დავიხარე, ხელი ვაფათურე, მაგრამ ვერ მივაგენი, კიდევ უფრო დავიხარე და მაგიდის ქვეშ აღმოვჩნდი. ჩანგალი კი ვიპოვე, მაგრამ... მიმოვიხედე და თვალთ დამიბნელდა... ჩანს, „გრადუსში" მყოფ ქალებს ჩემზე არანაკლებ სცხელოდათ და, რაკი თავისუფალ გარემოში იგრძნეს თავი, „სიფხიზლე" დაკარგეს, კაბის კალთები წამოიხადეს და საზოგადოდ დაფარული ყველა „სიმშვენიერე" გამოაჩინეს.

რა გინდა, სულო და გულო! თეთრად ქათქათებს მზედაუკრავი სავსე ბარძაყები, ნაირნაირი ფერისა და ფორმის ფუშფუშებიანი ბიკინები! „რა დროს ჩანგალია, შე ოხერო! გაახილე თვალი, ვინ იცის, კიდევ როდის ეღირსები ასეთი „არაჩვეულებრივი გამოფენის" ხილვას?!" ვარ თივაში გატრუნული თაგვივით.

უცებ მომისაკლისეს:

— ბორი, სად ხარ?

— ჩანგალი დამივარდა და ვეძებ.

ვიღაც რაღაცას მიხვდა:

— მე შენ გიჩვენებ ჩანგალს! ახლავე ამოეთრიე და შენს სკამზე დაეგდე, შე ოხერო! — ატყდა ერთი გნიასი. ვინ ზარბაზნის ლულებივით ჩემკენ მოშვერილი თეთრი ქათქათა მუხლები სასწრაფოდ შეატყუპა, ვინ კაბის კალთების დაბლა ქაჩვას შეუდგა, ვინ წამოხტა სკამიდან, ვინ წვეტიან ქუსლებს მირტყამს და მირაჟივით გაქრა რამდენიმე წამის წინ ეს გადაშლილი „არაჩვეულებრივი ფერადოვნება..."

— გულახდილად მითხარი, უსაწმერთულოდ იყო ვინმე? — ვკითხე.

— კი, იყო, მაგრამ ვერ გაგიმხელ... — მიპასუხა.

მას შემდეგ, სადაც კი შემხვდებოდა, ვეკითხებოდი: — ბორის, ჰაეროვანმა მანდილოსნებმა აღარ დაგპატიჟესმეთქი? ფართოდ გაიღიმებდა და შესძახებდა: — რაც მინახავს, ველარ ვნახავო.

* * *

...ავტორს თავს არ არიდებს არც ერთგვარად საჩოთირო ამბებს. ერთ-ერთ ნოველა-ამბავში („ქალური სათნოების მაგალითი") მოთხრობილია, მოსკოვში რუს „მანდილოსნებთან დროსტარების მიზნით, როგორ იძენდა მოსკოვში იმპორტულ „დამცავ" საშუალებებს — პრეზერვატივებს (ბითუმად) და ისეთ ადგილას ინახავდა თბილისში, თავის ბინაში, რომ ცოლი შემთხვევით არ წასწყდომოდა... ერთხელ, მოსკოვში ყოფნისას ამგვარად „შეიარაღებული" წასულა „ლარისა ივანოვნასთან" პაემანზე, მაგრამ იმ ერთხელ წასვლისას უმტყუნია „პრევენციის" უცხოურ საშუალებებს, განა ერთს, ყველას ერთად!

ცოლს თურმე მიუგნია ერთად შეფუთული პრეზერვატივებისთვის და სულ სათითაოდ დაუხვრეტია ნემსით... მერე ისევ სამალავში მიუბრუნებია და შერცხვა კაცი! მაგრამ ცოლს სათნო იუმორად ჩაუთვალა.

რაც შეეხება წიგნის ენას, ჩინებულია (რაც ჩანს, ავტორთან ერთად, რედაქტორის, ქალბატონ **ბელა ლოლაძის** დიდი ნაამაგარიც არის!).

* * *

ცალკე უნდა აღინიშნოს წიგნისთვის დართული „ცხოვრებას ადევნებული ფიქრები". აქ ავტორი უკვე თავისებური ქართველი **ლაროშფუკოა,** რომლის მაქსიმებმაც რამდენიმე საუკუნეს გაუძლო. ავტორს ბევრი საყურადღებო აზრი აქვს სხარტად მოვარგებული, რომელთაც თუნდაც დიდად გამოცდილი კაცი როგორც სხვა ადამიანებზე, ისე თავის თავზე დაუკვირვებლად ვერ შექმნის. ეს აზროვნების ურთულესი რამ არის. აი, რამდენიმე მათგანი: „შენი ფასი იცოდე, მაგრამ ნურც სხვისას დაივიწყებ"; „არ იტრაბახო, როდესაც ფეხზე მყარად დგახარ — სულ გეშინოდეს, რომ არ დაეცე"; „პატარა ადამიანები უფრო ხშირად ამაყნი და ამპარტავანნი არიან"; „დიდი ფულის პატრონს ფსიქიკა ხშირად ღალატობს"; „კეთილშობილი და კეთილგონიერი ადამიანი არავის დამამცირებელს არ ეტყვის, თუნდაც ის ამას იმსახურებდეს"; „უმადურობა დიდი ცოდვაა"; „მიტევება მხოლოდ ძლიერი პიროვნების ბუნებაა"; „ქალი ბრწყინავს...კარგი ქმრის ხელში"; „ბედნიერი ქალი ლამაზია"; „სამწუხაროდ, ჩვენ, ქართველები ელემენტარულ ეროვნულ პასუხისმგებლობას ვართ მოკლებული..."; „ეროვნული თვითშეგნების მქონე ახალგაზრდობა სანთლით საძებარია"; „მე ჩემი შვილებისთვის მეხამრიდი ვარ"; „შური ადამიანს აავადებს და აბერებს".

* * *

ღმერთი, რჯული, სულ არ ვაპირებდი ამ წიგნზე ესოდენ ვრცელ საუბარს. თავში კი ვთქვი და ბოლოშიც უნდა გავიმეორო, რომ, მართალი გითხრათ, **არაპროფესიონალი კალმის კაცისგან, თუმცა ნამდვილი ინტელიგენტისგან, როგორიც ომარ მარგველაშვილია, მაინცდამაინც არ ველოდი, თუ კალამს ასე მარჯვედ იმორჩილებდა და არც ლიტერატურული გემოვნება ღალატობდა. მაგრამ გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ, ჩემდა გასაკვირად, მოვტყუვდი. წიგნის სახელწოდება „როცა უკან მოხედვისა არ გეშინია", წაუკითხავად ანდა თუნდაც თვალის ერთი გადავლებით, ცოტა არ იყოს, იქნებ ავტორს ტრაბახადაც ჩაუთვალო, მაგრამ თურმე, როგორც ადამიანის შესაცნობად რამდენიმე ფუთი მარილის შეჭმაა საჭირო, წიგნის შეცნობასაც გულდადებით რამდენიმე „ფუთი დროის" ჩამოფქვა სჭირდება.**

მე ეს დრო გულდადებით ჩამოვფქვი და ამიტომაც შემექმნა ასეთი მაღალი, ოღონდ მიუკერძოებელი აზრი.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩემზე უკეთესად და ამომწურავად ხვალინდელი თუ ზეგინდელი მკითხველი იტყვის.

ყველა ურწმუნო თომას კი ვურჩევ, ჩემდა გასამტყუნებლად რამდენიმე საღამო გაატაროს ამ ცხოვრების უტყუარ წიგნ-მატიანესთან ერთად.

**გურამ გოგიაშვილი**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტილო „დილა ფიჭვნარში“ მხატვარმა შექმნა, როგორც ტყის პეიზაჟი და მასზე დათვები გამოსახული არ ყოფილა. ცხოველები შიშკინმა დაამატა თავისი მეგობრის, მხატვარ-ანიმალისტ სავიცკის რჩევით, უფრო ზუსტად, სავიცკიმ თავისი ხელით მიახატა დათვები პეიზაჟზე. როცა გალერისტმა ტრეტიაკოვმა შეიტყო ნახატის ორი ავტორის შესახებ, ძალიან გაბრაზდა და ტილოდან თვითონ წაშალა სავიცკის გვარი, თუმცა, საბედნიეროდ, კვალი დარჩა და დათვების ისტორია ყველასთვის ცნობილი შეიქნა.**

# 7 ცნობილი ნახატის საიდუმლოებები

ფერწერის ცნობილი ოსტატების მიერ შექმნილ თითქმის ყველა ტილოს აქვს თავისი ისტორია. მათგან ზოგიერთი ყველასთვის ცნობილია, ზოგიერთი — მხოლოდ სპეციალისტებისთვის, სხვები კი ელოდებიან, როდის შეიტყობს მათ შესახებ მსოფლიო. ჩვენ მოგიმზადეთ რამდენიმე ისტორია ცნობილი ტილოების საიდუმლოებების შესახებ, რომლებიც, ალბათ, ბევრისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება.





## ჰენდრიკ ვან ანტონისენი, «სხევენინგენის სანაპიროს ხედი»

ჰოლანდიელი მხატვრის **ჰენდრიკ ვან ანტონისენის** მიერ 1641 წელს შექმნილი იდილიური სურათი ჩვეულებრივ ადამიანში კითხვებს არ იწვევს. მასზე გამოსახულია სანაპირო, რომელზეც ადამიანების რამდენიმე ჯგუფი დგას. ჰოლანდიური ფერწერის ექსპერტები თითქმის 100 წლის განმავლობაში კამათობდნენ, რას აკეთებენ ეს ადამიანები სანაპიროზე და რატომ იცქირებიან ისინი ერთი მიმართულებით. საიდუმლო ცოტა ხნის წინათ გამოააშკარავა სტუდენტმა-რესტავრატორმა **შან კუანგმა**, რომელმაც ნახატის წმენდისას ზღვის ნაპირზე აღმოაჩინა... ვეშაპი. თანამედროვე მოწყობილობის დახმარებით სპეციალისტებმა შეძლეს პეიზაჟის თავდაპირველი სახის აღდგენა და ახლა ყველამ იცის, რომ ადამიანები სანაპიროზე ვეშაპის სანახავად შეიკრიბნენ, მაგრამ გაურკვეველია, რატომ დამალა მხატვარმა ვეშაპი. ერთ-ერთი ვერსიით, ეს მოსთხოვა ნახატის შემკვეთმა ან მყიდველმა.



## ივანე შიშკინი, «დილა ფიჭვნარში»

რუსი მხატვრის, **ივანე შიშკინის**, ცნობილ ნახატსაც აქვს თავისი ისტორია. ტილო „დილა ფიჭვნარში“ მხატვარმა შექმნა, როგორც ტყის პეიზაჟი და მასზე დათვები გამოსახული არ ყოფილა. ცხოველები შიშკინმა თავისი მეგობრის, მხატვარ-ანიმალისტ **სავიცკის** რჩევით დაამატა, უფრო ზუსტად, სავიცკიმ თავისი ხელით მიახატა დათვები პეიზაჟზე. როცა გალერისტმა **ტრეტიაკოვმა** შეიტყო ნახატის ორი ავტორის შესახებ, ძალიან გაბრაზდა და ტილოდან თვითონ წაშალა სავიცკის გვარი, თუმცა, საბედნიეროდ, კვალი დარჩა და დათვების ისტორია ყველასთვის ცნობილი შეიქნა.



## იან ვან ეიკი, «ცოლ-ქმარი არნოლფინების პორტრეტი»



ევროპული ფერწერის ისტორიაში წყვილის პირველი პორტრეტი დახატა იან ვან ეიკმა 1434 წელს ბრიუგეში. სურათზე გამოსახულია ლამაზად შემოსილი წყვილი, რომელიც, სავარაუდოდ, საქორწინო ცერემონიისთვის ემზადება, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ამ ნახატზე გამოსახულია არა ორი, არამედ ოთხი ადამიანი. კიდევ ერთი წყვილი — ქალისა და მამაკაცის დანახვა შეიძლება უკანა პლანზე გამოსახულ მრგვალ სარკეში. ხელოვნებათმცოდნეები ამტკიცებენ, რომ ეს ადამიანები არიან ტილოს ავტორი და მისი მეუღლე. ამ მოსაზრების ირიბი მტკიცებულებაა სარკის თავზე წარწერა: Johannes van Eyck hic — „აქ იყო იან ვან ეიკი“.



## იერონიმ ბოსხი, «მიწიერი სიტკბოების ბაღი»



იერონიმ ბოსხის ყველაზე მასშტაბური და ცნობილი ნამუშევარი „მიწიერი სიტკბოების ბაღი“ უამრავ საიდუმლოს მოიცავს. ამ ნახატის აზრი ბოლომდე გარკვეული არ არის, მაგრამ რამდენიმე ამოცანა ამოხსნილია. ტრიპტიქის (სამკარედის) მარჯვენა ნაწილში, რომელსაც ჰქვია „მუსიკალური ჯოჯოხეთი“, გამოსახული არიან ცოდვის ჩამდენები, რომლებსაც მუსიკით აწამებენ. ერთ-ერთი მათგანის დუნდულებზე გამოსახულია შუასაუკუნეების ნოტები. ოკლაჰომის ქრისტიანული უნივერსიტეტის სტუდენტმა **ამელია ჰემრიკმა**, რომელიც ნახატს იკვლევდა, ძველებური ნოტები „გაათანამედროვა“ და ჩაწერა მელოდია სახელწოდებით „სიმღერა უკანალისა ჯოჯოხეთიდან, რომელსაც 600 წელი შეუსრულდა“. გამოვიდა მშვიდი, ერთი თითით შესრულებული კომპოზიცია, ჰოლივუდური მელოდრამის მელოდიის მსგავსი.

## კაზიმირ მალევიჩი, «შავი სუპრემატული კვადრატი»



ნახატი, რომელსაც ჩვენ „შავ კვადრატს“ ვუწოდებთ, სულაც არ გამოსახავს შავი ფერის ობიექტს. მეტიც — ის კვადრატი არ არის, რადგან ფიგურის არც ერთი მხარე საწინააღმდეგო მხრის პარალელური არ არის, გეომეტრიული ფიგურის თითქოსდა შავი ფერი — ეს არის რამდენიმე საღებავის შერევით მიღებული ფერი და ამ საღებავებს შორის არ ყოფილა შავი. ტრეტიაკოვის გალერეაში ნახატის დათვალიერებისას სპეციალისტებმა აღმოაჩინეს ფანქრით შესრულებული წარწერა: „ზანგების ბრძოლა ბნელ გამოქვაბულში“. ამ ფრაზამ სპეციალისტებს გაახსენა ფრანგი მხატვრისა და ჟურნალისტის — **ალფონს ალეს** ნახატი „ზანგების ბრძოლა ბნელ გამოქვაბულში შუაღამისას“, რომელიც შავი მართკუთხედივით გამოიყურება.



## პიტერ ბრეიგელ-უფროსი, «ნიდერლანდური ანდაზები»

ჰოლანდიელი ოსტატის ეს უნიკალური ნახატი წარმოადგენს XVI საუკუნის 112 ყველაზე პოპულარული ჰოლანდიური ანდაზის გამოსახულებას. რიგით ადამიანს ეჩვენება, რომ ნახატზე გამოსახულია უცნაური და აბსურდული საგნები და მოქმედებები, მაგრამ სპეციალისტებმა მყისვე დაინახეს ანდაზები, თანამედროვე გამონათქვამების ანალოგიური, მაგალითად, ასეთის: „დინების საწინააღმდეგოდ ცურვა“ და სხვ., რომლებსაც ამჟამადაც იყენებენ მსოფლიოში. **ბრეიგელ-უფროსის** ტილოზე უმრავლესობა ანდაზებისა ადამიანის სიბრიყვესა და სიხარბესთან არის დაკავშირებული. ნახატი ძალიან პოპულარულია ხელოვნებათმცოდნეებს შორის, მასზე უამრავი სამეცნიერო ნაშრომია შექმნილი.



## პაბლო პიკასო, «ცისფერი ოთახი»

სპეციალისტებს მრავალი წლის განმავლობაში მიაჩნდათ, რომ **პიკასოს** ამ ნახატზე გამოსახულია მობანავე ქალი, მაგრამ 2008 წელს რესტავრატორებმა ნახატი მოათავსეს ინფრაწითელი სხივების ქვეშ და აღმოაჩინეს „პეპელა-ჰალსტუხიანი“ მამაკაცი, რომელიც გამოწყობილია კოსტიუმში და თავი დადებული აქვს ხელზე. აშკარაა, რომ პიკასომ „ცისფერი ოთახი“ დაახატა ადრე შექმნილ პორტრეტს. ხელოვნებათმცოდნე **პატრისია ფავერიმ** ეს ახსნა იმით, რომ, როცა პიკასოს აღმაფრენა ეწვეოდა, ის მყისვე იწყებდა მუშაობას. და, თუ სუფთა ტილო არ ჰქონდა, გენიოსი იყენებდა უკვე დახატულს, მაგრამ არცთუ წარმატებულ ტილოს და მას ზევიდან ახატავდა ახალს.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



# ფიფამ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ლიონელ მესი აღიარა

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გასული სეზონის 10 საუკეთესო ფეხბურთელი, რომლებიც «ოქროს ბურთის» პრეტენდენტები არიან

**ახლოვდება ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი ჯილდოს — „ოქროს ბურთის“ გადაცემის ცერემონია. ამ პრესტიჟული ჯილდოს პრეტენდენტები კი ის ფეხბურთელები არიან, რომლებმაც გასულ სეზონში გამოიჩინეს თავი. თითქმის ერთი თვეა, სტარტი აიღო 2019-2020 წლების საფეხბურთო სეზონმა, რომელიც, ალბათ, ისეთივე დაძაბული და მოულოდნელობებით აღსავსე იქნება, როგორიც იყო წინა, 2018-2019 წლების სეზონი, რომელმაც რამდენიმე სენსაცია აჩუქა ფეხბურთის გულშემატკივრებს — „ბარსელონა“, რომელსაც 3:0 ჰქონდა ნახევარფინალის პირველ მატჩში მოგებული, „ლივერპულმა“ გამოაგდო (4:0); შემდეგ კი ინგლისურმა კლუბმა თანამემამულეები — ლონდონის „ტოტენჰემი“ დაამარცხა ფინალში და მეექვსედ მოიპოვა ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის ტიტული; „მანჩესტერ სიტი“ კი ინგლისის პრემიერლიგაში მესამე გუნდია, რომელმაც ჩემპიონის ტიტული დაიცვა. გუნდების კარგ თამაშს მათში მოთამაშე ვარსკვლავები განაპირობებდნენ. წინა სეზონში ჩვენ ვნახეთ ბევრი შესანიშნავი ფეხბურთელი, რომლებიც ბრწყინავდნენ და თავიანთი გუნდები წარმატებისკენ მიჰყავდათ. ეს ფეხბურთელები, დიდი ალბათობით, ახალ 2019-2020 წლების სეზონშიც გამოიჩენენ თავს. ჟურნალი „ფრანს ფუტბოლი“ 21 ოქტომბერს დაასახელებს „ოქროს ბურთის“ პრეტენდენტებს. დაჯილდოების ცერემონია კი 2 დეკემბერს პარიზში გაიმართება.**

**10. კილიან მბაპე — „პარი სენ-ჟერმენისა“ და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი**

მსოფლიო ფეხბურთის ახალგაზრდა სენსაცია თავისი შესაძლებლობების საზღვრებს აფართოებს. მბაპემ საფრანგეთის ჩემპიონობა მოიპოვა და ლიგა 1-ში პირველად გაიტანა 30 ბურთი ერთ სეზონში, სულ კი ყველა შეჯიბრებაში მის ანგარიშზე 39 გოლია.

**9. სერხიო აგუერო — „მანჩესტერ სიტისა“ და არგენტინის ნაკრების თავდამსხმელი**

სერხიო აგუერო შესაშური სტაბილურობით გამოირჩევა. გასულ სეზონში მან კიდევ ერთხელ გაიტანა 30 ბურთი „მანჩესტერ სიტის“ მაისურით და თავის კარიერაში პირველად დაიცვა ინგლისის პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული. „სიტის“ შეტევის ხაზში ტაქტიკურმა ევოლუციამ ნაყოფი გამოიღო და აგუერის ბურთის გატანის მეტი შანსი აჩუქა, ბურთების გატანა კი აგუერის მართლაც კარგად ეხერხება.

**8. მოჰამედ სალაჰი — „ლივერპულისა“ და ეგვიპტის ნაკრების თავდამსხმელი**

სალაჰმა სეზონი მისთვის გამოცხადებული ნდობის ტვირთით დაიწყო, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთმა წამყვანმა თავდამსხმელმა, და მან ეს ნდობა 100%-ით გაამართლა. მიუხედავად იმისა, რომ სალაჰს წინა სეზონთან შედარებით ბევრი ბურთი არ გაუტანია, მაინც შეძლო რამდენიმე გადამწყვეტი მნიშვნელობის ბურთის გატანა და უზარმაზარი როლი ითამაშა იმაში, რომ „ლივერპულმა“ ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

**7. ედენ აზარი — მადრიდის „რეალისა“ და ბელგიის ნაკრების შემტევი**

ნახევარმცველი

2019-2020 წლების სეზონის წინ აზარმა, როგორც იქნა, დატოვა ლონდონის „ჩელსი“ და მადრიდის „რეალში“ გადავიდა, მაგრამ, სანამ ამას გააკეთებდა, „ჩელსის“ მაისურით უეფას ევროპის ლიგის თასი მოიპოვა. სეზონში კი „ჩელსის“ შემადგენლობაში 20 გოლი გაიტანა.

**6. სადიო მანე — „ლივერპულისა“ და სენეგალის ნაკრების თავდამსხმელი**

2019 წლის დასაწყისში იყო პერიოდი, როცა ბევრს ეჩვენებოდა, რომ „ლივერპულისთვის“ სეზონი ცუდად დასრულდებოდა — გუნდმა რამდენიმე შეხვედრაში დაკარგა ქულები და ინგლისის ჩემპიონატში ლიდერობა „მანჩესტერ სიტის“ დაუთმო (მასთან ერთად ჩემპიონის ტიტული), მაგრამ დანაკარგი გაცილებით მეტი იქნებოდა და საჩემპიონო რბოლა არ გაიმართებოდა, რომ არა სადიო მანე, რომელმაც ბრწყინვალედ ითამაშა ჩემპიონთა ლიგის მატჩი მიუნხენის „ბაიერნთან“.

**5. ფრენკი დე იონგი — „ბარსელონასა“ და ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველი**

2018-2019 წლების სეზონში „აიაქსი“ დაბრუნდა ჩემპიონთა ლიგაში და ეს შესანიშნავად გააკეთა. ყველაფერი კი დიდწილად იყო დამოკიდებული ფრენკი დე იონგზე.

ახალგაზრდა ნახევარმცველი ისე თამაშობს, თითქოს **სერხიო ბუსკეტსისა** და **ანდრეს ინიესტას** ჰიბრიდია. დე იონგი ახალი სეზონიდან „ბარსელონაში“ გადავიდა და თავის თამაშს ახალ დონეზე აიყვანს.

**4. რაჰიმ სტერლინგი — „მანჩესტერ სიტისა“ და ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი**

უეონ რენის შემდეგ ინგლისის ნაკრებს ასეთი ენერგიული ფეხბურთელი არ ჰყოლია. სტერლინგმა უმნიშვნელოვანესი გოლები გაიტანა „მანჩესტერ სიტის“ მაისურით და ძალიან დაეხმარა თავის გუნდს ჩემპიონობისა და თასის მოპოვებაში.



ლეო მესი


ფრენკი დე იონგი


ბერნარდუ სილვა


ვირგილ ვან დეიკი


სადიო მანე


მოჰამედ სალაჰი


რაჰიმ სტერლინგი


კილიან მბაპე


სერხიო აგუერო


ედენ აზარი

**3. ბერნარდუ სილვა — „მანჩესტერ სიტისა“ და პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველი**

ეს პორტუგალიელი შეუცვლელი მოთამაშეა „მანჩესტერ სიტისთვის“. სასიამოვნო სანახავია მისი დრიბლინგი და პასები. სილვამ უზარმაზარი წვლილი შეიტანა პორტუგალიის ნაკრების გამარჯვებაში ერთა ლიგაზე, როცა თავის აქტივში საგოლე გადაცემები ჩაიწერა, როგორც ნახევარფინალში, ისე ფინალში.

**2. ვირჯილ ვან დეიკი — „ლივერპულისა“ და ჰოლანდიის ნაკრების ცენტრალური მცველი**

ვირჯილ ვან დეიკმა 2019 წელს „ლივერპულში“ გადასვლის შემდეგ თავისი თამაში ახალ დონეზე აიყვანა.

მისი სრული უპირატესობა დაცვის ცენტრში — ეს არის ის, რისი წყალობითაც შეძლეს ლივერპულელებმა წარმატებით თამაში „ბარსელონასთან“ ჩემპიონთა ლიგის განმეორებით ნახევარფინალურ მატჩში და შემდეგ ფინალში „ტოტენჰემთან“, როცა მეექვსედ მოიგეს ჩემპიონთა ლიგა. ვან დეიკი შესანიშნავი მცველია, რომელიც დომინირებს ჰაერში, ხოლო მინდორზე მისთვის გვერდის ავლა ურთულესი საქმეა. სწორედ ამიტომ დაასახელა ის უეფამ 2018-2019 წლების საუკეთესო ფეხბურთელად.

**1. ლიონელ მესი — „ბარსელონას“ და არგენტინის ნაკრების თავდამსხმელი**

ყველაზე მეტი გოლი ლა ლიგაში და ჩემპიონთა ლიგაში, ყველაზე მეტი საგოლე გადაცემა ლა ლიგაში, ყველაზე მეტი დრიბლინგი ჩემპიონთა ლიგაში და ამ მხრივ მეორე ადგილი ლა ლიგაში, ყველაზე მეტი სახიფათო მომენტის შემქმნელი ლა ლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში... მესი დომინირებდა ყველა მიმართულებით, თვით ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ლივერპულთან“ წარუმატებელ მატჩში მან უამრავჯერ აუარა გვერდი მეტოქეებს და შექმნა სამი სახიფათო მომენტი, რომლებიც თანაგუნდელებმა ვერ გამოიყენეს.

ვან დეიკმა მესიზე თქვა: „ჩემი აზრით, მესი კვლავ საუკეთესოა მსოფლიოში და მნიშვნელობა არ აქვს, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში ვერ გავიდა“.

მოამზადა
ნიკა კორინთელმა

**P.S. 23 სექტემბერს მილანის სახელგანთქმულ საოპერო თეატრ „ლა სკალაში“ გაიმართა ფიფას მიერ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული ჯილდოს გადაცემის ცერემონია. ფიფას პრიზი გადაეცა არგენტინელ ლიონელ მესის.**

# აშშ და დიდი ბრიტანეთი გარიგებას თავისუფალ ვაჭრობაზე 2020 წლის ივლისში დადებენ



**ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლობაზე დაყრდნობით გაზეთი Sun-ი იუწყება, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა ბორის ჯონსონმა და აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მოილაპარაკეს, 2020 წლის ივლისისთვის დადონ ორმხრივი გარიგება თავისუფალ ვაჭრობაზე.**

უფრო ადრე ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **დომინიკ რააბმა** განაცხადა, რომ დიდ ბრიტანეთს განზრახული აქვს, Brexiti-ის შემდეგ აშშ-თან გააფორმოს გარიგება თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე. ტრამპმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთი სწრაფად მიიწევს სავაჭრო გარიგების გაფორმებისკენ.

გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ტრამპი და ჯონსონი ამ გადაწყვეტილების შესახებ გაეროს გენერალური ასამბლეის მიმდინარეობისას გამართულ შეხვედრაზე განაცხადებენ.

# რუსეთი და უკრაინა ბუნებრივი აირის ტრანზიტზე თანხმდებიან

**ყინული დაიძრა, როცა უკრაინის ახალმა ხელისუფლებამ უარი თქვა რუსოფობიაზე და ქვეყნისთვის სასარგებლო და პრაგმატული მიდგომა აირჩია.**



ბრიუსელში გაიმართა სამმხრივი მოლაპარაკება უკრაინის გავლით ბუნებრივი აირის ტრანზიტის შესახებ. შეხვედრაში მონაწილეობდნენ რუსეთის, უკრაინისა და ევროკავშირის წარმომადგენლები. ყველა მხარემ ხაზი გაუსვა მოლაპარაკების პროგრესულობას და საუბრების კონსტრუქციულ ხასიათს, აგრეთვე, პოზიტიურ ატმოსფეროს. მოსკოვმა განაცხადა, რომ მზად არის, ითანამშრომლოს უკრაინასთან ევროპის კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ არ გამორიცხა, რომ სათადარიგო ვარიანტად შეიძლება დროებით გამოიყენონ ბუნებრივი აირის ტრანზიტის მოქმედი შეთანხმება. თავიანთი მხრიდან კიევის წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ შეთანხმებას აუცილებლად მიაღწევენ.

რუსეთის ენერგეტიკის მინისტრმა **ალექსანდრე ნოვაკმა** მიუთითა, რომ „...თუ 2020 წლის 1 იანვრისთვის უკრაინის კანონმდებლობაში იმპლემენტირებული იქნება ევროპის კანონმდებლობა, ჩვენ მზად ვიქნებით, ვიმუშაოთ ევროპის კანონმდებლობის შესაბამისად. თუ ვერ მოესწრება, მოქმედ კონტრაქტს გავაგრძელებთ ცოტა ხნით“. წინა დღით უკრაინის მინისტრთა კაბინეტმა განაცხადა, რომ ქმნის გაზის ტრანსპორტირების ცალკე კომპანიას. ამას მოითხოვს ევროპის კანონმდებლობა.

„მხარეებმა მაქსიმალურად უნდა იმოძრაონ ერთმანეთისკენ, ჩვენ გამოვრიცხავთ შემთხვევას, რომ კონტრაქტს ხელი არ მოეწეროს“, — თქვა უკრაინის ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის მინისტრმა **ალექსეი ორჟელმა.**

# კიშინიოვში მიმდინარეობს მოლდოვა-რუსეთის ეკონომიკური ფორუმი



**ფორუმზე ხელი მოაწერეს მნიშვნელოვან საინვესტიციო შეთანხმებებს. ეს შესაძლებელი შეიქნა მას შემდეგ, რაც მოლდოველებმა პარლამენტის არჩევნებზე უარყვეს რუსოფობია და ხმა მისცეს ძალებს, რომლებიც რუსეთთან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას დეკლარირებდნენ.**

მოლდოვას ბაზარი რუს ინვესტორებს აინტერესებთ. ერთობლივ საწარმოთა რაოდენობამ უკვე ათასს გადააჭარბა. მოლდოვა თავისუფალი სავაჭრო ზონების შესახებ ერთდროულად სამი ხელშეკრულების მონაწილეა.

ეს არის ევროკავშირთან სიღრმისეული და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, რომელიც 500 მილიონ მომხმარებელს ნიშნავს; ასევე, ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან (250 მილიონი მომხმარებელი); თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება თურქეთთან.

ფორუმის ყველაზე დიდი სექტორი გამოყოფილი აქვს რეგიონულ თანამშრომლობას. სესიებში მონაწილეობენ მეწარმეები რუსეთის ათობით ოლქიდან. მაგალითად, საქონელბრუნვა მოლდოვასა და ომსკის ოლქის რაიონებს შორის ერთ წელიწადში ორნახევარჯერ გაიზარდა.

მოლდოვა რუსეთის ბევრი რეგიონის ძირითადი სავაჭრო პარტნიორების ხუთეულში შედის.

ფორუმზე ხელი მოაწერეს ინვესტიციების პირველ კონტრაქტებს.

# ზელენსკის გუნდში სიმართლეს თვალი გაუსწორეს



**„კიევმა უნდა შეინარჩუნოს ტრადიციული ფასეულობები და ევროპული პრინციპები ბრმად არ უნდა გადმოიღოს“, — განაცხადა პარტია „ხალხის მსახურის“ დეპუტატმა უკრაინის პარლამენტში — ირინა ვერეშჩუკმა.**

პარლამენტარის თქმით, დასავლეთში ბევრი ტრადიციული ფასეულობა გაიცრიცა, თუმცა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ისინი ჯერ კიდევ დიდ როლს თამაშობენ.

დეპუტატმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ბრექსიტისა და სეპარატისტული მოძრაობების გააქტიურების მიზეზით ევროკავშირი დაშლის პირასაა. ამის გამოა, რომ გაერთიანებაში უკრაინას იშვიათად ახსენებენ. „ევროპას ჯერ ვერ გავაგებინეთ, რომ მას ჩვენ უფრო ვჭირდებით, ვიდრე ჩვენ ევროპა. მათ თავის პრობლემები აქვთ თავზე საყრელად“.



# აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებმა მოლაპარაკებები ნიუ-იორკში გამართეს

**ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის მიმდინარეობისას აზერბაიჯანისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრები — ელმირა მამედიაროვა და ზოჰრაბ მნაცაკანიანი ერთმანეთს შეხვდნენ და მთიანი ყარაბაღის პრობლემებზე ისაუბრეს.**

„შეხვედრაზე მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა; აღინიშნა, რომ ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეებმა უნდა გააააქტიურონ ძალისხმევა მშვიდობის უზრუნველსაყოფად და საერთაშორისო ნორმების დასაცავად რეგიონში“, — განაცხადა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ლეილა აბდულაევამ.

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:

„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

# გაეროს გენმდივანმა სირიაში საკონსტიტუციო კომიტეტის შექმნის თაობაზე განაცხადა



**„მოხარული ვარ, გამოვაცხადო, რომ სირიის მთავრობა და მოლაპარაკებების სირიის კომიტეტი შეთანხმდნენ დაბალანსებული, სანდო და ინკლუზიური საკონსტიტუციო კომიტეტის შექმნის თაობაზე“, — განაცხადა გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიუ გუტიერეშმა.**

გაეროს გენერალური მდივნის თქმით, საკონსტიტუციო კომიტეტი უახლოეს დღეებში შეუდგება მუშაობას ჟენევაში. გუტიერეშმა მადლობა გადაუხადა რუსეთს, თურქეთსა და ირანს კომიტეტის შექმნაში მონაწილეობისთვის.

გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სირიის საკითხებში — **გეირ პედერსენი** დამასკოში ჩავიდა, სადაც გეგმავს შეხვედრას სირიის საგარეო საქმეთა მინისტრ **ვალიდ მუალემთან.** აგვისტოს ბოლოს პედერსენმა განაცხადა, რომ სირიის საკონსტიტუციო კომიტეტი თითქმის ჩამოყალიბებულია. 16 სექტემბერს რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** ირანისა და თურქეთის ლიდერებთან — **ჰასან რუჰანისა** და **რეჯეფ თაიფ ერდოღანთან** ანკარაში გამართული მოლაპარაკებების შემდეგ განაცხადა, რომ მხარეები იმედოვნებენ, რომ საკონსტიტუციო კომიტეტი გადამწყვეტ გავლენას იქონიებს სირიაში ვითარების ნორმალიზებაზე.

მოამზადა **გიორგი გაჩეჩილაძემ**

www.geworld.ge
საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894